

აღ. ფოცხიშვილი

**ნაკვეთები  
გეგმვების ნაწილთა  
კლასიფიკაციის ისტორიიდან**

**I**

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გეოგრაფიული  
თბილისი — 1960

## ნ ი ნ ა ს ი ზ ყ ვ ა ო ბ ა

წიგნში ძირითადად განხილულია ანტიკური ხანის მოაზროვნენი, ალექსანდრიის გრამატიკული სკოლა და რუსი გრამატიკოსები. ამ უკანასკნელთაგან ყურადღების ცენტრშია ფორმალისტები: ფ. ფორტუნატოვი, ვ. პორეზინსკი, დ. უშაკოვი, ნ. დურნოვო და სხვები; ამათ გარდა საკმაოდ დიდი ეთმობა თ. ბუსლაევსა და ა. პოტებნიას.

მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციაზე ამა თუ იმ ნეცნიერის შეხედულების განხილვისას ხშირად იძულებული ვიყავით ფართოდ შევჩერებულიყავით მათი ზოგადენათმეცნიერული მრწამსის ანალიზზე.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ფორტუნატოვისა და მისი მიმდევრების შესახებ რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცოტაა დაწერილი და მეტწილად არაობიექტური; რატომღაც მათ შეხედულებებში ხედავენ მხოლოდ ნაკლოვან მხარეებს და არ ამჩნევენ იმ სიახლეს, რითაც ამ მეცნიერებმა ნათელი მიმართულება შექმნეს.

ამის განო ჩვენ იძულებული ვიყავით სრულიად დამოუკიდებელი გზით გვეელო.

მეორე წიგნში განხილული იქნება ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურა და ქართველ გრამატიკოსთა შეხედულებები მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის საკითხებზე.

ავტორი სიამოვნებით მიიღებს მკითხველთა ყოველ საფუძვლიან შენიშვნას.

ავტორი

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ენის შესწავლის ისტორია გრამატიკების შექმნიდან უნდა დავიწყოთ: ერთ-ერთი პირველი გრამატიკა ეკუთვნის ბერძენ ნოაზროვნე დიონისე თრაკიელს II—I საუკუნეების მიჯნაზე. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ გრამატიკის ძირითადი ნაწილი მოიცავდა მეტყველების ნაწილებზე მოძღვრებას.

დიონისე თრაკიელის გრამატიკიდან მოყოლებული დღემდე მეტყველების ნაწილები აუცილებელი კომპონენტია ყოველი ენის მეცნიერული თუ სასკოლო გრამატიკის კურსისა; მეტყველების ნაწილებით ახსნება გრამატიკის პირველი ნაწილი—მორფოლოგიის პირველი ფურცელი.

ამ საკითხის გარშემო უზარმაზარი ლიტერატურა დაგროვდა თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათისა; არაერთი დისკუსიისა და ენათმეცნიერული დავის საგანი გაჰხდარა იგი საუკუნეების მანძილზე, მაგრამ საბოლოო პასუხი ჯერაც არ გვაქვს. ჯერ გადაწყვეტით ისიც არ არის დადგენილი, თუ რას ეწოდება მეტყველების ნაწილი, რის მიხედვით გამოვყოფთ მეტყველების ნაწილებს, რა ადგილი ეკუთვნის მას გრამატიკის შიგნით და მრავალი სხვა.

რა არის მეტყველების ნაწილი, როგორია მისი თანამედროვე გაგება?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ერთი შეხედვით, მეტად იოლია: მეტყველების ნაწილებზე ლაპარაკია ყოველ სასკოლო გრამატიკაში, ყოველმა მოსწავლემ იცის მეტყველების ნაწილთა რაოდენობა და თითოეულის დახასიათება. მაგრამ ეს ერთი შეხედვით. თუ საკითხს უფრო ახლო განვიხილავთ, ენახავთ, რომ იგი არც ისე ადვილი გადასაწყვეტია.

ამ წიგნის გაცნობისას დავინახავთ, რომ მასში განხილულ ათეულზე მეტ მეცნიერთაგან არც ერთის მოსაზრება არ

ემთხვევა ნეორისას. უფრო მეტიც, ზოგჯერ ერთიმეორისაგან განსხვავებულ, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამენ ერთი და იმავე სკოლის წარმომადგენელი მეცნიერებიც კი.

ენა ტრადიციული გაგებით არის აზროვნების იარაღი და ურთიერთობის საშუალება.

აზრიანის თქმა, ჩვეულებრივ, წინადადებებით ხდება.

შეიძლება გვითხრან: ხომ არის შემთხვევები, როცა ვლადიმირ პუტინმა არა წინადადებებით, არამედ უფრო მცირე ერთეულით—სიტყვებით? მაგალითად, ცნობილი ადგილი ილია ჭავჭავაძის „კაცია ადანიანი?!“-დან:

—მეზვრემ მწვანილი მოიტანა?—ჰკითხა და კიდევ ბატონი.

—მოიტანა.

—ტარხუნა ხომ არის?

—გახლავთ.

—კიტრი?

—კიტრიც გახლავს“.

არას ვამბობთ „მოიტანასა“ და „გახლავს“ სიტყვათა შენაბე, რადგან, როგორც ცნობილია, მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა, სათქმელის ხერხემალია და იგი ხშირად მთელი წინადადების მაგიერებას ეწევა. მაგრამ სიტყვა, რომელიც ნხოლოდ საგნის სახელია, სათქმელზე ნაწილობრივ წარმოდგენასაც ვერ იძლევა. ცალკე ნათქვამი სიტყვა „კიტრი“, მართალია, მიუთითებს გარკვეულ საგანზე, მაგრამ სათქმელის, ურთიერთობის თვალსაზრისით არაფრის მაუწყებელია. ზევით მოტანილ ადგილში კი იგი მთელი წინადადების ბადალია.

რანია საქმე?

საქმე ისაა, რომ ამ დიალოგამდე შექმნილი სიტუაციის მეობებით „კიტრი“ მთელი წინადადების ძალას იძენს, იგი ნიშნავს: „კიტრიც ხომ არის?“.

როცა ტრამვაიში ასვლისას კონდუქტორი აცხადებს „ბილეთი“ იგი გვეუბნება: „მოქალაქე, შეიძინეთ სამგზავრო ბილეთი“, ყოველ შემთხვევაში, სიტყვა „ბი-

ლეთი“ ჩვენთვის ასეთი მნიშვნელობის მქონეა. ეს კი განპირობებულია იმ სიტუაციით, რომელიც ჩვენთვის ცნობილია გაპოცდილებიდან.

სულ სხვა აზრია ჩაქსოვილი სიტყვაში „ბილეთი“, რომელიც კონტროლიორის მიერაა ნათქვამი. იგი ნიშნავს: „მოქალაქე, წარმოადგინეთ სამგზავრო ბილეთი“. აქაც სიტუაცია გვიკარნახებს ამ სიტყვის ასეთი მნიშვნელობით გაგებას.

ამრიგად, ცალკეული სიტყვა შეიძლება ასრულებდეს მთელი წინადადების მაგიერებას, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, თუ წინასწარ ცნობილია სიტუაცია, რაც საშუალებას გვაძლევს, ერთი სიტყვით გავიგოთ მთელი სათქმელი; საერთოდ კი მოლაპარაკესა და მსმენელს შორის ურთაერთობა მყარდება წინადადებით, რომელიც შედგება სიტყვებისაგან.

რა არის სიტყვა?

ყველაზე უფრო გავრცელებული გაგებით სიტყვა არის ბგერა ან ბგერათკომპლექსი, რომელიც მიუთითებს რაიმე მნიშვნელობაზე; ან სიტყვა არის მნიშვნელობის მქონე უმციო-რესი ერთეული ენისა.

სიტყვა ჩვენს ცნობიერებაში, ჩვეულებრივ, გაფორმებული სახითაა; იგი სრულიად განზადებულია მეტყველების უკვეში ჩასართველად, რათა გვერდში აძოუდგეს წინამავალს და გაუმზადოს ადგილი მომდევნოს.

მეტყველების პროცესში ჩვენ არ გვკირდება ვეძებოთ სიტყვის ფუძე, რიცხვის მაწარმოებელი, ბრუნვის ნიშანი თუ სხვა რაიმე „ნიშანი“. ვილაკის უბილაეი ხელი, საჭირო შემთხვევაში, სიტყვებს უკვე შესაფერის ფორმაში გამოწყობილს გვიგზავნის.

ამიტომ ძნელია იმის თქმა, კერძოდ, თუ რა ფორმაშია, ვთქვათ, სახელები ჩვენს მეხსიერებაში (ე. წ. პასიურ მარაგში): სახელობით ბრუნვაში, მიცემითში, მხოლოდ ფუძის სახით, თუ ერთშიც, მეორეშიცა და მესამეშიც.

სიტყვათა სალექსიკონო ფორმები (სახელთათვის—სახელობითი ბრუნვა, ზმნათათვის—საწყისი...), რომლებიც ენათა

სპეციფიკის მიხედვით მრავალნაირია, ხელოვნურადაა შედგენილი და ვერაერთარ შემთხვევაში ვერ გადმოგვცემს ადამიანის თავში არსებულ მდგომარეობას.

რადგან სიტყვა ჩვეულებრივ, გაფორმებულია, რადგან იგი სხვა სახით არ გვხვდება, ზოგ მეცნიერს ეს აძლევს საფუძველს იფიქროს, რომ სიტყვა დამოუკიდებლად არ არსებობს, იგი მხოლოდ წინადადებაში იძენს თავის მნიშვნელობას (იხ. აქვე პოტენზიას შეხედულებათა განხილვა).

მართალია, სიტყვა შეტყვევებაში იქცევა ენის ელემენტად. იგი ყოველთვის გაფორმებული სახით გვევლინება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სიტყვა, როგორც ასეთი, ზოგადი მნიშვნელობით არ არსებობს.

ისე როგორც მსახიობი სხვადასხვა როლის შესრულების შემდეგ მაინც რჩება თავის თავად (საკუთარ პერსონად), სიტყვაც, სხვადასხვანაირად გაფორმების მიუხედავად, მაინც რჩება იმ ზოგადის მიმთითებლად, რაც მას აკისრია, როგორც ცნების გადმომცემს, ცნების ფორმალურ გარსს.

სიტყვის დამოუკიდებელ არსებობას, უწინარეს ყოვლისა, მისი მნიშვნელობითი მხარე განაპირობებს და ამიტომ არასწორია განხილულ იქნეს სიტყვა, როგორც მხოლოდ ფორმა.

სიტყვაში მნიშვნელობისა და ფორმის ერთიანობა ენობრივი ფენომენის თავისებურებითაა გამოწვეული.

სიტყვის დამოუკიდებლად არსებობის აღიარება მისი შესწავლის აუცილებლობასაც გულისხმობს, ამიტომაც ენათმეცნიერებაში გამოყოფენ დარგებს (სემასიოლოგია, ეტიმოლოგია, მორფოლოგია), რომლებიც შეისწავლიან ცალკეულ სიტყვებს.

ყოველ ენაში სიტყვათა რაოდენობა ათეული ათასობით აღირიცხება. ბევრი მათგანი აქტიურ ხმარებაშია, უფრო მეტი შეადგენს საერთო მარაგის პასიურ ნაწილს. უაღრესად დიდია ყოველი ენის სიტყვათა პოტენციური მარაგი<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. Г. Глусон, Введение в дескриптивную лингвистику, М., 1959 г.

ენის სიტყვობრივი მარაგის შესწავლის გასაადვილებლად სიტყვები დააჯგუფეს გარკვეული ნიშნის მიხედვით, რამაც საბოლოოდ მიგვიყვანა მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრებამდე, ანუ მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციამდე; მეტყველების ნაწილები ხომ, ბოლოს და ბოლოს, რაიმე ნიშნის (ან ნიშნების) მიხედვით გამოყოფილი სიტყვათა ჯგუფებია.

რა ნიშნების მიხედვით ხდება მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია (სიტყვათა ჯგუფებად დაყოფა); არსებობს თუ არა ისეთი ნიშანი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა სიტყვათა ერთი ჯგუფი მკვეთრად გაგვემიჯნა მეორისაგან; სიტყვის რომელი მხარე უნდა იყოს გადაწყვეტი კლასიფიკაციაში: მნიშვნელობა, ფორმა, თუ ორივე ერთად?—აი, საკითხები, რომლებიც აინტერესებს ენათმეცნიერებას.

დიონისე თრაკიელთან გათვალისწინებული იყო სიტყვის ორივე მხარე—მნიშვნელობაცა და ფორმაც; ყურადღება ექცეოდა აგრეთვე მის ფუნქციებს მეტყველების ჯაჭვში—წინადადებაში.

დიონისე თრაკიელის აზრით, არსებითი სახელი არის სიტყვა, რომელიც მიუთითებს საგანზე და იბრუნვის; ზმნა არის სიტყვა, რომელიც გადმოგვცემს მოქმედებას და იუღელის.

თითქოს აქ ყველაფერი რიგზეა, ბერძულში არსებითი სახელი იბრუნვის, ზმნა იუღელის; მაგრამ განა ყველა ე. წ. არსებითი სახელი, რომელიც იბრუნვის, საგნის სახელია? ან განა ყველა ზმნა მოქმედებას გადმოგვცემს?

როგორც ცნობილია, ქართულში იბრუნვის საწყისიც (წერა-მ, წერა-ს). როგორ მოვიქცეთ, „სიტყვა“ წერა შევიტანოთ თუ არა არსებით სახელთა რიგში? თუ ფორმას მიექცევა ყურადღება, იგი არსებითია. თუ მნიშვნელობას—არა; რუსულშიც სიტყვები მიუთითებენ საგანზე (на что, чем...), მაგრამ არ იბრუნვიან; ზმნები გადმოგვცემენ მოქმედებას (рапорт, а...о), მაგრამ არ იუღელიან.

როგორ განვმარტოთ ქართულში საწყისი და რუსულში ИЛГО-სა და ДНО-ს ტიპის სიტყვები, ან რა ვუყოთ ИДИ-ТАИ...И,...О-ს ტიპის ფორმებს?

ამათ გვერდით დგება სხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და რთული საკითხი, კერძოდ: როგორც ვთქვით, სიტყვები, ჩვეულებრივ წინადადებაში გვხვდებიან, სადაც არ არსებობს არავითარი მიჯნა სიტყვათა ჯგუფებს შორის. წინადადებაში არსებობის ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს ზმნაც, ნაწილაკიც, შორისდებულიც და რომელიც გნებავთ მეტყველების ნაწილი: „შეშინებულმა ბავშვმა ვაი დაიძაია“ აქ „ვაი“ პირდაპირი დამატებაა და არსებობის როლში გამოდის, თუმცა „ვაი“ ჩვეულებრივ შორისდებულთა ჯგუფში შეაქვთ. „ზარმაცს საკმელი არ უნდა“ ამ წინადადებაში „უნდა“ რომ ზნაა, ცხადია, მაგრამ „მუშაობის შემდეგ საკმელი უნდა ექამოთ“. — „უნდა“ უკვე ნაწილაკია.

მეტყველების ნაწილთა თანამედროვე კლასიფიკაციას (რომლის მიხედვითაც ქართულში გვაქვს: 1. არსებითი სახელი, 2. ზედსართავი სახელი, 3. რიცხვითი სახელი, 4. ნაცვალსახელი, 5. ზმნა, 6. ზმნიზედა, 7. კავშირი, 8. ნაწილაკი, 9. თანდებული, 10. შორისდებული) აქვს სხვა ნაკლიც. ამ კლასიფიკაციაში ზოგი ჯგუფი გამოყოფილია როგორც ფორმის, ისე მნიშვნელობის მიხედვით (სახელები, ზმნა); ზოგი — მხოლოდ მნიშვნელობის მიხედვით (ზმნიზედები); ზოგი — იმის მიხედვით, თუ რა როლი აქვს მეტყველებაში (კავშირი, თანდებული); სიტყვათა ერთი ჯგუფი (შორისდებულები) კლასიფიკაციაში ენოხდნენ ყოველგვარი ნიშნის გარეშე — მათ, როგორც ცნობილია, არც ფორმა აქვთ და არც მნიშვნელობა (იგულისხმება რაიმეზე მითითების უნარი).

სწორედ ამიტომაც, რომ მეტყველების ნაწილთა თანამედროვე კლასიფიკაცია ვერაა მკვიდრ მენციერულ საფუძველზე დამყარებული.

საკითხავია, შესაძლებელია თუ არა სიტყვათა დაჯგუფება საკლასიფიკაციო ნორმათა ლოგიკური პრინციპების დაცვით? ამისათვის საჭიროა: იმ ენის გრამატიკული წყობის თავისებურებათა გათვალისწინება, რომელი ენაც კვლევის ობიექტია;

ყოვლად შეუძლებელია ერთი ენის მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის სქემა გადატანილ იქნეს მეორე ენაზე; სიტყვათა დაჯგუფება შეიძლება მრავალგვარი იყოს, მაგრამ საკლასიფიკაციო ნიშნის რაობის საკითხი უნდა გადაწყვიტოს იმ დარგმა, რომლის შიგნითაც ვახდენთ კლასიფიკაციას: სემასიოლოგიაში კლასიფიკაციის საფუძველი მნიშვნელობის ფაქტორი უნდა იყოს; მორფოლოგიაში კლასიფიკაცია ფორმას, სიტყვათა მორფოლოგიურ ნიშანს უნდა ეყრდნობოდეს.

ამის გარდა საჭიროა, მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია, წარმოდგენილი სასკოლო გრამატიკებში, განსხვავდებოდეს კლასიფიკაციისგან, რომელიც აღწერითს გრამატიკებში გვექნება. სწავლების გაადვილების მიზნით, სასკოლო გრამატიკაში მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის დროს შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სიტყვათა შინაარსობლივი მხარეც.

---



## I. ანგიკური ხანის მოაზროვნანი და მოძღვრება მაგყველანის ნაწილზე

მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრების ისტორია შორეული წარსულიდან იწყება. ზოგი მეცნიერი მის სათავეებს არისტოტელესთან ეძებს; მეცნიერთა დიდი უმრავლესობა მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრების ისტორიას, სამართლიანად, იწყებს ალექსანდრიის სკოლის გრამატიკოსებიდან; ზოგ მეცნიერს იგი უფრო შორეულ წარსულშიც გადააქვს: მაგალითად, ვლ. სოლოვიოვის აზრით, პროტაგორს (სოფისტთა ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი 470 — 380 ძვ. წ. აღ-ით) აუცილებლად მიუჩნევია ენისა და აზროვნების თეორიული შესწავლა. წიგნებში, რომლებიც ჩვენამდე არ მოღწეულა, იგი თურნე იხილავდა მეტყველების ელემენტებისა და ფორმების გამოყენების საკითხებს<sup>1</sup>.

პროტაგორის შესახებ ასეთივე აზრისაა გ. ი. როზენ-შტრაუხიც. იგი წერს: „ნამდვილი ინტერესი გრამატიკისადმი, სიტყვის დღევანდელი გაგებით, აღმოცენდა მხოლოდ სოფისტებთან. მათ პირველებმა მოჰკიდეს ხელი საფუძვლიანად ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხის სპეციალურ შესწავლას. პროტაგორი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი სოფისტთაგანი, დაინტერესებული იყო გრამატიკული სქესი-

---

<sup>1</sup> Энциклопедический словарь, изд. Ф. А. Брокгауз и И. А. Ефрон, т. XXV, стр. 504.

სა და წინადადების შინაარსის განსაზღვრის პრობლემით<sup>1</sup>. ამ მოსაზრებათა მიხედვით უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ პროტაგორზე, როგორც ენის საკითხების მკვლევარსა და გრამატიკოსზე და ამდენად მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრების ერთ-ერთ დამწყებზეც მაგრამ, თუ ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეფიქრობთ ასეთი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია.

აი ის ფრაგმენტები, რომლებსაც პროტაგორს მიაწერენ:

1. „პროტაგორმა პირველმა დაყო მეტყველება (πρῆξις) ოთხად — კითხვა, თხოვნა, პასუხი, ბრძანება — და უწოდა მათ მეტყველებათა განშტოებანი (ἡ παρὰ τὰ ἑξ ἑπιπέπληται πρῆξις)“ — დიოგენეს ლაერტი, თილოსოფოსთა ცხოვრება, IX, გვ. 53 — 54.

2. „პროტაგორმა სახელთა სქესი დაყო: მამრობითად, მდედრობითად და საგნისად“ — არისტოტელე, რიტორიკა, II, გვ. 1 — 5.

3. „პროტაგორი ამბობდა  $\mu\eta\upsilon\alpha\iota\varsigma$  (რისხვა) და  $\pi\eta\lambda\eta\varsigma$  (მუზარადი) მამრობითი სქესისა“ — არისტოტელე, სოფისტურ დამტკიცებათა შესახებ, გვ. 14<sup>2</sup>.

როგორც მოტანილი ფრაგმენტებიდან ჩანს, პროტაგორის ნაშრომების ორიგინალს ჩვენამდე არ მოუღწევია. მის შესახებ ვმსჯელობთ არისტოტელესა და გაცილებით გვიანი დროის ისტორიკოსის — დიოგენეს ლაერტის — მიხედვით. ესეც რომ არ იყოს, ჩვენი აზრით, მოტანილი ფრაგმენტები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მათი ავტორი გამოეცხადოთ გრამატიკული აზროვნების დამწყებად, თანაც „ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით“; არ შეიძლება აგრეთვე ვამტკიცოთ, რომ პროტაგორი ბერძნულ ენაზე მორფოლოგიურ დაკვირვებას ახდენდა, როგორც ამას

<sup>1</sup> Г. П. Розенштраух, Грамматическая система Диониса Фракийского. Автореферат диссер. на соискан. учен. степ. канд. филолог. наук, Львов, 1953, гв. 3.

<sup>2</sup> ფრაგმენტები მოტანილია წიგნიდან Античные теории языка и стиля, М. — Л.; 1936, гв. 33. ამ წიგნს შემდგომში შემოკლებით „Антич. теории“ მოვიასწავებთ.

ი. ტრონსკი ფიქრობს<sup>1</sup>. თუმცა ამავე წიგნში თვითონ ტრონსკი რამდენიმე გვერდის შემდეგ წერს: „ანტიკურ თეორიას არ შეეძლო ნეცნიერულ საფუძველზე დაემყარებინა ენაში შემჩნეული ერთგვარობა, რადგანაც იგი ვერ არჩევდა სიტყვის მორფოლოგიურ ელემენტებს“<sup>2</sup>. ამ შემთხვევაში „ანტიკურ თეორიაში“ ტრონსკი ალექსანდრიის გრამატიკასაც გულისხმობს. მაგრამ საკითხავია, როგორ უნდა მივაწეროთ პროტაგორს მორფოლოგიური დაკვირვებების წარმოება, თუ ასეთ დაკვირვებებს ვერ ახდენდნენ ალექსანდრიელი გრამატიკოსებიც კი?

პროტაგორს მართლაც შეეძლო მეტყველების დანაწილება კითხვის, პასუხის, ბრძანებისა და თხოვნის სახეებად, მაგრამ არა გრამატიკის ან მორფოლოგიის ცოდნის საფუძველზე, არამედ ინტონაციის საფუძველზე. ინტონაცია და ფონეტიკასთან დაკავშირებული ზოგი სხვა საკითხი, როგორც ცნობილია, ანტიკურ საბერძნეთში დიდის მონდომებით მუშავდებოდა მუსიკის და პოეზიის (კერძოდ მეტრიკის) საკითხთა რიგში. პროტაგორს შეეძლო ესა თუ ის სახელი გრამატიკული სქესისად გამოეცხადებინა ბუნებრივი სქესის საფუძველზე, ისე რომ სრულიადაც არ დასკირებოდა მისი დროისთვის არარსებული გრამატიკა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი დასკვნის გამოტანაა მხოლოდ შესაძლებელი იმ ფრაგმენტებიდან, რომლებსაც პროტაგორს მიაწერენ და რომლებსაც ჩვენამდე მოუღწევიათ; ხოლო, რაც შეეხება ვლ. სოლოვიოვის განცხადებას, რომ პროტაგორი თავის წიგნებში წერდა ენისა და აზროვნების შესახებო, სარწმუნოდ ვერ ჩაითვლება. ძნელია ილაპარაკო იმის შესახებ, თუ რა ეწერა იმ წიგნში, რომელსაც ჩვენამდე ვერ მოუღწევია, და რომლის შესახებაც მხოლოდ ვარაუდით შეიძლება მსჯელობა.

ენის საკითხებს, მსგავსად პროტაგორისა, ეხებოდნენ ანტიკური ხანის სხვა ფილოსოფოსი-მოაზროვნენიც, კერძოდ: პარმენიდე (VI—V საუკ. ძვ. წ. აღ.), ჰერაკლიტე

<sup>1</sup> Антич. теория... გვ. 15.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 27.

(544 — 484 ძვ. წ. აღ.), დემოკრიტე (470 — 411 ძვ. წ. აღ.) და სხ.

ყველა ამ ფილოსოფოსს ძირითადად ერთი მიზანი ჰქონდა: გამოეყვლია, თუ როგორ დაერქვა საგანს სახელი, ე. ი. როგორი დამოკიდებულებაა საგანსა და მის აღმნიშვნელ სახელს შორის.

თ. გომპერცის აზრით<sup>1</sup>, ჰერაკლიტე მომხრე ყოფილა იმ თეორიისა, რომლის მიხედვითაც საგანს სახელი უნდა დარქმეოდა ხმის მიმსგავსებით. დემოკრიტე საწინააღმდეგო თეორიის მიმდევარი ყოფილა. დემოკრიტეს აზრით, საგანს სახელი დარქმევია წინასწარი შეთანხმებით<sup>2</sup>.

საგნისათვის სახელის დარქმევის საიდუმლოებათა გარკვევას ცდილობს ანტიკური ხანის უდიდესი ფილოსოფოსი პლატონი (430 — 348 ძვ. წ. აღ.) დიალოგ „კრატილში“.

ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს „კრატილის“ მოპაექრეთა შორის (სოკრატი, გერმოგენი, კრატილი) პაექრობის მიმდინარეობასა და შედეგს, რადგან „კრატილის“ გადასაწყვეტი პრობლემა ფილოსოფიური ხასიათისაა და ჩვენს საკითხთან კავშირი არა აქვს; თუმცა „კრატილში“ ერთი რამ ჩვენთვისაცაა საინტერესო: მასში ნახსენებია: „სახელი“, „ზმნა“ და ნათქვამია, რომ მათი შეკავშირება იძლევა წინადადებას<sup>3</sup>. აქვეა მოცემული ბგერათა კლასიფიკაციის ერთგვარი ცდაც<sup>4</sup>.

ტერმინებს „სახელსა“ და „ზმნას“ აგრეთვე ხშირად ვხვდებით პლატონის მეორე დიალოგ „სოფისტში“. მაგრამ „სახელისა“ და „ზმნის“ მხოლოდ ხსენება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა ენობრივი მოვლენების ასხნას. პლატონთან

<sup>1</sup> Т. Гомпериц, Проческие мысли, СПб., 1911, гл. 332.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 341. დემოკრიტეს ეს აზრი იწვევდა ეპიკურეელთა მხრით სასტიკ კრიტიკას. ისინი ირონიით შენიშნავდნენ: როგორ შეეძლოთ ადამიანებს შეთანხმება საგნის სახელის დასარქმევად. თუ მათ ენა არ ჰქონდათ.

<sup>3</sup> Антич. теория., гл. 53.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 48 — 49.

ეს ტერმინები განიხილება მხოლოდ ფილოსოფიურ ასპექტში;

პლატონი არ არის ენის საკითხების მკვლევარი.

ანტიკურ ხანაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არისტოტელეს (384 — 322 ძვ. წ. აღ.). ეს მრავალმხრივი მეცნიერი-ფილოსოფოსი თავის შრომებში საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს მსჯელობას ენის საკითხების შესახებ. თუ რა ასპექტში განიხილავს არისტოტელე ენის საკითხებს, ამაზე ქვემოთ ვიტყვი, ახლა კი აღვნიშნავთ, რომ მკვლევართა ერთი რიგი მას მიიჩნევს მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრების პიონერად.

დიონისე პალიკარნასელის ცნობით, თეოდექტი. არისტოტელე და მათი თანამედროვე სხვა ფილოსოფოსები ითვლიდნენ სამ მეტყველების ნაწილს, ყოფდნენ რა მეტყველებას სახელებად, ზინებად და კავშირებად. უფრო გვიან სტოელთა სკოლის ხელმძღვანელებმა კავშირიდან გამოყვეს ნაწევარი და მეტყველების ნაწილების რიცხვი აიყვანეს ოთხამდე... დიონისეს ამ მოსაზრებას მხარს უჭერს კვინტილიანეს ცნობაც<sup>1</sup>.

დიონისე თრაკიელის კომენტატორები პრისციანი და აპოლონიოს დისკოლი აღნიშნავენ, რომ არისტოტელესთან განხილულია მხოლოდ მეტყველების ორი ნაწილი — სახელი და ზმნა<sup>2</sup>.

ა. ბოროვკოვის აზრით, მოძღვრება „მეტყველების სამი ნაწილის შესახებ და სიტყვათა შესაბამისი დაყოფა — სახელებად, ზმნებად და ნაწილაკებად — მოგვცა არისტოტელემ. ხოლო მოძღვრება მეტყველების რვა ნაწილის შესახებ დამუშავებულია ალექსანდრიის სკოლის მიერ. ეს ორი ტრადიცია ახლაც ცოცხლობს გრამატიკულ ლიტერატურაში“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> И. М. Тронский, Учение о частях речи Аристотеля. Ученые зап. Лeningradского гос. Университета. филолог. наук. вып. 7, 1941. გვ. 20 — 21.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 21.

<sup>3</sup> А. Боровков, О частях речи в языке тюркской системы, Сборник „Революция в письменность“, № 2, М., 1936, გვ. 91.

ი. ტრონსკის უკვე დასახელებული სტატიის სათაურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ („Учение о частях речи Аристотеля“<sup>1</sup>) ისიც არისტოტელეს მიიჩნევს მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრების ფუძემდებლად. ამას ადასტურებს აგრეთვე სტატიის ბევრი ადგილი.

სხვაგან ი. ტრონსკი წერს: „ენობრივი პრობლემები არისტოტელეს სპეციალურად არ უკვლევია. იგი მათ ეხებოდა გაკვრით. ამა თუ იმ ლოგიკურ თუ რიტორიკულ გამოკვლევასთან დაკავშირებით. ეს შემთხვევითი არაა, რამდენადაც სიტყვა არისტოტელესათვის არის პირველ რიგში ბგერითი კომპლექსი, ხოლო სიტყვის სემანტიკური მხარე, ის სულიერი განცდები, რომლის ნიშანსაც სიტყვა წარმოადგენს, მთლიანად ენის სფეროს გარეთ ძეგს“<sup>1</sup>.

ამ ციტატაში ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებია გატარებული. „სიტყვა არისტოტელესათვის ბგერითი კომპლექსიაო“, წერს ავტორი. ეს მართლაც ასეა. ბგერებს ანტიკურ ხანაში რიტმიკა შეისწავლიდა. სიტყვის მნიშვნელობა მთლიანად ენის სფეროს გარეთ ძეგს არისტოტელესთვისო, შენიშნავს აგრეთვე ტრონსკი. თანაც იქვე უმატებს: ენის პრობლემებს არისტოტელე გაკვრით მაინც სწავლობდაო. საკითხავია, რას სწავლობდა არისტოტელე, თუნდაც გაკვრით, თუ მისთვის შესასწავლი პრობლემა დამოუკიდებლად არ არსებობდა?

როცა ვლაპარაკობთ არისტოტელესთან მეტყველების ნაწილების შესახებ, უნდა დაზუსტდეს, თუ რა იგულისხმება ტერმინ „მეტყველების ნაწილებში“.

ალექსანდრიის სკოლის გრამატიკოსებისათვის მეტყველების ნაწილი იგივე იყო, რაც წინადადების ნაწილი (დღევანდელი მნიშვნელობით), ე. ი. წინადადების ნაწილი (წევრი), ესა თუ ის სიტყვა, ამავე დროს იყო მეტყველების ნაწილი.

---

<sup>1</sup> Антич. теория..., გვ. 21- 22.

მეტყველების ნაწილთა თანამედროვე გაგება, ან ის გაგება, რომელსაც ალექსანდრიის სკოლა ემყარება, განსხვავებულია არისტოტელესეული გაგებისაგან. მაგრამ კითხვა ისმის, რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ არისტოტელესთან არის „სახელი“, „ზმნა“, „კავშირი“ და სხვა ტერმინები? რატომ არ შეიძლება ამ ტერმინების არსებობაზე დაყრდნობით არისტოტელე მივიჩნიოთ მეტყველების ნაწილთა დაყოფის ავტორად?

საქმე ისაა, რომ ეს ცნებები მხოლოდ არისტოტელესთან არ გვხვდება. ი. ტრონსკის აზრით, „კავშირსა“ და „ნაწევარს“, ჩვენ პირველად სოკრატეს (436 — 338 ძვ. წ. აღ.) სკოლის წარმომადგენლებთან ვხვდებით. ტერმინები იθισια და ρημα. რომელთაც არისტოტელე ხმარობს სახელისა და ზმნისათვის, მომდინარეობს ბერძნული ენობრივი თეორიის უფრო ადრინდელი პერიოდიდან<sup>1</sup>.

„სახელი“ და „ზმნა“ გვხვდება აგრეთვე პლატონის „კრატილში“. „სოფისტში“ კი პლატონი მიუთითებს, რომ „სახელისა“ და „ზმნის“ შეერთება გვაძლევს წინადადებას“<sup>2</sup>.

მიუხედავად ამისა, ჯერ არავის არ უცდია მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრება დაწყეთ სოკრატედან ან პლატონიდან.

როცა ლაპარაკობენ არისტოტელესთან მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის შესახებ, მხედველობაში აქვთ მისი „პოეტიკის“ მე-20. თავი, სადაც ნათქვამია: „ყოველ სიტყვობრივ გადმოცემაში (в слове) არის შემდეგი ნაწილები: ელემენტი, მარცვალი, კავშირი, სახელი, ზმნა, ნაწევარი, ბრუნვა, წინადადება“<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> И. М. Тронский, Учение о частях речи Аристотеля (Учен. записки Ленинградского гос. Унив-та, филолог. наук., вып. 7, т. 1. 1941), გვ. 26.

<sup>2</sup> Антич. теория..., გვ. 58.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 62. ტექსტი მოგვაქვს რუსული თარგმანის მიხედვით.

მეტყველების ყოველი ნაწილის დახასიათებისას არისტოტელეს საკლასიფიკაციო ნიშნად აღებული აქვს, ერთი მხრივ, ბგერითი მხარე, მეორე მხრივ, ის, რომ ბგერა ან ბგერები, გადმოგვეცემენ ან არ გადმოგვეცემენ რაიმე მნიშვნელობას.

როგორც აღვნიშნეთ, არისტოტელეს მოღვაწეობის პერიოდში არც ბგერა და არც მნიშვნელობა ენობრივი თვალსაზრისით არ განიხილება.

მაშასადამე, არისტოტელეს კლასიფიკაცია არ ეყრდნობა ენობრივ ნიშნებს; მიუხედავად ამისა, იგი მაინც მიიჩნევა ენობრივი ცნებების კლასიფიკაციად, რაც შეცდომაა.

გარდა ამისა, როცა არისტოტელეს კლასიფიკაციას განვიხილავთ, საკითხავია, რატომ ლაპარაკობენ მის ოთხ შემადგენელ ნაწილზე და არა რვაზე?—იქ ხომ რვა ნაწილია წარმოდგენილი (ელემენტი, მარცვალი, კავშირი, სახელი, ზმნა, ნაწევარი, ბრუნვა, წინადადება). ჩამოთვლილ ნაწილთაგან არისტოტელეს კლასიფიკაციაში არც ერთს უპირატესობა არ ეძლევა—ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული ელემენტი, მარცვალი, ბრუნვა, სახელი, წინადადება და ა. შ. ყოველი მათგანი მნიშვნელობის მქონე ან არმქონე ბგერებია.

თქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: მართალია, არისტოტელესთან გვაქვს ტერმინები „სახელი“, „ზმნა“, „ნაწევარი“ და „კავშირი“, მაგრამ ეს არ გვაძლევს საკმაო საფუძველს ვილაპარაკოთ მასზე, როგორც მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის პირველ ავტორზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით საკიროა აგრეთვე გავითვალისწინოთ ბენფეი-ჰაიზე-შტაინთალის აზრი ანტიკური ხანის მოაზროვნეთა შესახებ.

როგორც ცნობილია, გერმანელი მეცნიერი ჰაიზე იყო შტაინთალის მასწავლებელი. ჰაიზეს წიგნი „ენათმეცნიერების სისტემა“ შტაინთალმა გამოსცა ავტორის სიკვდილის შემდეგ. ეს იყო წიგნის პირველი გამოცემა. წიგნს შტაინთალმა სათანადო შენიშვნები დაურთო. იქ, სადაც მოწაფე მასწავლებელს არ ეთანხმება, აღნიშნულია, რომ მოითხოვს შესწორებას, და კიდევ ასწორებს. დანარჩენ შემთხვევებში, უნდა ვიფიქროთ, შტაინთალი ჰაიზეს მოსაზრე-

ბებს იზიარებდა. ამ წიგნში ჰაიზე, ბენფეის დამოწმებით, წერს: „უცხოალი დამკვირვებლობის დიდი უნარისა და ფილოსოფიური კვლევისადმი მიდრეკილების შედეგად ბერძნები ადრე ჩაუფიქრდნენ ენის საკითხებს, მაგრამ უფრო ენის სულთან, გარეგანი ფორმის შინაგან შინაარსთან დამოკიდებულების საკითხს საერთოდ; უფრო ფილოსოფიის ასპექტში საერთოდ, ფილოსოფიისა და ლოგიკის მეთოდის ასპექტში, ვიდრე თვით საკუთრივ ენის გულისთვის. გარდა ამისა რიტორიკული მიზნებისათვის. ასეთებია სოფისტები, პლატონი, არისტოტელე, სტოელები...“<sup>1</sup>

ეს ციტატი კომენტარებს არ საჭიროებს: იგი მიუთითებს, რომ ალექსანდრიის სკოლამდე მოაზროვნენი, თვით არისტოტელეს ჩათვლით, არ იყვნენ ენის მკვლევარი.

თქმული საკმარისია დასკვნისათვის: არისტოტელე არ ყოფილა ენის მკვლევარი, მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრებას არისტოტელესგან ვერ დავიწყებთ. არისტოტელეს შრომებში ბევრ ენობრივ ფაქტზეა ლაპარაკი, ბევრი „ენობრივი“ ტერმინია ხმარებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვით ავტორისათვის ენა, როგორც ცალკე შესასწავლი საგანი, არ არსებობს.

\* \* \*

ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალებას მოჰყვა მისი უზარმაზარი სახელმწიფოს დაშლა, მაგრამ ეს სახელმწიფო უკვალოდ როდი მიდის ისტორიის ასპარეზიდან. იგი შემკვიდრედ ტოვებს ე. წ. ელინურ პერიოდს.

---

<sup>1</sup> „При помощи в высшей степени живой наблюдательности и склонности к философским изысканиям, греки рано начали размышлять о языке, однако более об отношении языка к духу вообще, наружной формы к внутреннему содержанию, более в видах философии вообще, в видах философской методы и логики, чем ради самого языка. Кроме того и для целей риторических. Таковы софисты Платон, Аристотель, стоики...“ (В. А. Гейзе, Система языковедения, журн. „Филологические записки“, 1862, вып. 1, стр. 10)

ამ ეპოქაში, რომელიც თითქმის ხუთი საუკუნე გრძელდებოდა (III საუკ. ძვ. წ. აღრ. II საუკ. ახალი წ. აღრიცხვით), ფილოსოფიაში მოღვაწეობდნენ სტოელები. სტოელები აღრინდელ ფილოსოფოსთა მსგავსად ენის საკითხებს ფილოსოფიისა და ლოგიკის თვალსაზრისით უდგებიან.

მკვლევრები სტოელებს მიაწერენ მრავალი ისეთი ტერმინისა და კატეგორიის პირველ შემუშავება-გამოყენებას, რომლებიც შემდეგ გრამატიკულმა მოძღვრებამ გამოიყენა ენობრივი მოვლენების აღსანიშნავად.

სტოიციზმის უდიდეს წარმომადგენელს ქროსიპს (III საუკ. ძვ. წ. აღ.) მიეწერება ტერმინი „ეტიმოლოგიის“ შემოღება. მანვე გამოყო სახელისაგან ზოგადი და კერძო.

არისტოტელესთან ხმარებული „ნაწევარი“ სტოელებმა გამოიყენეს ნაცვალსახელებისა და განსაზღვრებითი ნაწილაკების გადმოსაცემად. სტოელებს მიაწერენ ზმნის სამი (აქტიური, პასიური და საშუალო) გვარის დადგენას, დროთა შორის „გაგრძელებულისა“ და „დასრულებულის“ გარჩევას. რაც მთავარია, სტოელებმა შემოიღეს ბრუნვების დასახელება: 1) სახელობითი, ანუ პირდაპირი, ბუნებრივი ბრუნვა; 2) ნათესაობითი, ანუ ბრუნვა ხარისხისა; 3) მიცემითი, ანუ ბრუნვა მიცემისა; 4) ბრალდებითი ბერძნულში ნიშნავდა ბრუნვას, რომელიც განიცდის მოქმედებას 5) წოდებითი. შემდგომ ბრუნვების ამ რიცხვს რომაელებმა მიუმატეს თავიანთი მეექვსე ბრუნვა — აბლატივი („მოქმედებითი“).

ეს ის ბრუნვებია, რომელთა სახელებმაც ლათინურის გზით შემდგომში ფართო გავრცელება პოვეს.

სტოელთა ფილოსოფიური სკოლის პარალელურად ელინურ ეპოქაში იქმნება მძლავრი კულტურული ცენტრები ალექსანდრიასა და პერგამში (შემდგომში ალექსანდრიის და პერგამის სკოლად წოდებული). განსაკუთრებით გამოირჩეოდა ალექსანდრიის სკოლა. მისი წარმომადგენლები იყვნენ ისეთი გამოჩენილი ფილოლოგი-მკვლევრები და მასწავლებლები, როგორცაა: ზენოდოტ ეთესელი, არისტოფან ბიზანტიელი, არისტარქი, დიონისე თრაკიელი და სხვები.

## II. მეფეველები ნანილთა მესახებ მოძღვრების ჩასახვა — პლექსანდრიის სკოლა

ალექსანდრიის სკოლის მოღვაწეობა ემთხვევა იმ პერიოდს, როცა ფილოსოფიისა და ლიტერატურის აყვავების ხანა წარსულს ეკუთვნის, თუმცა ფილოსოფიური და ლიტერატურული მუშაობა ამ პერიოდში არა თუ წყდება, არამედ ახალი ძალით ჩაღდება, მხოლოდ სხვა მიმართულებით: ამ სკოლის საქმიანობის ობიექტი ახლა წარსულის მემკვიდრეობის გამოცემა-კომენტირებაა.

რადგან ამ დროისათვის თითქმის გაუგებარი ხდება პომეროსისა და მისი მომდევნო ხანის მწერალთა ენა, სწავლულთა წინაშე დაისვა საკითხი ამ მწერალთა ენის ფილოლოგიური ძიებისა. რა თქმა უნდა, ფილოლოგიური ძიების ობიექტი იყო არა მხოლოდ პოეტური კმნილებანი; კვლევა-ძიების არეში მოხვდა წარსულის ყოველი ხელნაწერი ძეგლი. ტექსტებს იკვლევდნენ ყოველ მხრივ, მათ შორის ენობრივადაც.

პირველი „გრამატიკა“ იყო ძველი ტექსტების შესწავლის მიზნით წარმოებულ გამოკვლევათა კრებული. უფრო გვიან „გრამატიკამ“ მიიღო ჯერ ენის შემსწავლელის. ხოლო შემდეგ — ენის წყობის გადმოცემის მნიშვნელობა.

ერთი სი აყვით, ძველი ტექსტების გამოცემა-კომენტირების დაწყებამ ბიძგი მისცა ამ ტექსტებზე ენობრივი დაკვირვების წარმოებას, რამაც, თავის მხრივ, ენის დაწვრილებით შესწავლამდე მიგვიყვანა. ეს იყო სწორედ ერთი მიზეზთაგანი იმისა, რომ ამ პერიოდში შეიქმნა ბერძნული ენის გრამატიკა მისი საფუძვლიანი აღწერით.

ალექსანდრიის გრამატიკის წარმოშობას სხვა მიზეზებიც ჰქონდა.

ფილოსოფოსთა შორის ძველმა ბრძოლამ გამოცახილი პოეა ელინურ ეპოქაშიც. ახლა ერთმანეთს ებრძვის ორი ფილოსოფიური მიმართულება: სტოელები, რომელთა დევიზია „ანომალია“, და სკეპტიკოსები, რომელთა დევიზია „ანალოგია“. პირველთა აზრით, ენაში აღგილი აქვს უამრავ წინააღმდეგობასა და შეუსაბამობას: („ყვავი“ ბერძნულში მუდამ მამრობითი სქესისაა; იგი იხმარება, როგორც დედალი, ისე მამალი ყვავის აღსანიშნავად; ხოლო „კუ“ ყოველთვის მდედრობითი სქესისაა, ერთნაირად აღნიშნავს როგორც დედალს, ისე მამალ კუს). მეორეთა — „ანალოგისტების“ — აზრით, ენაში ბატონობს კანონები, მსგავსებანი.

ეს ბრძოლა ფილოსოფოსებისგან ფილოლოგებთან გადავიდა.

ალექსანდრიის სკოლის უდიდესი წარმომადგენელი არისტარქი „ანალოგიის“ მომხრე ყოფილა. „ანომალიის“ დამცველად გამოსულა პერგამის სკოლის გამოჩენილი მოღვაწე კრატესი.

თეორიული ბრძოლა ორივე სკოლის წარმომადგენელთა იძულებდა ენა შეესწავლათ ღრმად, საფუძვლიანად. ამა თუ იმ სკოლის მიერ წამოყენებული ახალი დებულება ახალი ენობრივი ფაქტებით უნდა ყოფილიყო გამაგრებული, რაც მოითხოვდა მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან საწინააღმდეგო დებულებათა გამოძებნას და ახალ ენობრივ ფაქტთა დადგენას.

შეკველია, ამ ორი ფილოლოგიური სკოლის ურთიერთპაექრობა იყო აგრეთვე მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რომ გამახვილდა ყურადღება ენის ფაქტთა შესწავლისადმი, რამაც, თავის მხრით, ხელი შეუწყო გრამატიკის შექმნას.

ჩვენამდე მოღწეული უძველესი გრამატიკა, რომელიც შემუშავებულია ალექსანდრიის სკოლის მიერ, ეკუთვნის დიონისე თრაკიელს (II ს. ძვ. აღ.).

ეს ნაშრომი ადასტურებს, რომ ალექსანდრიელი გრამატიკოსები კარგად ერკვეოდნენ ენობრივ საკითხებში. მარ-

თალია, ბევრი რამ დიონისე თრაკიელის გრამატიკის მეთოდოლოგიური საფუძვლებისა დღეს ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს, მაგრამ ამის მიზეზი, უპირველესად ყოვლისა ისაა, რომ ენის შესახებ ალექსანდრიის გრამატიკულ მოძღვრებას სათავეები უდევს ფილოსოფიასა, ლოგიკასა, რიტორიკასა და სხვა მეცნიერებებში. ფილოსოფოსს თუ ლოგიკოსს არ შეეძლო არ აღენიშნა ენის ფაქტები, რომლებიც მას ფილოსოფიის ან ლოგიკის საკითხების კვლევისას სჭირდებოდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლოგიკის გავლენა ენობრივი ნოვლებების ინტერპრეტაციის საქმეში. ამ უკანასკნელმა ისე ძლიერ გაიდგა ფეაი, რომ ენის ფაქტთა ანალიზი უფრო ხშირად ხდებოდა ლოგიკური კრიტერიუმებით და არა ენის თავისებურებათა გათვალისწინებით.

დიონისე თრაკიელის გრამატიკა რომაელების მიერ თარგმნილი იქნა ლათინურ ენაზე. მას შემდეგ, რაც მასში გაითვალისწინეს ლათინური ენის ზოგი თავისებურება, მას დაეკისრა ლათინური ენის გრამატიკის როლის შესრულება. რომიდან კი ეს გრამატიკა პრისციანისა და დონატის მეშვეობით ფართოდ გავრცელდა მთელს ევროპაში<sup>1</sup>.

დიონისე თრაკიელის გრამატიკა, მიუხედავად მისი ემპირიული ხასიათისა, არის პირველი გრამატიკა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ენის, როგორც დამოუკიდებელი მოვლენის, შესწავლას. მაგრამ, თუ ენის ნამდვილი მეცნიერული კვლევა დიონისე თრაკიელის გრამატიკის დაწერიდან თითქმის

---

<sup>1</sup> დიონისე თრაკიელის გრამატიკა აჟო, თუ შეიძლება ითქვას, წყარო, საიდანაც მომდინარეობს ლათინურის და შემდეგ ევროპის ყველა ენის გრამატიკები. რომელმა გრამატიკოსებმა მიიღეს ძირითადად დიონისე თრაკიელის გრამატიკულ დებულებები და მასში შეიტანეს მეტად მცირე ცვლილებები. ამიტომ, ერთი მხრით, ალექსანდრიის გრამატიკოსთა და, მეორე მხრით, რომაელ გრამატიკოსთა ნააზრევს სრული უფლებით შეიძლება ეწოდოს ალექსანდრიის გრამატიკული სისტემა და ყველა იმდროინდელი გრამატიკა პირობით გაერთიანდეს „ალექსანდრიის გრამატიკის“ სახელწოდებით.

20 საუკუნის გასვლის შენდევ დაიწყო, ამის მიზეზი იყო საშუალო საუკუნეებში გამეფებულ სქოლასტიკა, რომელმაც დიდი ხნით შეაფერხა მეცნიერული კვლევისადმი ყოველგვარი მიდრეკილება.

დიონისე თრაკიელის გრამატიკა ერთადერთი შრომაა, რომელშიაც პირველად დასრულებული სახითაა გადმოცემული მოძღვრება მეტყველების ნაწილების შესახებ. ამავე შრომაშია მოცემული მეტყველების ნაწილთა პირველი კლასიფიკაციაც.

ალექსანდრიის გრამატიკოსთა თვალსაზრისით, „გრამატიკა არის ემპირია, ცოდნა, ან ხელოვნება იმისა, რასაც ამბობენ პოეტები და პროზაიკოსები“.

როგორიც არ უნდა იყოს გრამატიკის განსაზღვრა, რადაც არ უნდა იქნეს იგი მიჩნეული: „ცოდნად“ თუ „ხელოვნებად“, ზემოთ მოტანილი განსაზღვრიდან ერთი რამ ცხადია: გრამატიკის შესასწავლი ობიექტი არის მხოლოდ ის, „რასაც ამბობენ პოეტები და პროზაიკოსები“.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ პერიოდში ენის პრობლემებით დაინტერესებულია მხოლოდ გრამატიკა, აშკარა გახდება ანტიკურ პერიოდში ენის მეცნიერული შესწავლის შეუძლებლობის მიზეზი. ალექსანდრიის გრამატიკოსებისათვის ენის შესწავლა იყო არა მიზანი, არამედ საშუალება: ენა შეისწავლება იმდენად, რამდენადაც იგი საჭიროა ტექსტების ამოშიფრვა კომენტირებისათვის.

გრამატიკის ასეთი განსაზღვრა მკიდრო კავშირშია მის ნაწილებად დაყოფასთან. დიონისე თრაკიელთან მას აქვს „ექვსი ნაწილი: 1) კითხვა, კარგად, პროსოდის შესაბამისად; 2) განმარტება არსებული პოეტური ტროპების შესაბამისად; 3) ყველასათვის გასაგებად გადმოცემა ცნელი სიტყვებისა და გამოთქმებისა; 4) ეტიმოლოგიის პოვნა; 5) ანალოგიის შერჩევა; 6) ნაწარმოების შეფასება, რაც ყველაზე უკეთესია ამ ხელოვნებაში“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „Части у нее шесть: первая — чтение, умелое, соответственно просодии, вторая — объяснение согласно различным поэтическим тропам, третья — общепонятная передача трудных слов и рассказов, четвертая — нахождение этимологии, пятая — отбор аналогий.

არსებითად ასეთია დიომედისა და ვარონისეული დაყოფაც<sup>1</sup>. გრამატიკის ასეთი დაყოფა გვიჩვენებს, რომ ექვსი ნაწილიდან სამი სრულიად არ ეხება ენობრივ საკითხებს, ხოლო საერთოდ ამ ხელოვნებაში ყველაზე უკეთესი (прекраснейшій) რამ ტექსტის შეფასებაა, რასაც, რა თქმა უნდა, ენის კვლევასთან არაფერი აქვს საერთო.

ერთი სიტყვით, ალექსანდრიის გრამატიკა არის ფილოლოგიის გაშლილი სახელმძღვანელო. ამიტომაც ბუნებრივია დიომედის შემდეგი სიტყვები: „გრამატიკა უმთავრესად გამოიხატება პოეტებისა და პროზაიკოსების გაგების, თბრობის მსუბუქად გადმოცემის, სწორად მეტყველებისა და წერის თეორიაში“<sup>2</sup>. ეს განსაზღვრა გრამატიკაში აღარაფერს ტოვებს ენობრივს.

ზოგადი განსაზღვრიდან ალექსანდრიის გრამატიკოსები გადადიან კერძო საკითხებზე. პირველი საკითხია ასოსა და ბგერის საკითხი (ალექსანდრიის გრამატიკა მათ წორის სხვაობას ვერ ამჩნევს), შემდეგ მოდის მარცვლის, მასვილისა და სხვა საკითხები.

საინტერესოა ის გარემოება, რომ სიტყვა, როგორც ასეთი, ცალკე პირველად ალექსანდრიის გრამატიკაში გვხვდება. ამ გრამატიკის მიხედვით, იგი არის: „გაბმული მეტყველების უმცირესი ნაწილი“ (დიონისე თრაკიელი) ან „დანაწევრებული ბგერა, რომელიც გადმოგვცემს რალაცა მოფიქრებულს“, ან კიდევ „დანაწევრებული ბგერა რალაც მნიშვნელობით, რომლისგანაც შედგება წინადადება“ (დიომედი). გვაქვს სიტყვის სხვანაირი განსაზღვრაც: იგი არის „უმცირეს ნაწილებად დაყოფილი. დანაწევრებული ბგერა, რომელიც ცალკე არის მოფიქრებული და თქმული, და რომელსაც აქვს ერთი მახვილი და ამოსუნთქვა“. ან კიდევ: „სიტყვა არის მარცვლები-

---

шестая — оценка произведений, что является самым прекрасным в этом искусстве“ (Литич. теория... გვ. 106).

<sup>1</sup> იქვე, გვ. 106

<sup>2</sup> იქვე, გვ. 106

საგან შემდგარი განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე დამთავრებული თქმა“ (речеише). (ქარისი)<sup>1</sup>.

დიონისე თრაკიელის განსაზღვრა მოკლე და მკაფიოა, მაგრამ სიტყვის დასახასიათებლად მაინც არ გამოდგება: — გამოშლი მეტყველების უმცირესი ნაწილი ბგერაა და არა სიტყვა.

არც ქარისის განსაზღვრაა უკეთესი, რომლის მიხედვითაც სიტყვა არის მარცვლებისაგან შემდგარი განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე თქმა“.

როგორც ცნობილია, არაა აუცილებელი, რომ სიტყვა მრავალი მარცვლისაგან შედგებოდეს; ზოგჯერ საკმარისია მხოლოდ ერთი მარცვალიც.

დანარჩენი სამი განსაზღვრა ერთმანეთთან ახლო დგას იმით, რომ ყოველი მათგანი სიტყვას ახასიათებს, როგორც დანაწევრებულ ბგერას, რომელსაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა.

რა თქმა უნდა, ამ განსაზღვრასაც აქვს თავისი ნაკლი. როგორც დღემდე არსებულ ყველა განსაზღვრას, მაგრამ იგი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ხაზს უსვამს მნიშვნელობისა და დანაწევრებული ბგერის ფაქტორს, რაც, მართლაც, აუცილებელია სიტყვისათვის.

სიტყვის ყველა, ზემოთ მოტანილი, განსაზღვრა აღიარებს, რომ იგი ნაწილია „თქმის“ (речы), ანუ წინადადების.

სიტყვის განსაზღვრას მოჰყვება წინადადების (речы) განსაზღვრა.

დიონისე თრაკიელის მიხედვით, „წინადადება არის სიტყვათა ნაერთი. რომელიც გამოხატავს დამთავრებულ აზრს“<sup>2</sup>. სხვა განსაზღვრები მეტ-ნაკლებად ახლოა დიონისე თრაკიელის განსაზღვრასთან: დამთავრებული აზრის გადმოცემაზე მიუთითებს თითქმის ყოველი მათგანი.

მავსადაამე, წინადადება შედგება სიტყვებისაგან, წინადადება გადმოგვცემს დამთავრებულ აზრს, სიტყვისთვისაც აუცილებელია აზრის (მნიშვნელობის) ფაქტორი.

წინადადების ნაწილების შესახებ ალექსანდრიის გრამატიკაში ლაპარაკია იმ განყოფილებაში, რომელსაც ჰქვია „მეტყველების ნაწილები“.

<sup>1</sup> Аятнч. теорнч... გვ. 117.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 118.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრიის გრამატიკამ ტერმინი „წინადადება“ ცალკე არ იცის. ამ გრამატიკაში სიტყვა აღნიშნება ტერმინით „lexis“. სიტყვის შემდეგ უფრო დიდი ერთეულია „logos“ — მეტყველება, თქმა; ანუ (დღევანდელი ტერმინოლოგიით) წინადადება. სწორედ ამ ენობრივი ერთეულის ნაწილებზეა ლაბარაკი იმ თავში, რომელსაც ჰქვია „მერე ტუ ლოგუ“ ანუ, მეტყველების ნაწილები: წინადადების ნაწილები.

ალექსანდრიის გრამატიკა წარმოგვიდგენს მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის ორ სქემას. დიონისე თრაკიელის სქემით, რომელიც ბერძნული ენის მასალას ეყრდნობა, მეტყველების ნაწილი რვაა: სახელი, ზმნა, მიმღეობა, ნაწევარი. ნაცვალსახელი, წინდებული, ზმნიზედა, კავშირი. რომელი გრამატიკოსი დონატიც ცნობს მეტყველების რვა ნაწილს: ესენია: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, მიმღეობა, კავშირი, წინდებული, შორისდებული. იქვეა აღნიშნული, რომ მათგან ცირითადია სახელი და ზმნა. დონატი დასძენს: რომაელები მეტყველების ნაწილებს არ მიათვლიან ნაწევარს, ბერძნები — შორისდებულს<sup>1</sup>.

ნაწევარი ბერძნებმა ბერძნული ენის მასალაზე დაყრდნობით გამოყვეს და კლასიფიკაციაშიც შეიტანეს, რომაელებმა კი იგი ლათინური ენის გრამატიკიდან ამოიღეს იმიტომ, რომ ლათინურ ენას ნაწევარი არ ჰქონდა. შორისდებულის ცალკე მეტყველების ნაწილად გამოყოფა რომაელების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

სანამ ამ კლასიფიკაციის პრინციპების განხილვასა და საერთო შეფასებას შევუდგებოდეთ, საჭიროა გავეცნოთ მეტყველების ნაწილთა იმ ნიშან-თვისებებს, რომლის მიხედვითაც ისინი სხვადასხვა ჯგუფებში შეაქეთ.

**სახელი.** დიონისე თრაკიელის მიხედვით, სახელი არია ბრუნვადი მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს სხეულს (მაგ., ქვა) ან საგანს (მაგ. აღზრდა). სახელი გადმოგვცემს როგორც საკუთარს (მაგ. სოკრატე), ისე ზოგადს (მაგ.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 118

ადამიანი). ქარისი ამ განსაზღვრას აზუსტებს. მას „სხეული-სა“ და „საგნის“ მაგიერ შემოაქვს ტერმინები: „სხეულებრივი“ და „არასხეულებრივი“, ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით: კონკრეტული და აბსტრაქტული. ამავე ქარისის აზრით, ბრუნვა სახელისთვის ერთერთი ძირითადი განსაზღვრელია.

დონატის კომენტატორისათვის სახელის განსაზღვრაში მთავარია ის, რომ იგი გადმოგვეცემს ზოგადს ან კერძოს, რადგან ასეთი რამის გადმოცემა არ შეუძლია მეტყველების არცერთ სხვა ნაწილს. ალექსანდრიის გრამატიკოსებმა იციან სახელის ყველა შესაძლებელი ცვლა: სქესი, ბრუნვა, რიცხვი, ხარისხი და სახე (VIII).

საინტერესოა, რომ ალექსანდრიის გრამატიკის მიხედვით ბრუნვა არის ბრუნვადი სიტყვის ფორმის ცვლა, რომელიც წარმოიქმნება უკანასკნელი მარცვლის ცვლით, სხვადასხვა მიმართულებით<sup>1</sup>, თუმცა ეს გრამატიკა არ იცნობს სიტყვის დაყოფას ფუძედ და აფიქსად. გრამატიკოსებმა არ იციან, რომ „უკანასკნელი მარცვალი“ სხვა რასმე აღნიშნავს და სიტყვის დანარჩენი ნაწილი — სხვას.

ზმნა. ამ გრამატიკოსთა მიხედვით, ზმნა არის მეტყველების ნაწილი. რომელსაც არა აქვს ბრუნვა. იგი იღებს: დროს, პირს. რიცხვსა და წარმოგვიდგენს მოქმედებას ან ენებას. ქერობოსკის აზრით, ბრუნვის არქონის აღნიშვნა ზმნის განსაზღვრისას იმიტომაა საჭირო, რომ ამით იგი უპირისპირდება მიმღეობას.

ალექსანდრიის გრამატიკოსებმა კარგად იციან, თუ რამდენნაირად შეიძლება იცვალოს ბერძნული ზმნა. მათი აზრით, ზმნას აქვს რვა „აქციდენცია“: კილო, გვარი, სახე, ქცევა, რიცხვი, პირი, დრო, უღლება. თითოეული „აქციდენცია“ დაწვრილებითაა განხილული და დახასიათებული. ზმნის განსაზღვრისას ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ, უცნობი გრამატიკოსის აზრით, კილო არის „სიტყვის ფორ-

<sup>1</sup> Антич. теор..., გვ. 124.

მა, რომელიც გვიჩვენებს. თუ როგორია სულიერი მოძრაობა<sup>1</sup> აქ ყურადღებას იქცევს ავტორის გამოთქმა „სიტყვის ფორმა“. თუ რას უნდა გულისხმობდეს ავტორი ამ გამოთქმაში, ძნელი გასაგებია — ალბათ, სიტყვის ბგერით ნაწილს საერთოდ.

სამი დროის (აწმყო, ნამყო და მყოფადი) გარდა, ვხედვებით აგრეთვე წარსულის ოთხი სახესხვაობის აღნიშვნას.

შეიძლება ეს იყო საფუძველი იმისა, რომ შემდგომი დროის გრამატიკოსები ზმნაში ეძებენ ხან ცხრის, ხან ათის, ხან კი მეტი ან ნაკლები დროის ფორმას.

მიმღეობა. მიმღეობა არის სიტყვა, რომელსაც აქვს სახელისა და ზმნის თავისებურებები. „აქციდენცია“ მიმღეობას იგივე აქვს, რაც სახელსა და ზმნას, გარდა პირისა და კილოსი<sup>2</sup> (დიონისე თრაქიელი)<sup>3</sup>. სხვა გრამატიკოსთა აზრით, მიმღეობის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი აკავშირებს სახელსა და ზმნას.

ნაწევარი. ნაწევარი არის ბრუნვადი მეტყველების ნაწილი, რომელიც ბრუნვად სახელებს უდგას ხან წინ, ხან უკან. „აქციდენცია“ მას აქვს სამი: სქესი, რიცხვი, ბრუნვა.

ნაცვალსახელი. ნაცვალსახელის განსაზღვრაში გრამატიკოსებს სხვადასხვა აზრი აქვთ, თუმცა განსხვავება მათ შორის დიდი არ არის. თითქმის ყველა გრამატიკოსისათვის ცხადია, რომ ნაცვალსახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც გამოიყენება სახელის მაგიერ: „აქციდენცია“ მას აქვს ხუთი: პირი, რიცხვი, სქესი, ბრუნვა, სახე.

ყველა გრამატიკოსი ერთხმად აღიარებს, რომ ნაცვალსახელი იცვლება პირის მიხედვით.

წინდებული. წინდებული არის მეტყველების ნაწილი, რომელიც დგას ყველა მეტყველების ნაწილზე წინ, როგორც სიტყვის, ისე წინადადების შედგენილობაში<sup>4</sup>.

ზმნიზედა. ზმნიზედა არის უბრუნველი მეტყველების ნაწილი. რომელიც გამოითქმის ზმნის შესახებ (წყისკა:წყისაეტქა

<sup>1</sup> იქვე, გვ. 125.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 131.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 134.

ო რაგონი) ან ემატება მას. აპოლონიოს დისკოლის აზრით, ზმნიზედა გადმოგვეცემს რალაცას ზმნის ფორმათა შესახებ. უზმნიზედოდ ზმნა უძლურია დაასრულოს აზრი.

რასაკვირველია, აპოლონიოსის ამ გამონათქვამში „ფორმა“ არ უნდა გაეიგოთ დღევანდელი მნიშვნელობით, მაგრამ საკითხავია, რატომ ჰგონია აპოლონიოსს, რომ ზმნას ზმნიზედის გარეშე არ შეუძლია აზრის დასრულებული გადმოცემა, ან რა იგულისხმება აზრის დასრულებაში?

ზმნიზედის საშუალებით გადმოცემულ აზრთა ნაირსახეობა ცნობილია ალექსანდრიის გრამატიკისათვის. დიონისე თრაკიელი იცნობს სხვადასხვა მნიშვნელობის გადმომცემ ზმნიზედათა ოცდაექვსამდე ჯგუფს.

კავშირი. კავშირი არის სიტყვა, რომელიც აკავშირებს აზრს გარკვეული რიგის მიხედვით და გამოამჟღავნებს ხარვეზებს აზრის გადმოცემისას<sup>1</sup>.

შორისდებულები. პრისციანის აზრით, შორისდებულებს ბერძნები განიხილავდნენ ზმნიზედებთან ერთად, რადგან ისინიც ან უერთდებიან ზმნებს, ან მათთან აუცილებლად იგულისხმებიან ზმნები.

პრისციანის, დონატის და ქარისის აზრით, შორისდებული გადმოგვეცემს „სულიერ აფექტს“.

ალექსანდრიის გრამატიკიდან ასეთი ვრცელი ამონაწერების მოტანა განპირობებულია იმ გარემოებით. რომ, როგორც წინათაც არაერთხელ აღვნიშნეთ, იგი არის პირველი დასრულებული გრამატიკა.

როგორც ვხედავთ, გრამატიკოსებს ბერძნული და ლათინური ენები კარგად შეუსწავლიათ და მათზე ღრმა დაკვირვების შედეგად შეუქმნიათ გრამატიკული სისტემა. მეტყველების ნაწილთა მოტანილი კლასიფიკაცია მიუთითებს მის შემქმნელთა დიდ ცოდნასა და ერუდიციასზე. ამ მოძღვრების სიძლიერეზე მეტყველებს ისიც, რომ ალექსანდრიის გრამატიკოსთა მიერ მოცემული მეტყველების ნაწილთა კლასიფი-

<sup>1</sup> Союз есть слово, связывающее мысль в известном порядке и обнаружившее пробелы в выражении мысли. Автнч. теор. л. гл. 136.

კაცია თითქმის 22 საუკუნეა ძალაში რჩება და მას დღესაც იყენებენ.

როცა ალექსანდრიის გრამატიკის შეფასებას ვიწყებთ, არ შეიძლება დავივიწყოთ ის გარემოება, რომ მეცნიერთა ნაწილი (ვ. თომსენი, ვ. შტაინთალი და სხვები) ამ გრამატიკაში ყველაზე დამუშავებულ დარგად მორფოლოგიას მიიჩნევს. მაგრამ საკითხავია, არის კი ეს ასე?

ალექსანდრიის გრამატიკის ნაწილებად დაყოფის განხილვისას დავინახეთ, რომ ამ გრამატიკაში ზოგი ისეთი ნაწილია, რომლებსაც დღეს არა თუ გრამატიკაში, არამედ საერთოდ ენათმეცნიერებაშიც არ ვხვდებით.

ეს გრამატიკა გადატვირთულია არაენობრივი საკითხებით. სამაგიეროდ იგი ნაკლებ ადგილს უთმობს წმინდა ენობრივს.

დღეს ენათმეცნიერებაში შედის დარგები: ფონეტიკა, ლექსიკოლოგია, სემასიოლოგია, ეტიმოლოგია, გრამატიკა (მორფოლოგია, სინტაქსი) და სტილისტიკა. ალექსანდრიის „გრამატიკული ხელოვნება“ შედგებოდა ფონეტიკისა და მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრებისაგან.

მაშასადამე, დიონისე თრაკიელის გრამატიკაში დღევანდელი მორფოლოგიის ადგილი უჭირავს მოძღვრებას მეტყველების ნაწილების შესახებ. მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ, დღევანდელი გაგებით, მორფოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სიტყვის ფორმებს. „მოძღვრება მეტყველების ნაწილებზე“ კი წარმოადგენდა სიტყვის თავისებურებათა გადმოცემას, რაც შემწინეულ იქნა ტექსტების ფილოლოგიური შესწავლის დროს.

მორფოლოგია, ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით, ალექსანდრიის გრამატიკისათვის უცნობი იყო.

მეტყველების ნაწილებიდან ალექსანდრიის გრამატიკაში ყველაზე უკეთესად არის შესწავლილი „სახელი“ და „ზმნა“. სახელის განსაზღვრის დროს ნათქვამია, თუ რას გადმოგვცემს იგი (სემანტიკური მხარე). ამასთან ერთად მითითებულია იმაზეც, რომ სახელი არის ბრუნვადი სიტყვა; ბრუნვა ნიშნავს სიტყვის ბოლო მარცვლის გარკვეული მიმართულებით ცვლას;

სახელს აქვს სქესი, რიცხვი და სხვა. ასევეა დახასიათებული ზმნაც.

ერთი სიტყვით, „სახელისა“ და „ზმნის“ განსაზღვრისას, მხედველობაშია მიღებული მათი შესაძლებელი ცვლილებანი. მაგრამ, რაც მთავარია, ალექსანდრიის გრამატიკამ არ იცის ამ ცვლის მეცნიერული საფუძველი.

ალექსანდრიის გრამატიკა სიტყვას არ ყოფს ფუძედ და აფიქსად; მან არაფერი იცის „სიტყვათცვლაზე“ (ამ ტერმინის დღევანდელი გაგებით), ე. ი. იმაზე, რაც წარმოადგენს მორფოლოგიის საფუძველს. ალექსანდრიის გრამატიკა ვერ ამჩნევს ფუნქციონალურ სხვაობას სიტყვის ფუძესა და მის დაბოლოებას შორის. მისთვის ცნობილია, რომ სიტყვის ბოლო მარცვლები იცვლებიან, მაგრამ ვერ ხედავს ამ ცვლილების მიზეზსა და დანიშნულებას. მოკლედ, იგი ხედავს მოვლენას. მაგრამ ვერ ხედავს არსს, ე. ი. იმას, რაც წარმოადგენს ამ მოვლენის საფუძველს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ალექსანდრიის გრამატიკოსები, მიუხედავად მრავალი მეტად გონებამახვილური დაკვირვებისა, ენაში ვერ ამჩნევენ ენობრივს.

აღნიშნული ფაქტი საყურადღებოა ორი მხრით; ჯერ ერთი, თქმულის გათვალისწინების შემდეგ საჭიროა სხვანაირად გავიგოთ თომსენისა და შტაინთალის დებულება: „ალექსანდრიის გრამატიკოსებთან ყველაზე კარგადაა დამუშავებული მორფოლოგია“ (თუ სხვა არაფერი, აქ საჭირო ხდება ტერმინოლოგიური დაზუსტება); ეს აგრეთვე მიუთითებს იმაზე, რომ ალექსანდრიის გრამატიკოსები ჯერ კიდევ ვერ იყვნენ განთავისუფლებულნი ლოგიკის გავლენისაგან.

ალექსანდრიის გრამატიკოსებს უთუოდ ჰქონდათ მრავალი მეტად კარგი დაკვირვება, საერთოდ, ენაზე და, კერძოდ, მის გრამატიკულ მოვლენებზე, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ისინი მოდიოდნენ არა ენობრივიდან აზრობრივი კატეგორიისაკენ, არაედ აზრობრივი კატეგორიებიდან ენობრივისაკენ.

გრამატიკოსები გამოდიან იქედან, რომ არსებობს სუბსტანცია და მის შესატყვისად ადგენენ ენაში არსებით სახელს; ისინი ემყარებიან იმ ფაქტს, რომ სინამდვილეში არსებობს

პირველი პირი (მოლაპარაკე), მეორე პირი (ვისაც ელაპარაკებიან) და მესამე პირი (ვის შესახებაც ლაპარაკია), ამის საფუძველზე ადგენენ პირებს. მაგრამ აქ მთელი სიძლიერით იჩენს თავს აზროვნების კატეგორიების ზეგავლენით ენის კატეგორიების დადგენის მანკიერება. რადგან გარჩეულია სამი სხვადასხვა პირი, ისინი წერენ: ნაცვალსახელი იცვლება პირების მიხედვით. ნაცვალსახელის მაგალითი ერთადერთი არ არის; მის გვერდით შეიძლება მრავალი მსგავსი მაგალითის დაძებნა. ეს აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ შეცდომაა ენის ფაქტთა დადგენა ლოგიკის კატეგორიებზე დაყრდნობით.

დიონისე თრაკიელის სიტყვათა კლასიფიკაცია ძირითადად ეყრდნობა მნიშვნელობის ფაქტორს. მისთვის მთავარია. რას გადმოგვცემს სიტყვა. მაგრამ ეს კლასიფიკაცია უყურადღებოდ არ ტოვებს სიტყვის ცვლასა და მის როლს სხვა სიტყვებთან დამოკიდებულებაში.

ერთი სიტყვით, დიონისე თრაკიელმა გაითვალისწინა სიტყვის ყველა მხარე: ფორმალური, შინაარსობრივი და ფუნქციონალური. მაგრამ სამივე ნიშნის ერთ კლასიფიკაციაში მოქცევამ გამოიწვია ამ კლასიფიკაციის ალოგიკურობა და მეცნიერულად არამტკიცე საფუძველზე დგომა.

დიონისე თრაკიელთან ენის შემსწავლელი დისციპლინის ზღვარების საკითხი უბრალოდ წყდება. მეტყველების ნაწილებს (წინადადების ნაწილებს) მოიცავს ერთი დისციპლინა --- მოძღვრება მეტყველების ნაწილებზე. წინადადების ნაწილები მისთვის ცალკე არ არსებობს და, მაშასადამე, არც ცალკე დისციპლინაა საჭირო.

წინადადების წევრების, მათი ადგილისა და დანიშნულების შესახებ არაფერი იცის აპოლონიოს დისკოლმაც, სინტაქსის შემქმნელმა. მისი მსჯელობა სიტყვათა აზრობრივ შეთანხმება-შეუთანხმებლობას ეხება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიონისე თრაკიელის კლასიფიკაციაში მეტყველების ყველა რვა ნაწილი ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული. მეტყველების ნაწილთა შორის სხვაობა უფრო გვიან შენიშნული აქვს დონატს. მისი აზრით, სახელი და ზმნა ძირითადი მეტყველების ნაწილებია, თუმცა არაფერს ამბობს

იმაზე, რატომაა ეს ორი მეტყველების ნაწილი ძირითადი ან რაში გამოიხატება ეს ძირითადობა.

ამრიგად, ალექსანდრიის გრამატიკოსების მიერ გამოყენებული ენობრივი ფაქტები ფილოლოგიური კვლევითაა მოპოვებული. ამ ფაქტების კლასიფიკაცია ძირითადად სემანტიკაზე დაყრდნობითაა გაკეთებული და ატარებს ლოგიკისა და ფილოსოფიის ბეჭედს. მორფოლოგია და სინტაქსი, ამ ტერმინების დღევანდელი გაგებით, ალექსანდრიის გრამატიკოსებთან არა გვაქვს. მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციაში წამყვანია აზრობრივი ფაქტორი, ხოლო სიტყვათა ცვლაზე მითითება (სახელები ბრუნვის მიხედვით, ზმნები უღლების მიხედვით) ფაქტების აღნუსხვითი ხასიათის მატარებელია.

ალექსანდრიის გრამატიკა, როგორც აღვნიშნეთ, საფუძვლად დაედო ევროპული ენების გრამატიკებს. უფრო მეტიც გრამატიკულ ტერმინთა დიდი უმრავლესობა დღესაც ან ალექსანდრიის გრამატიკებიდან მოდის, ან მათი პირდაპირი თუ არაპირდაპირი თარგმანია.

ალექსანდრიის გრამატიკის ასეთი ფართო გავრცელება აიხსნება ძირითადად ორი გარემოებით: ანტიკური ხანიდან მოყოლებული მე-19 საუკუნემდე ევროპაში გაბატონებული იყო ლათინური ენა (ევროპის ბევრ ქვეყანაში ლათინური ენა იყო ერთადერთი სამეცნიერო, სახელმწიფო და დიპლომატიის ენა). ამას ემატებოდა ისიც, რომ გრამატიკას ევროპაში გაეცნენ ლათინურის წყალობით.

ეს იყო ერთი მიზეზთაგანი იმისა, რომ ალექსანდრიის გრამატიკულმა სისტემამ ჩვენს ეპოქამდე მოაღწია.

ამ გრამატიკის ფართოდ გავრცელებას. ჩვენი აზრით, ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ 1660 წელს, საფრანგეთში, პორ-როიალის მონასტერში, არნოსა და ლანსლოს მიერ<sup>1</sup> შემუშავებულ იქნა ეგრეთ წოდებული „ზოგადი გრამატიკა“, რომელმაც უსიტყვოდ მიიღო ალექსანდრიის გრამატიკული სისტემა და, თავის მხრით, დაუმატა, რომ: ადამიანის გონებრივი შესაძლებლობა და მოქმედება ყველა ხალხში უცვლელია—

<sup>1</sup> მას ხშირად უწოდებენ რაციონალურ ან ფილოსოფიურ გრამატიკას; მე-17—18 საუკუნეებში გავიქვეყნდა მრავალი ასეთი გრამატიკა.

ნაშასადამე, ლოგია ერთია ყველა ხალხისთვის, ერთი უნდა იყოს გრამატიკაც; ამ გრამატიკას ექნება ყველა ენისათვის ვარგისი კანონები და წესები.

„ზოგადმა გრამატიკამ“, რომელსაც, მისი ლოგიკისტური პრინციპის გამო, შეიძლება „ლოგიკისტური გრამატიკაც“ ეწოდოს, ალექსანდრიის გრამატიკული სისტემა კანონად აქცია ყველა ენისათვის. ვფიქრობთ, ამას მოწმობს მ. ლომონოსოვის განცხადებაც. იგი, ჩამოთვლის რა მეტყველების ნაწილებს, წერს: „...მეტყველების ეს ნაწილები (მისი ტერმინოლოგიით, „სიტყვის ნაწილები“), ორი მთავარი და ექვსი უამხმარე ან მომსახურე. აუცილებელია იყოს ყველა ენაში, ამათზე მეტი სრულიად ზედმეტია“<sup>1</sup>.



---

<sup>1</sup> ... Сии части слова, две главные и шесть вспомогательных или служебных, должны быть по своей необходимости во всяком языке; больше сих, чайтельно, излишни“ (М. В. Ломоносов. Грамматика Российского языка, СПб., 1855, гл. 19, ხაზი ჩვენია, ა. ფ.).

### III. მეცხველების ნაწილები მისახებ მოძღვრება „ზოგადი გრამატიკის“ პრინციპების მიხედვით

საკიროდ მიგვაჩნია გავეცნოთ „ზოგადი გრამატიკის“ რიგ დებულებას. ამ გრამატიკაში ვკითხულობთ: „ენათა შესწავლის დროს ხელი უნდა შეეუწყოთ აზროვნების ხელოვნების შემეცნებას, ანუ გრამატიკა უნდა ემყარებოდეს ჯანსაღ ლოგიკას, რომელსაც თავის მთავარ საგნად ექნება მტყველება“<sup>1</sup>.

ამ ციტატიდან შეიძლება ისეთი აზრი გამოვიტანოთ, რომ ავტორი მოითხოვს გრამატიკის ზუსტად, ლოგიკურად შედგენას („საკიროა გრამატიკა ემყარებოდეს ჯანსაღ ლოგიკას“) მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ასე არაა. ავტორის აზრით: როგორც საშუალებებიც არ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა ხალხმა, მათ ყოველთვის უნდა გამოამტკიცონ თავიანთი ცნებები (понятия), აზრები (умствования); აზრის საგანთა (предметов мысли) გამოსავლინებლად ყოველთვის აქვთ სიტყვის საკიროება; ყოველ ენაში არის წინადადება, რომელსაც აქვს თავისი ქვემდებარე, თავისი კავშირი და თავისი შემასმენელი... „ყველა ენა აუცილებლად ექვემდებარება აზრის ლოგიკური დანაწევ-

---

<sup>1</sup> „При изучении языков все необходимое должно более или менее непосредственно способствовать к познанию искусства мысли, умствовать; т. е.: грамматика должна быть основана на здравой логике, имея главным своим предметом речь“ (Н. Пакки დე-Савიანი, Философская Грамматика языков или ключ ко всем языкам и литературам, сочинение классическое и ученое. Харьков, 1823, გვ. 9).

რების კანონებს ეს კანონები და წესები ყველგან და ყოველ-  
თვის ერთი და იგივეა, რადგან ადამიანის გონების თვისება  
და მისი უნარი სრულყოფისა არსებითად ერთნაირი და უც-  
ვლელია ყველა ხალხში. აქედან გამომდინარეობს, რომ არის  
მთავარი და ძირითადი საწყისები ყველა ენისათვის, ანუ არ-  
სებითი საწყისები. რომელთაც თავიანთ საფუძვლად უდევთ  
მეტყველების გრამატიკული და ლოგიკური კუთვნილება" <sup>1</sup>.

მეტყველების ორგვარი საწყისი (აზრობრივი და ენობრი-  
ვი. ლოგიკური და გრამატიკული) ფაქტია. ფაქტია ისიც,  
რომ მეტყველებაში ლოგიკური — საერთო საკაცობრიოა. მაგ-  
რამ „ფილოსოფიური“ გრამატიკა არა მარტო ლოგიკურს  
მიიჩნევს საერთო საკაცობრიოდ, არამედ — ენობრივსაც. „ფი-  
ლოსოფიური“ გრამატიკისათვის მეტყველების გრამატიკული  
კუთვნილება მდგომარეობს სიტყვათა ურთიერთშორის შეთანხ-  
მება-მართვის წესებში. რომელიც ყველა ენისათვის ერთი  
და იგივეა <sup>2</sup>. გრამატიკას მოეთხოვება ეარგოდეს სა-  
ხელმძღვანელოდ საერთოდ ენების კვლევის  
სასა <sup>3</sup>. ზოგადი გრამატიკა არის მეცნიერება, რომელიც გვა-  
სწავლის დაწერილ და წარმოთქმულ სიტყვათა ზოგადი წე-  
სების შესახებ ყველა ენაში <sup>4</sup>.

---

<sup>1</sup> „Все языки необходимо подлежат законам логического раз-  
бора мысли; и эти законы или правила везде и всегда одни и те же;  
ибо свойство и образ усовершенствования ума человеческого в  
сущности своей одинаковы и не изменны у всех народов. Отсюда  
следует, что есть главные и основные начала, общие всем языкам,  
т. е. существенные начала, имеющие своим основанием грамматичес-  
кую и логическую принадлежность речи“ (И. Павли де — Са-  
пини, Философская Грамматика..., გვ. 11).

<sup>2</sup> „Грамматическая принадлежность речи состоит в правилах  
согласования слов между собою и в разном управлении о них: ка-  
ковые правила для всех языков одни и те же“ (იქვე, გვ. 11).

<sup>3</sup> „Чтоб она могла служить руководством при исследовании  
языков вообще“ (იქვე, გვ. 19).

<sup>4</sup> „Всесообщая грамматика есть наука, рассуждающая об общих  
правилах слов, написанного или произнесенного во всех языках“  
(იქვე, გვ. 27).

მეტყველების ნაწილების შესახებ ამ გრამატიკაში ნათქვამია: „მეტყველების ნაწილები, გარდა ნაწევრისა, ჯველგან ერთნაირია, აგრეთვე ჯველგან ერთნაირია მათი განსაზღვრა და დანიშნულება“<sup>1</sup>.

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ზოგადი გრამატიკა. მიუხედავად თავისი ზოგადობისა, ამჩნევს სხვადასხვა ენის არსებობას. იგი მოითხოვს ზოგადის გვერდით შეიქმნას ცალკეულ ენათა გრამატიკა. მ. ლომონოსოვის აზრით „ზოგადი გრამატიკა არის ფილოსოფიური ცნება საერთო-საკაცობრიო სიტყვისა, ხოლო ცალკეული, როგორცაა რუსული გრამატიკა, არის ცოდნა, როგორ ვწეროთ და ვიკითხოთ წმინდა რუსულ ენაზე“<sup>2</sup>.

წერა-კითხვის სწავლა ასეთი გრამატიკით მართლაც შეიძლება. მაგრამ ამ გრამატიკას, რა თქმა უნდა. არ შეუძლია მეცნიერულად შეისწავლოს რუსული ენის სტრუქტურა, რადგან აქ სიტყვა-სიტყვით მეორდება ალექსანდრიის გრამატიკული სისტემის მიერ დადგენილი წესები და კანონები, მისი მეტყველების ნაწილებით.

მაშასადამე, ზოგადი, ფილოსოფიური გრამატიკების გვერდით. ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით, საჭირო ხდება სხვადასხვა ენის გრამატიკა. ყოველი ასეთი გრამატიკის ჩონჩხი, ფილოსოფიური გრამატიკის მიერ საერთო საკაცობრიოდ აღიარებული, ალექსანდრიის გრამატიკული სისტემაა. კერძო ენის გრამატიკად მისი ჩათვლა შეიძლება იმდენად, რამდენადაც მასალა უმეტესად აღებულია საორიენტაციო ერთი რომელიმე ენიდან. ავტორებს არ აინტერესებთ, უდგება თუ არა ბერძნული და ლათინური ენის გრამატიკის წესები და კანონები ამ ენის მასალას.

<sup>1</sup> „...Части речи, которые кроме члена всегда одинаковы и имеют одно определение и одно предназначение“ (Н. Паки де-Савини, Философская грамматика, გვ. 13).

<sup>2</sup> „Общая грамматика есть философское понятие всего человеческого слова: а особенная грамматика, какова российская грамматика, есть знание как говорить и писать чисто российским языком“ (М. В. Ломоносов, Российская Грамматика, СПб., 1855, გვ. 78).

ალექსანდრიის გრამატიკული სისტემა, მისი მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია (მეტად უმნიშვნელო ცვლილებებით) აქცა ტრადიციად. ამ ტრადიციის წყალობით იგი კარგა ხანს ბატონობს მეცნიერებაში და კიდევ უფრო დიდხანს სკოლაში.

ეს გრამატიკა ვერ ემიჯნება ლოგიკას. მას თავისი წესები და კანონები გამოყავს ლოგიკაზე დაყრდნობით. ამიტომაც მას უფრო ხშირად ლოგიკისტურს უწოდებენ.

განვიხილავთ ლოგიკისტური გრამატიკის ზოგ დამახასიათებელ დებულებას რუს ავტორებთან.

1755 წელს გამოქვეყნებული მ. ლომონოსოვის გრამატიკა წარმოადგენს ლოგიკისტური გრამატიკის ნიმუშს, რომლის მიხედვითაც მეტყველების ნაწილთა რაოდენობა რუსულში რვას უდრის. ესენია: სახელი, ზმნა, ნაცვალსახელი, მიმღეობა. ზმნიზედა, წინდებული, კავშირი და შორისდებული. მათგან ორი: სახელი და ზმნა, ძირითადია, დანარჩენი — დამხმარე<sup>1</sup>.

მეტყველების თითოეული ნაწილის დახასიათებისას ლომონოსოვისთვის ძირითადია მნიშვნელობა. იგი წერს: „ადანიანის სიტყვას აქვს მნიშვნელობის მქონე რვა ნაწილი: 1) სახელი — საგნის სახელწოდებისთვის; 2) ნაცვალსახელი — საუელწოდების შემოკლებისთვის; 3) ზმნა — მოქმედების სახელწოდებისთვის; 4) მიმღეობა — სახელისა და ზმნის ერთ გამოთქმაში გადმოსაცემად; 5) ზმნიზედა — ვითარების მოკლედ გამოხატვისათვის; 6) წინდებული — იმის გამოსახატევად, თუ ვის ეკუთვნის ვითარება; 7) კავშირი — ცნებათა ურთი-

---

<sup>1</sup> მეკლავრები ფიქრობენ, რომ მ. ვ. ლომონოსოვი თავისი გრამატიკის შედგენიას ხელმძღვანელობდა სმოტრიცკის გრამატიკით, ეს უკანასკნელი იყო ბერძნული გრამატიკის თარგმანიო (ს. ბულიჩი, ი. ი. დავიდოვი, კოჩეროვსკი) ფიქრობთ, ლომონოსოვის გრამატიკა უფრო ახლო ლათინურის (კერძოდ, დონატის) გრამატიკასთან, ვიდრე დიონისე თრაკიელის გრამატიკასთან. ამის საფუძველს ვვადგენს შემდეგი გარემოება:

ერთობის გამოსახატავად; 8) შორისდებული — სულის მოძრაობის გამოსავლინებლად მოკლედ“<sup>1</sup>.

ეს კლასიფიკაცია უკონენტარიებოდ მეტყველებს თავის თავზე. დიონისე თრაკიელთან სიტყვის ფორმალურ ცვლას თუნცა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ექცევა გარკვეული ყურადღება. ლომონოსოვის გრამატიკაში კლასიფიკაციიდან თორმის კრიტერიუმი საბოლოოდ განდევნილია. საკლასიფიკაციო ნიშნად მიჩნეულია მხოლოდ სემანტიკური ნიშანი. ამიტომ ლათინური ენის მეტყველების ნაწილები ასე კარგად მოერგო რუსულ ენას. რუსული ენის ფორმათა უგულებელყოფას ეს ფაქტი კარგად ააშკარავებს.

როგორც აქად ი. დავიდოვი შენიშნავს, ლომონოსოვის გრამატიკული სისტემა ასი წლის განმავლობაში რუსულ ენაზე გაძოქვეყნებული სახელმძღვანელოების ერთადერთი მასაზრდოებელი წყარო იყო<sup>2</sup>.

ა) ლომონოსოვი, ისე როგორც დონატი. მეტყველების ნაწილებს ყოფს ძირითადად და დამიშარედ. ასეთი რამ დიონისე თრაკიელის გრამატიკამ არ იცის.

ბ) ლომონოსოვთან, ლათინური ენის გრამატიკების მსგავსად, არა გვაქვს ხაწევა; უფრო მეტიც; ლომონოსოვის აზრით, ნაწევრის მეტყველების ნაწილად მიჩნევა ბერძნების შეცდომა იყო.

გ) ლომონოსოვი რუსულში ითვლის ათ დროს, მათი სახელწოდებები თარგმნილია ლათინურიდან. იგი ვერ ხედავს რუსული ენისათვის დამახასიათებელ ასპექტს (шпд-ს) და სხვა.

<sup>1</sup> „Поэтому слово человеческое имеет по семь частей знаменательных: 1) Имя для названія вещей; 2) местоимение для сокращения именований; 3) глагол для названія деяний; 4) причастие для сокращения соединенном имени и глагола в одно реченіе; 5) наречіе для краткого изображенія обстоятельств; 6) предлог для показанія принадлежности обстоятельств к вещам или деяніям; 7) союз для изображенія взаимности напихъ понятій; 8) междуместіе для краткого изъясненія движеній духа“. (М. В. Ломоносов, Полное собраніе сочиненій, т. VII, Труды по филологіи, гл. 408).

<sup>2</sup> М. П. Ломоносов, Российская грамматика СПб., 1855, აქად. ი. დავიდოვის შესავალი წერილი, გვ. XI.

მართლაც, თუ გადავხედავთ ა. ვოსტოკოვის, ნ. გრეჩის, ი. კალიდოვიჩის და სხვათა შრომებს. ენახავთ, რომ ისინი ვერ გასცილდნენ ლომონოსოვს და ძირითად პრინციპებში მას იმეორებენ.

ვოსტოკოვის აზრით, გრამატიკა არის სწორად წერისა და ლაპარაკის სახელმძღვანელო<sup>1</sup>. გრამატიკის ნაწილებია: სიტყვათწარმოქმნა (ეტიმოლოგია), სიტყვათშეერთება (სინტაქსი), სწორად წერა (ორთოგრაფია), მარცვალთმახვილი (პროსოდია). სიტყვათწარმოქმნა გვიჩვენებს, როგორ შედგება (составляются) სიტყვები, უკეთ რომ ვთქვათ. ყოფს ნათ შემადგენელ ნაწილებად, ყოფს სიტყვებს ჯგუფებად და ცვლის მათ<sup>2</sup>.

რუსულ ენაში შენაგალი ყველა სიტყვა იყოფა რვა ჯგუფად, ან მეტყველების ნაწილებად: 1) არსებითი სახელი, 2) ზედსართავი სახელი, 3) ნაცვალსახელი, 4) ზნა, 5) ზმნიბუდა, 6) წინღებული, 7) კავშირი, 8) შორისდებული.

მეტყველების ნაწილთა რაოდენობა ვოსტოკოვთან და ლომონოსოვთან ერთნაირია, მაგრამ სხვაობა მაინც გვაქვს. ვოსტოკოვის კლასიფიკაციაში არ არის ლომონოსოვთან წარმოდგენილი მიმღეობა, სამაგიეროდ ვოსტოკოვთან არის ზედსართავი სახელი, რომელიც ლომონოსოვთან არ გვხვდება.

განსაკუთრებით საგულისხმოა ვოსტოკოვის გრამატიკის შემდეგი ადგილი: „ყველა სიტყვას, თავდაპირველს თუ წარმოქმნილს, აქვს ძირი და დაბოლოება; დაბოლოება აქვთ იმ ბოლო ასოებს, რომლის დახმარებითაც სიტყვა განეკუთვნება რომელიმე ჯგუფს<sup>3</sup>. სიტყვათა ჯგუფები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან დაბოლოებებით. დაბოლოებები იცვლება: 1) სხვადასხვა მნიშვნელობის გადმოცემისათვის და 2) წარმოქმნის სინამდვილისათვის.

დაბოლოებათა ცვლას, რომელიც ემსახურება სხვადასხვა მნიშვნელობის გადმოცემას, შეიძლება ეწოდოს სიტყვათგანნა-

<sup>1</sup> А. Востоков. Русская грамматика. СПб, 1856. т. 1. ან გრამატიკის პირველი გამოცემა გამოვიდა 1831 წელს.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 2.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 4.

აავავებელი ცვლა... ცვლა შეიძლება იყოს მუდმივი და დროებითი. პირველი გამოიყენება წარმოქმნილ სიტყვათა შედგენისას, მაგ: отец, отеческий, отечество; მეორე—ბრუნვისა და უღლების დროს. ბრუნვა ეწოდება დაბოლოებათა დროებით ცვლას სახელებსა და ნაცვალსახელებში. უღლება ასახავს ასეთ-ავე ცვლას ზმნებში<sup>1</sup>.

მანასადამე, ვოსტოკოვის აზრით, მეტყველების ნაწილთა (ძისი ტერმინით, სიტყვათა ჯგუფების) განსხვავება ხდება დაბოლოებებით, რომელთაგან ერთნი იხმარებიან სიტყვათსაწარმოებლად (малышная) და მეორენი ბრუნვის ნიშნებლად (малышек, малышка); გამოდის, რომ малышная და малышка მეტყველების სხვადასხვა ნაწილია.

ვოსტოკოვთან, ლომონოსოვის მსგავსად, მეტყველების ნაწილთა საკლასიფიკაციო ნიშნად სიტყვის მნიშვნელობაა მიჩნეული, მორფოლოგიურ მხარეს არ ექცევა არავითარი ყურადღება. ვოსტოკოვი წერს: „არსებითი სახელი არის სახელწოდება ყოველგვარი საგნისა, რომელიც ჩანს, ან შეიძლება წარმოვიდგინოთ“<sup>2</sup>; „ზედსართავი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც გვიჩვენებს საგნის ნიშანს“<sup>3</sup> ... „ნაცვალსახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც ცვლის, ან ემატება არსებითსა და ზედსართავს“<sup>4</sup> და სხვა.

---

<sup>1</sup> „Перемена окончаний, служащие выражению разных значений, можно называть словоразличительными переменными.. Эти переменные суть постоянные и переменные: первые употребляются при составлении производных слов. напр: отец, отеческий, отечество вторые: при склонении и спряжении. Склонением называется временная перемена окончаний в именах и местоимении, а спряжением.—таковая же перемена в глаголе“ (А. Востоков, Русская грамматика, СПб., 1855, გვ. 4).

<sup>2</sup> „Существительное имя есть название всякого предмета видного или в уме представляемого“ (იქვე, გვ. 8).

<sup>3</sup> „Прилагательное имя есть разряд слов, показывающий признак предмета“ (იქვე, გვ. 37).

<sup>4</sup> „Местоимение есть разряд слов, заменяющий или дополняющий имена, как существительное, так и прилагательное“ (იქვე, გვ. 63).

ლომონოსოვისეპურია ვოსტოკოვის შეხედულება ზოგად და კერძო გრამატიკაზე.

ლომონოსოვისაგან უფრო შორს დგანან ნ. გრეჩი და ი. კალიდოვიჩი — ა. ვოსტოკოვის თანამედროვე და ცნობილი სწავლულნი.

ნ. გრეჩის „მოკლე რუსული გრამატიკა“, რომელიც პირველად 1828 წ. გამოვიდა, ერთი უველაზე უფრო გავრცელებული სახელმძღვანელო იყო მთელ რუსეთში. 1855 წლამდე იგი გამოდიოდა ყოველ წელს.

ნ. გრეჩმა წიგნად გამოსცა აგრეთვე სპეციალური ლექციები რუსული ენის შესახებ<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულ ორივე წიგნში ნ. გრეჩი ბევრ საინტერესო აზრს გამოთქვამს, გრამატიკის საგნის გაგებაში ორიგინალური ზაინცი არ არის. რუსული გრამატიკა გვასწავლის რუსულად სწორად წერასა და კითხვასო. — წერს იგი<sup>2</sup>.

მეტყველების ნაწილების შესახებ ნ. გრეჩი საკუთარი მოსაზრებისაა. მისი შეხედულებით, სიტყვები, რომლებიც ემსახურებიან აზრის გადმოცემას, შეიძლება იყვნენ ორნაირნი: სრულმნიშვნელოვანი (значительные) და დამხმარენი (служебные). პირველნი გადმოგვცემენ ცნებებს საგნებზე, მათ თვისებებსა და მოქმედებაზე; უკანასკნელნი არ გადმოგვცემენ ცნებებს მოქმედებების, საგნებისა და თვისებების შესახებ; ისინი ემსახურებიან სრულმნიშვნელოვან სიტყვებს შორის კავშირის აღნიშვნას.

სრულმნიშვნელოვანი სიტყვებია: идти. летать. подя და სხვა; დამხმარე სიტყვებია: да, нет, по, — на, აქვე შეგვიძლია გავაერთიანოთ; ох, — ах, — горе და სხვა.

სრულმნიშვნელოვან სიტყვებს გრამატიკებში ეწოდებათ მეტყველების ნაწილები, დამხმარე სიტყვებს კი — ნაწილაკები.

მეტყველების ნაწილები და მეტყველების ნაწილაკები მნიშვნელობისა და გამოყენების მიხედვით სხვადასხვაგვარია:

<sup>1</sup> И. Греч, Чтение о русском языке. СПб., 1840.

<sup>2</sup> И. Греч, Краткая русская грамматика, СПб., 1855, გვ. 1.

## მეტყველების ნა- წილები

- 1) არსებითი სახელი
- 2) ზედსართავი სახელი
- 3) ნაცვალსახელი
- 4) ზმნა
- 5) მიმღეობა
- 6) ზმნიზედა და „დეეპრიჩასტიე“

## მეტყველების ნა- წილაკები

- 1) წინდებული
- 2) კავშირი
- 3) შორისდებული

სიტყვების მეტყველების ნაწილებად და ნაწილაკებად და-  
ყოფა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პირველად ნ. გრეჩ-  
თანაა მოცემული. ასეთი დაყოფა უთუოდ ნაბიჯია წინ, ლომო-  
ნოსოვის ან ვოსტოკოვის კლასიფიკაციასთან შედარებით.

წარმოდგენილი სქემა საინტერესოა იმითაც, რომ აქ  
პირველადაა ნახსენები „დეეპრიჩასტიე“. ნართალია, იგი  
ცალკე მეტყველების ნაწილად არ არის გამოყოფილი (რაც  
სრულიად სწორია), მაგრამ ფაქტის აღნიშვნაც ბევრს ნიშ-  
ნავს. ნ. გრეჩმა იცის, რომ ზმნიზედა და „დეეპრიჩასტიე“  
ერთი და იგივე არ არის, თუმცა არაფერს ამბობს „დეეპრი-  
ჩასტიეს“ ცალკე ქვეჯგუფად გამოყოფის დასასაბუთებლად.

როგორც ვხედავთ გრეჩის სქემაში ორი ძირითადი ჯგუ-  
ფია. პირველი ჯგუფი გადმოგვცემს ცნებებს, ე. ი. მნიშვნე-  
ლობის მქონენი არიან; მეორე ჯგუფი არ გადმოგვცემს მნი-  
შვნელობებს (აქაც მნიშვნელობაა წინა პლანზე), მაგრამ  
ემსახურება სრულმნიშვნელოვან სიტყვათა შორის კავშირის  
აღნიშვნას. აქ ავტორისთვის სრულიად შეუმჩნეველად საკლასი-  
ფიკაციო ნიშანში შემოდის სინტაქსური ფაქტორი.

სიტყვათა კლასიფიკაციის დროს ასეთი ორი ჯგუფის გა-  
ნოყოფა უსაფუძვლო არ არის, მაგრამ გაკვირვებას იწვევს,  
თუ რატომ მოხვდა „მეტყველების ნაწილებში“ შორისდებუ-  
ლი. ამ ჯგუფის სიტყვები ხომ სიტყვათა ურთიერთკავშირის  
ემსახურება; შორისდებული კი არაფერს არ აკავშირებს.

მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის თავისებური სქემა აქვს წარმოდგენილი ი. კალაიდოვიჩს, ამიტომ მისი თვალსაზრისის მოკლე განხილვა არ იქნება მოკლებული ინტერესს.

ი. კალაიდოვიჩი გრამატიკის განსაზღვრისას ორიგინალობას არ იჩენს. მისი განმარტებით, „გრამატიკა არის მეცნიერება და ხელოვნება სწორად წერისა და მეტყველების შესახებ. რუსული ენის გრამატიკა გვასწავლის რუსულად ლაპარაკს. ლაპარაკობ. ე. ი. გადმოსცემ აზრებს სიტყვებით. სიტყვები არის იდეათა ნიშნები“<sup>1</sup>.

კალაიდოვიჩის აზრით, სიტყვები იყოფიან 12 ჯგუფად: 1) სახელი. 2) პირის დასახელება (პირის ნაცვალსახელი). 3) ზედსართავი, 4) რიცხვითი (სახელი), 5) „ყოფნა“ ზმნა (ცვლილებებით: არის, იყო, იქნება), 6) ზმნა, 7) საწყისი, 8) მიმღობა, 9) ზმნიზედა, 10) „დეებრიჩასტიე“. 11) წინდებული, 12) კავშირი. ამავე ჯგუფებთან უნდა გაერთიანდეს აგრეთვე წამოძახილები. რომლებიც გამოხატავენ არა იდეებს, არამედ გრძნობებს<sup>2</sup>.

ამ კლასიფიკაციის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას: 1) კლასიფიკაციაში შემოტანილია ახალი წევრები (რიცხვითი სახელი, ყოფნა ზმნა, საწყისი), 2) „დეებრიჩასტიე“ გამოყოფილია ზმნიზედიდან და ითვლება ცალკე მეტყველების ნაწილად, 3) მეტყველების ნაწილებში არ შედის შორისდებული.

<sup>1</sup> „Грамматика есть и наука и искусство говорить и писать правильно. Грамматика русского языка учит говорить по русски. Говорить значит выражаешь мысли словами. Слова суть знаки идей“ (И. Ф. К а л а и д о в и ч, Грамматика языка русского, 1, 1834, зб. 1).

<sup>2</sup> „Слова, как знаки идей, по значению своему с первого взгляда разделяются в русском языке на 12 разрядов: 1. имена; 2. название лиц (личное местоимение). 3. прилагательные, 4. числительные, 5. слова бытия (глагол есть с изменениями: буду, был..), 6. глаголы, 7. от глагола (неопределенное накл. глаголов), причастия, 9. наречия, 10. деепричастия, 11. предлоги, 12. союзы.

К сим разрядам должно присовокупить еще восклицание. выражающее не идеи, но ощущения“ (იქვე, გვ. 12).

შორისდებულის შეუტანლობა მეტყველების ნაწილთა სიაში გამართლებულია. იგი არ გადმოგვეცემს აზრებს, მას არა აქვს ფორმა; უფრო მეტიც, იგი ხშირად ფონეტიკურადაც გაუფორნებელი ერთეულია. შორისდებულებში შეიძლება შევიტანოთ გრძნობათა მოძრაობის გადმომცენი ისეთი ბგერათკომპლექსები, რომელთა დანაწევრება არც კი ხერხდება.

ამრიგად, ი. კალაიდოვიჩმა შორისდებულები არ შეიტანა მეტყველების ნაწილთა რიგში, რაც თავისთავად სწორია. მაგრამ მას არსად არა აქვს განმარტებული, თუ რატომ უღალატა ტრადიციას.

რიცხვითი სახელისა, საწყისისა და „დეპრიჩასტიეს“ ცალკე მეტყველების ნაწილებად გამოყოფა გაკვირვებას არ იწვევს. მნიშვნელობაზე დაყრდნობით ენაში სხვა ჯგუფების აღმოჩენაც შეიძლება, მაგრამ შეიძლება თუ არა ყველა მათ აღგილი ჰქონდეთ მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციაში. ეს უკვე სხვა საქმეა.

---

## XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუს ენათმეცნიერთა მოძღვრება გეოგრაფიის ნაწილზე

როგორც ცნობილია, ნამდვილ მეცნიერებას ენის შესახებ—ენათმეცნიერებას—საფუძველი ეყრება XIX საუკუნეში. ენათა კვლევის საქმეში ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებამ საფუძველი ჩაუყარა ენათმეცნიერებას. ენათმეცნიერების ფუძემდებლები არიან გერმანელი მეცნიერები ფრ. ბოპი (მის პარალელურად დანიელი რ. რასკი) და ი. გრიმი.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებანდე, როგორც ვნახეთ, ენობრივი ფაქტები შეისწავლებოდა ძველი ტექსტების ახსნა-კომენტარების მიზნით და მის პარალელურად იმისათვის, რომ ესწავლათ „სწორად წერა და კითხვა“ ან „სწორად მეტყველება“. ერთი სიტყვით, მისი მიზანი პრაქტიკულ გამოყენებას ზაინც არ სცილდებოდა.

სამწუხაროდ, ენათმეცნიერების შექმნამაც კი ვერ შეიტანა გარკვეულობა მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის საქმეში.

„ამ პერიოდში—წერს ბ. დელბრიუკი—ყველანი იმ მოსაზრებას ეთანხმებოდნენ, რომ წინადადება არის ლოგიკური მსჯელობის გამოხატულება. ამიტომ, როგორც მსჯელობა შედგება სამი წევრისაგან (სუბიექტი, პრედიკატი, კომპლუა), ასევე წინადადებაც შედგება სამი წევრისაგან“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> Б. Дельбрюк „Введение в изучение языка“, гл. 7. иб. С. Булич, Очерк истории языковедения в России.

შედარებითმა ენათმეცნიერებამ თავისი განვითარების პირველ ეტაპზე წინ ვერ წასწია მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის საქმე. ეს კარგად დავინახეთ უკვე განხილული სამი ენათმეცნიერის: კლაიდოვიჩის, გრეჩისა და ვოსტოკოვის შრომებიდან.

ამასვე ამტკიცებს ბუსლაევის ისტორიული გრამატიკა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ გვიან დაიწერა, მაინც ატარებდა ლოგიციზმის კვალს.

## 1. თ. ბუსლაევი

რუსული ენათმეცნიერების ისტორიაში თ. ბუსლაევს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი „Историческая Грамматика Русского языка“ ბევრ საკითხში დღესაც ინარჩუნებს გარკვეულ მნიშვნელობას.

ბუსლაევის „ისტორიული გრამატიკა“ ნამდვილად წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო შედარებით იმდროინდელ რუსულ გრამატიკულ აზროვნებასთან, მაგრამ იგი გამოცემის მეორე წელსვე გააკრიტიკეს. რეცენზენტი კ. აქსაკოვი საწართლიანად უსაყვედურებდა ბუსლაევს ლოგიციზმისათვის, რაც იმაში გამოიხატა, რომ ბუსლაევისათვის წინადადება არის მსჯელობა, გადმოცემული სიტყვებით. ლოგიკაზე დაყრდნობით განმარტავდა ბუსლაევი ქვემდებარეს და შემასმენელს. მისი აზრით, ის, რაზეც ჩვენ ვმსჯელობთ, წარმოადგენს ქვემდებარეს (სუბიექტს); ის, რასაც ჩვენ ვფიქრობთ ან ვმსჯელობთ ქვემდებარის შესახებ, არის შემასმენელი (პრედიკატი).

ბუსლაევის ლოგიციზმი გააკრიტიკა ა. პოტებნიამაც. ამ უკანასკნელის აზრით, „ისტორიული გრამატიკის“ ნაკლები ნხოლოდ ლოგიციზმი არ იყო; იქ ენა, როგორც მეცნიერების შესასწავლი ობიექტი, უსაფუძვლოდ იყო განაწილებული ორ დარგად. ბუსლაევმა რომ ენა ეტიმოლოგიის და სინტაქსის შესასწავლ ობიექტად გამოაცხადა, ეს იყო შეცდომაო, აღნიშნავს პოტებნია.

გრამატიკის ბუსლაევისებური დაყოფა ეტიმოლოგიად და სინტაქსად ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მონაპოვართა განზოგადოებად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ცნობილია, ისტორიულ-შედარებითმა ენათმეცნიერებამ ყურადღების ცენტრში დააყენა სიტყვის ბგერითი მხარე. მისი უდიდესი მონაპოვარი—სიტყვის ფუძედ და აფიქსად დაყოფა—ახლა მოითხოვდა ერთნაირად ეკვლიათ და შეესწავლათ აფიქსიცა და ფუძეც. შედარებითი მეთოდის გამოყენებამ დაამტკიცა, რომ ენათა სიახლოვე უნდა დაემყაროს ფორმათა სიახლოვეს.

ალნიშნულს უნდა მივმატოვოთ ის, რომ ბუსლაევი ენის ძირითადი ელემენტის განსაზღვრისას ჰუმბოლდტის თანამოაზრეა. ამ უკანასკნელის მსგავსად, სიტყვა ბუსლაევისთვისაც არ არსებობს ცალკე. იგი წინადადებაში ისხამს ხორცს. სიტყვა არის წინადადების ის ძირითადი ელემენტი, რომლის საშუალებითაც სდება აზრის გადმოცემა.

ყოველივე ზემოაღნიშნული უფლებას გვაძლევს ბუსლაევი ჩავთვალოთ თავის დროზე არსებული განსხვავებული ენათმეცნიერული თვალსაზრისების თავისებურ სინთეზად. ბუსლაევის შრომებში საკმაო პატივშია ლოგიციზმი; მხედველობაშია მიღებული ჰუმბოლდტის ენის ფილოსოფია და ყველაფერი ეს გამაგრებულია ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მიერ მოპოვებული უამრავი ფაქტობრივი მასალით.

გრამატიკა, თ. ბუსლაევის აზრით, არის მეცნიერება, რომელიც ცალკეულ გრამატიკულ ფორმებს აზოგადებს კანონებში და განასხვავებს გამოყენებიდან მომდინარე სახეცვლილებებს როგორც სალაპარაკო, ისე წიგნის ენაში<sup>1</sup>.

გრამატიკას ბუსლაევი, როგორც აღვნიშნეთ, ყოფს ორ ნაწილად: 1) ეტიმოლოგია, ანუ სიტყვათწარმოება და 2) სინ-

<sup>1</sup> „Грамматика есть наука о языке. Отдельные грамматические формы подводит она под общие законы и отличает видоизменения последних, происшедшие от употребления как в разговорном, так и в книжном языке“ (Ф. Буслаев, Историческая грамматика русского языка, I, 1893, гл. 24).

ტაქსი, ანუ სიტყვათშეერთება; პირველი შეისწავლის სიტყვას-ცალ-ცალკე, მეორე—წინადადებაში, სადაც სიტყვები შესიტყვებაში არიან ურთიერთდაკავშირებულნი. აღრინდელ გრამატიკებში აუცილებელ და ცალკე გამოყოფილ ნაწილს შეადგენდა ორთოგრაფია და პროსოდია; აქ ისინი განიხილებიან ეტიმოლოგიასა და სინტაქსთან ერთად.

როგორ ნაწილდება ფუნქციები ეტიმოლოგიასა და სინტაქსს შორის?

ბუსლაევი წერს: ენის ისტორიიდან ვრწმუნდებით, რომ პირველი ფორმა, რომელშიაც გამოიხატა მეტყველების შესაძლებლობა, არის უკვე მთელი წინადადება<sup>1</sup>. ენის დანიშნულებაა აზრის გადმოცემა; აზრის გადმოცემა შეიძლება მხოლოდ წინადადებაში. ანითომ მეტყველების ნაწილთა წარმოქმნა და მათი ცვლა ემყარება სინტაქსურ კანონებს, რადგან გამოწვეულია აზრის მოთხოვნით. ცალკეული სიტყვები (მათი წინსართები და დაბოლოებები—*представки и окончания*) მხოლოდ წინადადებაში ლებულობენ თავიანთ მნიშვნელობას.

ამრიგად, ცალკეული სიტყვები არიან ცოცხალი წევრები იმ ცოცხალი შედგენილობისა, რომელსაც წინადადება ეწოდება. ეტიმოლოგია არ განიხილავს ამ საგანს, რადგან მეტყველების ნაწილების მნიშვნელობა და ცვლა განისაზღვრება სიტყვათა სინტაქსური კავშირით.

ეტიმოლოგია განიხილავს მეტყველების ბგერით მხარეს, კერძოდ ბგერათა თვისებებს; წარმოქმნისა და შეერთების საშუალებებით სიტყვათწარმოებას და, ბოლოს, სიტყვათცვლას ბრუნებისა და უღლების ნიხედვით<sup>2</sup>. ერთი სიტყვით, ბუს-

---

<sup>1</sup> Ф. Буслаев, Историческая грамматика русского языка I, М., 1863. გვ. 5.

<sup>2</sup> „Она (т. е. этимология) рассматривает сначала свойства звуков, потом образование слов с помощью произношения и сложения, и наконец изменение слов по склонениям и спряжениям“ (იქვე, გვ. 24).

ლავეთან ეტიმოლოგია შეისწავლის ყველაფერს, რასაც დღეს განვიხილავთ მორფოლოგიასა და ფონეტიკაში; გვაკლია მოძღვრება მეტყველების ნაწილთა შესახებ.

მეტყველების ნაწილთა მნიშვნელობას და მათ გამოყენება-ცვლას გვიხსნის სინტაქსიო<sup>1</sup>—წერს ბუსლაევი.

წინადადება ბუსლაევისთვის არის „მაჯგელობა, გადმოცემული სიტყვებით“. ამიტომ იგი წიგნის მეორე ნაწილში, საკმაოდ ზუსტად გადმოგვცემს ფორმალური ლოგიკის დებულებებს, რის შემდეგაც იწკებს „წინადადების შედგენილობისა და მეტყველების ნაწილთა მნიშვნელობის“ განხილვას.

ჩვენ ადრე ვნახეთ, რომ ბუსლაევთან სიტყვები თავიანთ მნიშვნელობას ლებულობენ წინადადებაში წიგნის მეორე ნაწილში ავტორი უმატებს, რომ საკიროა: 1) განვიხილოთ სხვადასხვა სახის წინადადებათა თვისება და 2) ცალკეული სიტყვები, რომლებიც შედიან მეტყველებაში და წარმოადგენენ მის ნაწილებს. საგნის ნაწილი ნათელი ხდება მთელთან კავშირში; მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრებაც გამოიყვანება მეტყველების ანუ წინადადების განხილვიდან, რომლის ნაწილებსაც ისინი შეადგენენ<sup>2</sup>.

ბუსლაევი მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის დროს მიჰყვება ტრადიციულ კლასიფიკაციას. იგი წერს: „ენაში მეტყველების ცხრა ნაწილია: ზმნა, ნაცვალსახელი, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ზმნიზედა, წინდებული, კავშირი, შორისდებული“<sup>3</sup>.

მეტყველებაში სიტყვები იყოფიან იმის მიხედვით, თუ რას გადმოგვცემენ ისინი: ერთნი გადმოგვცემენ საგნებს, მათ თვისებასა და მოქმედებას; მეორენი—მათს ურთიერთდაკავშირებას. პირველი ჯგუფი სიტყვებისა იწოდებიან სრულმნიშვნელოვან სიტყვებად, მეორე—დანმბარებებად.

<sup>1</sup> „Синтаксис же объясняет значение и употребление частей речи и их изменение“. Ф. Буслаев. Историческая грамматика русского языка, ч. II, М., 1863. г., гл. 24.

<sup>2</sup> „Значение о частях речи выводится из разбора речи, т. е. предложений, из которых она складывается“, იქვე, გვ. 22.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 22.

სრულმნიშვნელობიანი მეტყველების ნაწილებია: არსებითი სახელი, ზედსართავი, ზმნა (დამხმარე ზმნის გამოკლებით). დამხმარე სიტყვების ჯგუფში ერთიანდება: ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, წინდებული, კავშირი და დამხმარე ზმნა. ზმნიზედა, რომელიც წარმოქმნილია დამხმარე<sup>1</sup> მეტყველების ნაწილებისაგან, ეკუთვნის დამხმარეებს; ხოლო სრულმნიშვნელობიანთაგან წარმოქმნილი — სრულმნიშვნელობიანებს. შორისდებული, ბუსლაევის აზრით, თავისი მნიშვნელობით შეადგენს ცალკე განყოფილებას, რადგან იგი გამოხატავს არა ლოგიკურ დამოკიდებულებას, არა საგნებს, არამედ ზოლაპარაკის გრძნობებს<sup>2</sup>.

ნეტად თავისებური შეხედულება აქვს ბუსლაევს სრულმნიშვნელობიან და დამხმარე სიტყვათა შორის განსხვავებაზე.

1) სრულმნიშვნელობიანი სიტყვებით გადმოგვეცემიან გარე საგნებიდან მიღებული შთაბეჭდილებები, დამხმარე სიტყვებით კი — დამოკიდებულებები: ა) პირის გამოხატვა (მე, შენ...);

<sup>1</sup> აქვე ჩვინდა შევინნოთ ერთა გარემოების შესახებ. სიტყვათა სრულმნიშვნელობიანად (знаменательные), ერთი მხრივ, და დამხმარედ, ან მომსახურედ (служебные, вспомогательные), მეორე მხრივ, დაყოფა ცნობილი იყო ბუსლაევამდეც და არა ერთი და ორი გრამატიკოსი მიმართავს მას ბუსლაევის შემდეგაც. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ დაყოფას საფუძვლად უდევს სიტყვის მნიშვნელობის ქონა-არქონა. მაგ.: სიტყვა „წიგნი“ გარკვეული მნიშვნელობის მქონეა, იგი რალაცახე მიუთითებს, მაგრამ „მიერ“, „გამო“ რუსული ия, в, с, из და სხვა ცალკე აღებული მნიშვნელობის მქონენი არ არიან, არაფერზე არ მიუთითებენ. თუ ეს მართლაც ასეა, თუ სიტყვათა სრულმნიშვნელობიანი და დამხმარე ან მომსახურე ჯაუფებად დაყოფას მართლაც მნიშვნელობის (სემანტიკური) ფაქტორი უდევს საფუძვლად, საკითხავია, რა შუაშია აქ ტერმინი „დამხმარე“ ან „მომსახურე“. ეს ტერმინები აღნიშნავენ, რომ ესა და ეს სიტყვა ასრულებს ამა თუ იმ როლს (წინადადებაში). „დამხმარე“ — ეხმარება. „მომსახურე“ — ემსახურება. ეს მართლაც ასეა. ამ შემთხვევაში ტერმინთა არეკასთან გვაქვს საკმე; „სრულმნიშვნელობიანი“ მიუთითებს სიტყვათა სემანტიკურ მხარეზე, დამხმარე — სინტაქსურ მხარეზე. უნდა გვქონოდა სემანტიკური კლასიფიკაცია, გვაქვს სინტაქსურ-სემანტიკური. სემანტიკური კლასიფიკაციისთვის გამოდგებოდა ტერმინები: „სრულმნიშვნელობიანი“ და „არასრულმნიშვნელობიანი“.

<sup>2</sup> Ф. И. Ю т а е в დასახელებული შრომა, გვ. 22.

ბ) კითხვა-პასუხი (ვინ—იგი); გ) განყენებული ცნებები რაოდენობის, ადგილის, ხარისხის, დროის შესახებ (როგორი, რად, რამდენი, ორი, სამი); დ) მიზეზის, მიზნის, პირობის და სხვა აზრთა განყენებული დამოკიდებულება (თუ... თვის); ე) კავშირი (ზმნა „ყოფნის“ დახმარებით).

2) დამხმარე სიტყვები შეესატყვისებიან სრულმნიშვნელობიანი მეტყველების ნაწილთა დაბოლოებებს.

3) სრულმნიშვნელობიანი სიტყვები ენაში ურიცხვია, რადგან მეტყველების საგანი შეიძლება უსაზღვროდ მრავალი იყოს. დამხმარე სიტყვათა რაოდენობა განსაზღვრულია, რადგან აზრთა დაკავშირების ხერხები და მოლაპარაკისა და მსმენელის საგნებისადმი დამოკიდებულება ენაში ექვემდებარება ენობრივ კანონთა მცირე რაოდენობას.

4) სრულმნიშვნელობიანი სიტყვები აღირიცხებიან ლექსიკონში, დამხმარე — გრამატიკაში.

5) სრულმნიშვნელობიანი სიტყვათა წარმოქმნა შეიძლება, დამხმარეთა — არა.

6) ენა სესხულობს მხოლოდ სრულმნიშვნელობიან სიტყვებს<sup>1</sup>.

სრულმნიშვნელობიანი და დამხმარე სიტყვათა ასეთი დაპირისპირების საწინააღმდეგოდ თუ დასაცავად, რასაკვირველია, ბევრის თქმა შეიძლება.

ბუსლაევი შენიშნავს, რომ სრულმნიშვნელობიანი სიტყვებზე უფრო ნათელი წარმოდგენისათვის საჭიროა ისინი განვიხილოთ: 1) სიტყვებთან და 2) გრამატიკასთან შეფარდებით. პირველ შემთხვევაში ყურადღება ექცევა წარმოდგენისა და ცნების გადმოცემას ცალკე სიტყვაში, მეორე შემთხვევაში — მეტყველების თითოეული ნაწილის ცალ-ცალკე კუთვნილებასა და მნიშვნელობას<sup>2</sup>.

ცალკეულ სიტყვათაგან წარმოდგენებისა და ცნებების გადმოცემის შესახებ ენაში მოგვითხრობს სინეკლოქე, მეტონომია, ტროპი, მეტაფორა და სხვა. სრულმნიშვნელობიანი

<sup>1</sup> Ф. И. У с л а е в, Историческая грамматика русского языка, ч. II, М., 1968, გვ. 44.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 45.

სიტყვათა განხილვა გრამატიკასთან შეფარდებით იქნება მათი განხილვა იმის მიხედვით, თუ რა სინტაქსურ გამოყენებას აკლავთ ენაში. ამ ნაწილში ბუსლაევი ლაპარაკობს ზმნებზე, ნაცვალსახელებზე, არსებით სახელებზე, ზედსართავეებზე და რიცხვით სახელებზე (ადრე ნაცვალსახელი და რიცხვითი სახელი შეჰქონდა დამხმარე სიტყვებში, ა. ფ.).

ბუსლაევი ცალკე მსჯელობს შესიტყვებაზე მარტივსა და რთულ წინადადებებში, აქვე განიხილება აგრეთვე ბრუნვათა მნიშვნელობები, „დეკრიფსტიე“, კავშირები და სხვა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ლოგიკისტური ბუნებისა, ბუსლაევის გრამატიკა, კერძოდ, მისი ეტიმოლოგია, რიგ საკითხებში დამაჯერებლად უპასუხებს გრამატიკის საგნისა და ამოცანების დღევანდელ გაგებას.

## 2 ა. პოტებნია

როგორც აღვნიშნეთ, თ. ბუსლაევის კრიტიკით გამოვიდა ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ა. პოტებნია, რომელმაც შემდგომში მთელი სკოლა შექმნა.

ჩვენ პოტებნიას ენათმეცნიერული შემკვიდრეობიდან განვიხილავთ მხოლოდ მის „Из записок по русской грамматике“. ეს შრომა არის, დ. ოვსიანიკო-კულიკოვსკის სამართლიანი შენიშვნით<sup>1</sup>, გავრცობა-გადიდება იმ მოსაზრებებისა, რომელიც პოტებნიამ 1862 წელს გამოთქვა წერილებში „აზროვნება და ენა“<sup>2</sup>. ამ შრომაში (განსაკუთრებით მის შესავალში) პოტებნია, მთელი სისრულით წარმოგვიდგება როგორც ფილოსოფოსი-ენათმეცნიერი.

<sup>1</sup> იხ. Д. Овсепнико-Куликовскій, А. А. Потенія—Языковед-мыслитель, Киев, 1893. გვ. 7.

<sup>2</sup> А. Потенія, Мысль и язык (журн. „Министерство народного просвещения“, 1862).

პოტებნია იწყებს სიტყვის განსაზღვრით. მისი აზრით, სიტყვას განსაზღვრისას არ კმარა იმის თქმა, რომ სიტყვა არის დანაწევრებული ბგერა და მნაშენელობა, რადგან ერთსა და იმავე სიტყვას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მნიშვნელობა.

რას წარმოადგენს სიტყვის მნიშვნელობა?

„ხე“ სიტყვა მოიცავს არა მარტო იმას, რაც ენათმეცნიერების საგანია, არამედ იმასაც, რაც შეადგენს ბოტანიკის, ბიოლოგიისა და სხვა მეცნიერების საგანს. მაშასადამე, „ხე“-ის მნიშვნელობის დასადგენად საჭარო იქნებოდა ცნობები ბოტანიკიდან, ბიოლოგიიდან და სხვა მეცნიერებიდან, მაგრამ საქმე ის არის, რომ მნიშვნელობის ქვეშ იგულისხმება ორი რამ: ერთი, მისი უახლოესი მნიშვნელობა, რაც სწორედ ენათმეცნიერების საგანია და, მეორე, მისი შორეული მნიშვნელობა.

სიტყვის წარმოთქმის დროს, მისი აზრის ნამდვილ შინაარსს ქმნის მხოლოდ უახლოესი მნიშვნელობა<sup>1</sup>.

როცა მე ვამბობ „მაგიდასთან ვზივარ“, აცხადებს პოტებნია, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მე გონებაში მაქვს ჩემი თავის ხატი მაგიდასთან მჯდომარე მდგომარეობაში, ან ჩემსა და მაგიდას შორის დამოკიდებულებისა დროსა და სივრცეში. მიუხედავად იმისა, რომ ჩემში არ არის შინაარსის მთლიანობა, რომელიც დამახასიათებელია ცნებისა და მისი ხატისთვის, ჩემი ნათქვამი გასაგებია, რადგან მასში არის განსაზღვრული მთლიანობა აზრში. ამ განსაზღვრულობას პირველად ვალწევთ ხოლმე წარმოდგენის მეშვეობით, შემდეგ კი იზის გარეშეც, მხოლოდ ბგერებით. „უახლოესი მნიშვნელობის სიცარიელე, ცნებისა და ხატისა შესაფერის შინაარსთან შედარებით, გვაძლევს იმის საფუძველს, რომ სიტყვას ვუწოდოთ აზრის ფორმა“<sup>2</sup>. უახლოეს მნიშვნელობას, რომე-

<sup>1</sup> А. А. Потебня, Из записок по русской грамматике. М., 1918, гл. 19. შემდგომში ყველგან მიუთითებთ ამ გამოცემას (ა. ფ.).

<sup>2</sup> „Когда я говорю „ожижу за столом“ я не имею в мысли совокупности раздельных признаков сиденья, стола, пространственного отношения за и пр... Несмотря на такое отсутствие во мне

ლიც წარმოდგენს ენათმეცნიერების შესასწავლ ერთადერთ საგანს და რომელიც განასხვავებს სიტყვის საგნობრივ და გრამატიკულ შინაარს, ეწოდება ფორმალური მნიშვნელობა.

უახლოესი მნიშვნელობა (ანუ ფორმალური მნიშვნელობა) წარმოდგენასთან ერთად შესაძლებელს ხდის იმას, რომ მოლაპარაკე და მსმენელი უგებენ ერთმანეთს.

მოლაპარაკესა და მსმენელს შორის საერთო გაპირობებულია იმით, რომ ისინი ერთსა და იმავე ხალხს ეკუთვნიან.

სიტყვის უახლოესი მნიშვნელობა საერთო სახალხოა, შორეული — სხვადასხვაა ყოველი მოლაპარაკისათვის.

ზემოთქმული შეეხება სიტყვის მნიშვნელობითს მხარეს. მაგრამ სიტყვის განსაზღვრისას არ კმარა მხოლოდ მნიშვნელობა, სიტყვისთვის საჭიროა კიდევ რაღაც. ეს „რალაც“ პოტებნიასათვის წარმოდგენაა.

პოტებნია ასე მსჯელობს: როცა ჩვენ ვამბობთ, რომ *A* ნიშნავს *B*-ს, ეს ნიშნავს, რომ *A* არის *B*-ს ნიშანი და იგი მიუთითებს *B*-ს მნიშვნელობაზე, რომელიც თავისთავად უურო ძნელი გამოსაცნობია. სიტყვაში ადგილი აქვს შეცნობის აქტს. იგი ნიშნავს რალაცას; მაშასადამე, გარდა მნიშვნელობისა, მას უნდა ჰქონდეს ნიშანი. მართალია, ბგერა სიტყვისათვის მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი მიუთითებს მნიშვნელობაზე არა თავისთავად, არამედ იმიტომ. რომ ადრე მას ჰქონდა სხვა მნიშვნელობა. ბგერა „верета“ ნიშნავს ზომას იმიტომ, რომ ადრე აღნიშნავდა „сирозла“-ს; იგი ნიშნავდა „сирозла“-ს იმიტომ, რომ ადრე ნიშნავდა „новоропт илуга“-ს.

---

полноты содержания, свойственной понятию и образу, речь моя понятна, потому что в ней есть определение места и мысли. Такое определение достигается первоначально посредством представления, а затем и без него, одним звуком. Пустота ближайшего значения, сравнительно с содержанием соответствующего образа и понятия, служит основанием тому, что слово называется формою мысли" (იხ. პოტებნიას დასახელებული შრომა, გვ. 19-20).

მაშასადამე, სიტყვაში ბგერა არის რალაციის ნიშანი, კერძოდ, ფორმა ნიშნისა, ან, თუ გნებავთ, ნიშანი ნიშნისა; ასე რომ, სიტყვაში არის არა ორი, არამედ სამი ელემენტი: ბგერა, მნიშვნელობა და წარმოდგენა (წარმოდგენა არა ბუსლაევისებური, არამედ ისე, როგორც ის ესმის შტაინთალს).

მაგრამ სიტყვის განსაზღვრა, როგორც დანაწევრებული ბგერა (გარეგნულად) და მნიშვნელობისა და წარმოდგენის ერთიანობა (შინაგანად), მისაღებია მხოლოდ მარტივი წყობის ენათა მიმართ.

სიტყვა „неприят“, ამბობს პოტებნია, უდრის არა ეხოლოდ 500 საენს, არამედ ამასთან ერთად იგი არის არსებითი სახელი მდებარეობითი სქესისა სახელობით ბრუნვაში. მასში არის ისეთი ნიშნები, რომლებიც აქვს სხვა სიტყვებსაც. ე. ი. მიუთითებს საერთოზე, ე. წ. გრამატიკულ კატეგორიებზე, იმაზე, რომლის საშუალებითაც ამ სიტყვის შინაარსი მრავალი სხვა სიტყვის შინაარსის თანასწორად გამოდის. მითითება ასეთ ჯგუფზე (разреш) განსაზღვრავს სიტყვის მუდმივ როლს მეტყველებაში, მის მუდმივ დამოკიდებულებას სხვადასხვა სიტყვასთან.

სიტყვა „неприят“ ამ დაბოლოებით შეიძლება იყოს მხოლოდ ქვემდებარე. მიუხედავად იმისა, რანაირი ექნება მას მნიშვნელობა. ასევე ყოველი სხვა სიტყვა ამ დაბოლოებით, თუ იგი არსებითი სახელია, შეიძლება იყოს მხოლოდ ქვემდებარე ან შედგენილი შემასმენლის სახელური ნაწილი (ისე, რომ არასდროს არ შეიძლება იყოს თავისთავად შემასმენელი).

მაშასადამე, სიტყვას აქვს ორი მნიშვნელობა: ერთი ნიუთითებს მის საგნობრივ მნიშვნელობაზე, მეორე კი — მის ადგილზე სხვა სიტყვების რიგში. ერთი სიტყვით, სიტყვას აქვს საგნობრივი და გრამატიკული მნიშვნელობა.

არიან სიტყვები, რომელთაც არა აქვთ დამოუკიდებელი ლექსიკური (საგნობრივი) მნიშვნელობა და ამდენად ისინი არც მეტყველების დამოუკიდებელი ნაწილებია.

ისძის კითხვა: საიდან შეუძლია პოტებნიას ილაპარაკოს სიტყვის საგნობრივ მნიშვნელობაზე, როგორც ასეთზე? მის-

თვის ხომ სიტყვა დამოუკიდებლად არ არსებობს? პოტებნია-სათვის სიტყვა მნიშვნელობას მხოლოდ კონტექსტში ლებულობს, ე. ი. ყოველი სიტყვა ახალ კონტექსტში ახალ მნიშვნელობას იძენს. მაშასადამე, როცა სიტყვის მნიშვნელობაზეა ლაპარაკი, უნდა ვთქვათ, რომელი კონტექსტი იგულისხმება. პოტებნია ასეთ რამეს არ აკეთებს და ამიტომაც, რომ იგი თავისი ინდივიდუალისტური (სუბიექტური) ფილოსოფიური მრწამსით ეწინააღმდეგება ენობრივ სინამდვილეს, რომელიც პოტებნიას აიბულებს ილაპარაკოს ცალკე აღებული სიტყვის საგნობრივ მნიშვნელობაზეც.

სიტყვებს, რომელთაც არა აქვთ დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა, პოტებნიასთან ეწოდება „წმინდა ფორმალური და გრამატიკული“ (чисто-формальные и грамматические) სიტყვები. მისი აზრით, ეს სიტყვები (აქ ერთიანდება კავშირი და წინდებული) აღნიშნავენ წინადადებაში სხვა სიტყვათა ფუნქციებს. გარდა იმისა, რომ წათ არა აქვთ საგნობრივი მნიშვნელობა, ისინი ხშირად კარგავენ ბგერობრივ დამოკიდებულებასაც (иногда). მაგრამ ისმის კითხვა: რა უფლებით ვუწოდებთ ასეთ ენობრივ ერთეულს სიტყვას? ამ კითხვაზე პასუხი პოტებნიასთან არ გვაქვს.

პოტებნია გვაფრთხილებს, რომ მისი დაყოფა ლექსიკურ და ფორმალურ სიტყვებად არ უნდა ავურიოთ ბუსლაევის „სრულმნიშვნელოვან და დამხმარე“ სიტყვებში; ბუსლაევი „დამხმარეში“ აერთიანებს რიცხვით სახელს, ნაცვალსახელს, ზმნიზედას და დამხმარე ზმნას. სინამდვილეში სიტყვათა ამ ჯგუფებიდან ფორმალურ სიტყვად არც ერთი არ შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს პოტებნიასთვის წარმოადგენს ის მოსაზრება, რომ სიტყვაში საგნობრივი და ფორმალური მნიშვნელობა მოცემულია მთლიანობაში. იგი წერს: საგნობრივ-ფორმალური სიტყვების რთული აგებულების მიუხედავად, არიულ ენებში არის მნიშვნელობის ერთიანობა; საგნობრივი და ფორმალური განსხვავებიდან სიტყვაში მხოლოდ სპეციალური დაკვირვების დროს (გვ. 38).

პოტებნიას აზრი ზოგადად ასეთია: სიტყვა შედგება ბგერებსა და წარმოდგენისა და მნიშვნელობისაგან. წარმოდგენა სიტყვაში ახლა შეიძლება გამკრალი იყოს, მაგრამ მისი არსებობა აუცილებლად იგულისხნება სიტყვის წარმოქმნის დროს. სიტყვის მნიშვნელობა იყოფა ორად (უახლოესად და უშორესად). სიტყვის წარმოქმნის დროს მისი აზრის ნამდვილ შინაარსს შეადგენს უახლოესი მნიშვნელობა.

მეორე მხრით, (ფორმებიან ენებში) სიტყვის უახლოეს მნიშვნელობას აქვს ორი მხარე (ორი მნიშვნელობა): 1) კერძო, — ლექსიკური; 2) ზოგადი, — გრამატიკული. გრამატიკული მნიშვნელობა პოტებნიასათვის იგივეა, რაც გრამატიკული ფორმა ან დამოკიდებულების აღნიშვნა.

საგნობრივი და ფორმალური ნაწილი სიტყვაში წარმოდგენს ერთ მთლიანს. სიტყვას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მეტყველებაში (в речи). მეტყველებიდან ამოვლევადი სიტყვა არ მოქმედებს, არ ანეკლავნებს არც ლექსიკურ და, მით უფრო, არც ფორმალურ თვისებებს, რადგან ის მას არა აქვს (გვ. 42).

ფორმას მეტყველებაში ყოველ ცალკე შემთხვევაში აქვს ერთი მნიშვნელობა (გვ. 42): უფრო სწორად: ყოველი ახალი ბგერა არის სხვა ფორმა (გვ. 43); ზოგადი მნიშვნელობა სიტყვებისა (როგორც ფორმალური, ისე საგნობრივი) შექმნილია მხოლოდ კერძო აზრის საფუძველზე და ნამდვილად ენაში მას არსებობა არ შეუძლია (გვ. 43).

მაშასადამე, განოდის, რომ ცალკე აღებულ სიტყვას არა აქვს არც ფორმა და არც მნიშვნელობა, ე. ი. ის არც არსებობს.

პოტებნიასათვის არ არსებობს ფორმა, რომლის არსებობა და ფუნქცია შეიძლება გავიგოთ აზრის გარეშე, ამიტომ მას მკდარად ეჩვენება ბუსლაევიმ მიერ გრამატიკის დაყოფა ეტიმოლოგიად და სინტაქსად.

ბუსლაევიან ეტიმოლოგია შეისწავლის ბგერებს (მნიშვნელობის შესწავლა სინტაქსშია გათვალისწინებული). ბგერები კი, როგორც ვიცით, ფონეტიკაში განიხილება. რა საჭიროა

ერთი და იგივე საკითხი განვიხილოთ ორ ადგილასო, შენიშნავს პოტებნია.

ბუსლაევას შრომაში იგი ხედავს სხვა შეუსაბამობასაც; სახელდობრ: მასში ბრუნვის დაბოლოება განიხილება ეტიმოლოგიაში, ხოლო ამავე ფუნქციის მქონე აღწერითი ფორმა—სინტაქსში.

აღნიშნულის გამო პოტებნია საჭიროდ ხედავს წარმოგვიდგინოს ენის შემსწავლელი მეცნიერების თავისებური დაყოფა. მისი აზრით, ენა, როგორც შესასწავლი ობიექტი, ბუნებრივია დაიყოს ფონეტიკად... და სინტაქსად.

ფონეტიკა განიხილავს სიტყვის გარეგან ფორმას, ბგერებს. მან იცას, რომ სიტყვას აქვს მნიშვნელობა, გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობას, მაგრამ მასზე არ ჩერდება.

სინტაქსი ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელობაზე, ბგერები იგულისხმებიან(გვ. 51).

როგორც ზევით ვნახეთ, სიტყვის საგნობრივ მნიშვნელობას პოტებნიასთან ეწოდება შინაგანი ფორმა. ამიტომ სიტყვაში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ შინაგანი და გარეგანი ფორმა.

შინაგანი ფორმა იყოფა ფორმისა და შინაარსის წარმოდგენად; უფრო სწორად, ერთი მხრით, სიტყვის საგნობრივი მხარისა და, მეორე მხრით, მისი გრამატიკული ფორმის წარმოდგენად. ორივე ეს ნაწილი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ეტიმოლოგიაში, ისე სინტაქსში.

თუ ჩვენ სიტყვის საგნობრივ ან ფორმალურ მნიშვნელობას განვსაზღვრავთ, რაც კონტექსტის გარეშე შეუძლებელია, ეს იქნება სინტაქსური თვალსაზრისი. თუ დავიწყებთ იმ გზის ძებნას, რომლითაც ენა მივიდა ამ მნიშვნელობამდე, ეს იქნება ეტიმოლოგიური თვალსაზრისი. ეტიმოლოგია და სინტაქსი ერთმანეთთან ისეთ მიმართებაში არიან, როგორც ისტორია და თანამედროვე მდგომარეობის აღწერა, ე. ი. ისეთ მიმართებაში, რომელშიაც უკანასკნელი გაიგება პირველით.

პოტებნიას ენათმეცნიერულ ნააზრევში ცენტრალური ადგილი უჭირავს წინადადების გამოცხადებას ენის ძირითად

ელემენტად. ამ დებულებამ შემდგომში განსაზღვრა პოტენ-  
ნიას ენათმეცნიერული შეხედულება საერთოდ. მის საფუ-  
ძველზე საჭირო გახდა: სიტყვის, როგორც დამოუკიდებელი  
ენობრივი ერთეულის, უარყოფა, ე. ი. სიტყვა წინადადების  
გარეშე გამოცხადებულ იქნა ფიქციად, ცარიელ ბგერებად,  
რომელსაც არა აქვს არც საგნობრივი და არც ფორმალური  
მნიშვნელობა: ამავე დროს უარყოფილ იქნა სიტყვათა მრავ-  
ალმნიშვნელობა და სიტყვის გამოვლენის ერთადერთ  
შესაძლებლობად აღიარებულ იქნა კონკრეტული წინადადება,  
კონტექსტი. ამ თვალსაზრისის პარალელურად პოტენნია  
ცდილობს მოგვეცეს სიტყვის განსაზღვრა და სიტყვათა კლასი-  
ფიკაცია (მხედველობაში გვაქვს სიტყვათა დაყოფა საგ-  
ნობრივ და ფორმალურ სიტყვებად).

როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ავტორი წინააღმდეგობა-  
ში ვარდება თავისთავთან, რადგან არ შეიძლება ეძებდე იმის  
განსაზღვრას, რაც მხოლოდ კონკრეტულია. მაგრამ განა  
შეიძლება არსებობდეს რაიმე მხოლოდ კონკრეტული? თუ  
სიტყვა არსებობს მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში, რო-  
გორ ან რისთვის ვცდილობთ სიტყვის განსაზღვრას საერ-  
თოდ? გარდა ამისა, რის საფუძველზე შეიძლება დაუშვათ  
რომ სიტყვა არსებობს მხოლოდ ცალკე აღებულ კონკრეტულ  
კონტექსტში?

პოტენნიას მსჯელობა ჰგავს იმ მეტაფიზიკოსის მსჯელო-  
ბას, რომელიც კონკრეტული ხეების იქეთ ვერ ხედავს  
ტყეს. მისი აზრით, „სიტყვის ზოგადი მნიშვნელობა (რო-  
გორც ფორმალური, ისე საგნობრივი) შექმნილია მხოლოდ  
კერძო აზრის მიერ, ნამდვილად კი მას ენაში არსებობა არ  
შეუძლია“... „ენათმეცნიერებას არ ესაქიროება ეს ზოგადი  
მნიშვნელობები“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „...Такое отвлечение, в равно и внешнепомянуг общее значение корней и вообще „общее значение слов“, как формальное, так и вещественное, есть только создание личной мысли и действительно существовать в языке не может. Мысльюзнание вовсе не нуждается в этих „общих значениях“ (იხ. დასახელებული ნაშრომა, I, გვ. 43).

პოტებნიას თეორია, სიტყვის რეალური არსებობის უარყოფის საფუძველზე, არ აკმაყოფილებს ამ თეორიის ფუძემდებლის უახლოეს მოწაფეებსაც კი. აკად. დ. ოვსიანიკოკულიკოვსკი, რომელიც პოტებნიას თეორიის ყველაზე უახლოეს მიმდევრად ითვლება, წერს: „წინადადებაში სიტყვა მუდამ დაკავშირებულია კონკრეტულ მნიშვნელობასთან და, ასე ვთქვათ, მიმაგრებულია ადგილზე. მაგრამ მის შემდეგ, რაც იგი განთავისუფლდება წინადადებისაგან, იძენს მოძრაობის უნარს, უნარს გამოხატოს და განაზოგადოს წარმოდგენები და, იქცევა რა მეტყველება-აზროვნების ხურდა ფულად, იძენს თავისთავად ღირებულებას“<sup>1</sup>.

ეს აზრი, ფსიქოლოგისტური საფუძვლების მიუხედავად, აშკარა პროტესტია (უფრო ზუსტად, ანტიპოდია) პოტებნიას შეხედულებისა, ამხედრებაა ცალკე სიტყვის არსებობის უარყოფის წინააღმდეგ.

პოტებნიამ თუმცა აღიარა სიტყვაში ფორმალური ნაწილის არსებობა, მაგრამ უარყო მისი დამოუკიდებლობა, გამოაცხადა იგი აზრზე დამოკიდებულად. ამის საფუძველზე უარყო ფორმის შემსწავლელი დისციპლინის საჭიროება და საფუძველი გამოაცალა სიტყვის ფორმალური მხარის არსებობას ე. ი. ფაქტიურად უარყო იგი.

აღნიშნულის შემდეგ პოტებნიას, რა თქმა უნდა, აღარ სჭირდებოდა მოძღვრება მეტყველების ნაწილთა შესახებ. მისთვის მეტყველების ნაწილები წინადადების ნაწილებია. ამის გამო პროფ. ა. დობიაში წერდა: „ჩვენ გვიჭირს ვთქვათ, იგი (პოტებნია ა. ფ.) „წინადადების ნაწილებს“ ადგენს „მეტყველების ნაწილთა“ თვალთახედვით, თუ, პირუკუ: „მეტყველების ნაწილებს“ — „წინადადების ნაწილებით“<sup>2</sup>.

მეტყველების ნაწილების, როგორც ენობრივი სინამდვილის, უარყოფამ საჭირო გახადა იმ დისციპლინის უარყო-

---

<sup>1</sup> Проф. Д. И. Овсяннико-Куликовский, Синтаксис русского языка, изд. 2-е, СПб., 1912 г. XXX.

<sup>2</sup> А. Д о б и а ш, Опыт семасиологии частей речи и их форм на почве греческого языка, Прага, 1897, г. 57.

ფაც, რომელიც ძირითადად ენის ამ მხარეს სწავლობდა. პოტებნია ასეც მოიქცა. მან აღრიხდელი (ბუსლაევისეული) ეტიმოლოგია, რომელიც სიტყვათა ფორმებს სწავლობდა, უარყო და ენის შესწავლა მთლიანად ფონეტიკასა და სინტაქსს დააკისრა. მისი აზრით, ფონეტიკა უნდა სწავლობდეს ენის ბგერით მხარეს, დანარჩენი — სინტაქსის საქმეა: ეტიმოლოგია გამოცხადებულ იქნა წმინდა ისტორიულ მეცნიერებად; მას დაეკისრა სინტაქსური განხილვა ისტორიულ ასპექტში.

ჩვენ შეძლებისდაგვარად საკმაოდ ვრცლად მიმოვიხილეთ პოტებნიას თვალსაზრისი, გადმოვეცით მისი ენათმეცნიერული ნააზრების განმსაზღვრელი დებულებები და გავაქეთთ ზოგი კრიტიკული შენიშვნაც. ყველაფერი ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მეცნიერულ ლიტერატურაში არ არის გადაჭრილი პოტებნიასა და ფ. ფორტუნატოვის შეხედულებათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. ზოგი მეცნიერი მათ ერთი და იმავე სკოლის წარმომადგენლად მიიჩნევს<sup>1</sup>. ზოგიერთის აზრით კი, ისინი პოლარულად საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დგანან<sup>2</sup>.

ფორტუნატოვის თვალსაზრისის განხილვის შედეგ უფრო ნათელი გაადება მისი დამოკიდებულება პოტებნიასთან. მაგრამ ერთი რამ შეიძლება წინასწარვე ითქვას: მიუხედავად ზოგიერთი, მართლაც, სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისისა, ლოგიკისტური გრამატიკის წინააღმდეგ ამხედრებითა და სიტყვაში მნიშვნელობის გვერდით ფორმალური მხარის არსებობის აუცილებლობის აღიარებით პოტებნიამ, ალბათ, იქონია ერთგვარი გავლენა ფორტუნატოვის თვალსაზრისის ჩამოყალიბებაზე.

### 3. კ. აქსაკოვი

როგორც ვთქვით, პოტებნიამ გააკრიტიკა ბუსლაევის ლოგიკისტურ პრინციპზე აგებული ისტორიული გრამატიკა

<sup>1</sup> И. Дурново, Формальная школа, Литературная энциклопедия в двух томах, т. II, гл. 1041—42.

<sup>2</sup> С. Бернштейн, Основные понятия грамматики и освящения А. М. Пешковского (А. Пешковскии, Русский синтаксис в научном освещении, Москва, 1939, гл. 13).

და საფუძველი ჩაუყარა „ნეოგრამატიკულ“ მიმდინარეობას<sup>1</sup>. პოტებნიამ ყურადღება მიაქცია ფორმის პრობლემას, მაგრამ მასთან ამ საკითხმა ვერ პოვა სწორი გადაწყვეტა.

ენაში ფორმის საკითხის კვლევა ძირითად მიზნად დაისახა ფორტუნატოვმა და მისმა სკოლამ. ამიტომ პოტებნიას შეხედულებათა განხილვის შემდეგ შეიძლებოდა ფორტუნატოვის შეხედულებათა განხილვა დაგვეწყო. ასეთი თანმიმდევრობა გამართლებული იქნებოდა ქრონოლოგიურადაც. მაგრამ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: ფორტუნატოვამდე ენის ფორმის საკითხი თავისებურად, მაგრამ საკმაო სიცხადით, დასვა კ. აქსაკოვმაც. ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭირო იქნება მოკლედ ამ მეცნიერის ნააზრევზეც შევჩერდეთ.

1838 წელს კ. აქსაკოვი წერს სტატიას „გრამატიკის შესახებ ზოგადად“, რომელშიაც იგი აკრიტიკებს ბელინსკის გრამატიკას.

აქსაკოვის აზრით, გრამატიკაში მეტყველების ნაწილთა დაყოფა არის ყველაფრის საფუძველი. მთელი მეცნიერება წარმოადგენს ამ დებულების შემდგომ გაგრძელებას<sup>2</sup>. იგი უსაყვედურებს ბელინსკის რომ მან (ბელინსკიმ) თავისი კლასიფიკაცია ააგო არა სიტყვის გარეგან განსხვავებაზე, არამედ ლოგიკურ წინადადებაზე დაყრდნობით: ბელინსკის კლასიფიკაციის მიხედვით, ქვემდებარეს შეესატყვისება არსებითი სახელი, შემასმენელს — ზედსართავი.

კ. აქსაკოვს ეს დაყოფა სწორად არ მიაჩნია. მისი აზრით, ქვემდებარე შეიძლება იყოს არა მხოლოდ არსებითი სახელი, არამედ ზმნაც, ზნნიზედაც და სხვა. ასევე შეიძლება ითქვას მეტყველების სხვა ნაწილებზედაცო, — ამბობს იგი და დაასკვნის:

<sup>1</sup> И. Державин, Основы преподав. русск. яз. в средней школе, изд. 2-е, М., 1923.

<sup>2</sup> „Разделение частей речи в грамматике есть главное основание, на котором все зиждется. Вся наука есть только дальнейшее развитие этого первого положения“ (К. Аксаков, О грамматике вообще (по поводу грамматики В. Белинского), К. С. Аксаков, Сочинения, 1, II, 1875, гл. 5.

ავტორს წეცდომა მოუვიდა ინიტომ, რომ მან ყურადღება არ მიაქცია სიტყვის ფორმას; ეს კი მთავარია. ერთი და იგივე მეტყველების ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვემდებარედაც და შემასმენლადაც, ამიტომაც კლასიფიკაციაში მასზე დაყრდნობა შეცდომაა. საკითხავია ის, თუ რატომ მიიღო ადამიანის სიტყვამ (слова человека) ასეთი და ასეთი ფორმა? ...სიტყვის შინაარსი შეიძლება იყოს, როგორც გნებავთ, მაგრამ საქმე ფორმაშია, როგორც ამ შინაარსს ეძლევა და ენაში მის ადგილს უჩვენებს... ანრიგად, ზმნა, სახელი და მეტყველების სხვა ნაწილები ჩანს სიტყვის არა შინაარსში, ან მნიშვნელობაში, არამედ ფორმაში. ამიტომ გრამატიკის პირველი საკითხია გაიგოს, თუ ადამიანთა სიტყვამ, რომელიც გამოხატავს აზრს, რა კანონთა ძალით მიიღო ასეთი და ასეთი ფორმა<sup>1</sup>.

დაახლოებით ოცი წლის შემდეგ კ. აქსაკოვი სპეციალურ წერილში კრიტიკულად იხილავს თ. ბუსლაევის შრომას „Опыт исторической грамматики русского языка“. ამ წერილში იგი უფრო გაბედულად გამოთქვამს თავის აზრს. ..ენაში ჩვენთვის, წერს აქსაკოვი, მნიშვნელოვანი არის ის, რამაც თვით ენაში მიიღო ფორმა, ენობრივი ფორმა. მეტყველების ნაწილები

<sup>1</sup> „Ошибка автора произошла от того, что он не обратил внимание на форму слова, а это главное. Одна и та же часть речи может быть употребляема и подлежащим и сказуемым, и поэтому основывать на этом свое деление было бы ложно. Вопрос в том, почему слово человеческое приняло именно такие и такие формы? На этот-то вопрос должна была отвечать и не дает нам никакого ответа его грамматика. В самом деле, содержание слова может быть какое нам угодно, но дело все в форме которая придается этому содержанию и указывает ему место в языке... Итак глагол, имя, все части речи не в содержании, не в значении слова, а в форме и, следовательно, первый вопрос грамматики заключается в том, следствием каких законов слово человеческое, выражая мысль, приняло такие и такие формы“ (К. Аксаков, Сочинения, т. II, М., 1875, стр. 5—6).

შეგვიძლია განვსაზღვროთ თვით ენის საფუძველზე, მეტყველების საფუძველზე<sup>1</sup>.

უფრო გვიანდელ შრომაში — „Опыт русской грамматики“ აქსაკოვი ზემოთ მოტანილ შეხედულებებს გვაძლევს ჩამოყალიბებული, მწყობრი სისტემის სახით.

იგი მიუთითებს, რომ ყოველი მოვლენა წარმოადგენს შინაგანის გამოვლენას და შეიცავს შინაგანსაც, რომელიც მარადიულია და გარეგანს, რომელიც ცვალებადია და რომლითაც იგი ეხება სხვა საგნებს; მოკლედ: შეიცავს თავის თავში იდეასა და ფორმას. ასევე ყოველი სიტყვა, გამოხატავს რა მოვლენას ან აზრს, შეიცავს შინაგანს და გარეგანს — იდეასა და ფორმას. კერძოდ: ძირეულ მნიშვნელობას (коренное значение) სიტყვის ძირში გადმოცემულს, და შეფარდებით მნიშვნელობას, რომელიც გადმოიცემა მაწარმოებელ დაბოლოებაში ან საერთოდ სიტყვის ცვალებად თუ დამხმარე ნაწილში — მაგ. „добр-о-тя, добр-ый, с-добр-и-тъ“. ბუნებაში, განაგრძობს აქსაკოვი, ფორმის მეშვეობით განისაზღვრება იდეა (ე. ი. შინაგანი), იგი დგება მოვლენათა რიგში. ასევეა სიტყვაშიც. შინაგანი მნიშვნელობა (ძირი) ფორმის (სიტყვის გარეგანი ნაწილის) მეშვეობით დგება სიტყვათა განსაზღვრულ რიგში. სიტყვათა ასეთ რიგს, ჩვეულებრივ, უწოდებენ მეტყველების ნაწილს... ამ რიგად, სიტყვათა დაჯგუფება უნდა ხდებოდეს არა მისი შინაგანი მნიშვნელობის მიხედვით, რადგან ეს იქნება დანაწილება თვით ცნებათა და საგანთა, არამედ იმ ფორმათა მიხედვით, რომლებიც მათ ეძლევათ თვით სიტყვაში; სიტყვათა დაყოფის საფუძველად უნდა იყოს მიჩნეული თვით სიტყვა და არა სხვა რაიმე (ხაზი ჩვენია, ა. ფ.)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „В языке для нас важно то, что в языке же самом получила форму. форму язычную. На основании самого языка, самой речи можем мы означить и определить части речи.“ (К. Аксаков, Сочинения, т. II, М. 1875, გვ. 540, ხაზი ჩვენია, ა. ფ.).

<sup>2</sup> „Как всякое явление есть проявление с внутреннего во внешнее и заключает в себе и внутреннее, вечно присутствующее, и внешнее“.

კ. აქსაკოვის თვალსაზრისის შესწავლას მიყვავართ იმ დასკვნამდე, რომ იგი განსაკუთრებით გაბაზავს ენის ფორმების შესწავლის მნიშვნელობას.

აქ ჩვენ ვერ გამოვუდგებით აქსაკოვის ფილოსოფიურ შეხედულებათა განხილვას. ისე კი შეიძლება ითქვას, რომ ეს ფილოსოფია ძირითადად იდეალისტურია. ის ფაქტი, რომ აქსაკოვს შინაგანი მარად არსებულად მიაჩნია, ცხადს ხდის მისი ფილოსოფიური მრწამსის არსს. აქ აგრეთვე ვერ შევჩერდებით ფორმისა და შინაარსის აქსაკოვისეულ გაგებაზეც.

კ. აქსაკოვს ფორმა თავისებურად ესმის. იგი სიტყვაში გამოყოფს, ერთი მხრით, ძირს და, მეორე მხრით, „დაბოლოებას ან საერთოდ ცვალებად ნაწილს“. იგი არ ცნობს სიტყვის ფუძეს. მისთვის ფუძე და ძირი ერთი და იგივეა. კ. აქსაკოვი არ ხედავს სავაობას (ფ. ფორტუნატოვის ტერმინით რომ ეთქვათ) „სიტყვათმცელელ“ და „სიტყვათმწარმოებელ“ ფორმებს შორის. მაგრამ, რაც მთავარია, მისთვის ცნობილია, რომ სხვაა ის მნიშვნელობა, რომელიც გადმოი-

---

шнее, изменяющееся, которым соприкасается с другими предметами, коротко: заключает в себе идею и форму,—так и всякое слово, выражая явление или мысль, заключает в себе, как в слове, в составе слов и внутреннее и внешнее, идею и форму, именно: коренное значение, указывающееся в корне слова, и значение относительное, выражающееся в образовательном окончании, или прилагочной части слова\* напр.: добр-о-та, добр-ый, с-добр-ить.

.... И природе через форму, через внешнее, идею, внутренняя определяясь, становится в разряд явлений. Так точно и в слове, внутреннее значение, корень, через форму, через наружную часть слова становится в самостоятельный разряд слов. Такой разряд слов имеет исключительно названные части речи... Итак разделение слов должно быть не по внутреннему значению, или выражаемому—тогда это было бы разделение самих понятий и предметов,—а по той форме, которая им дается самим словом. Основаннем деления для слова должно быть само слово и ничто другое" (К. Аксаков, Сочинения, т. III, М., 1880, гл. 19—20).

ცენა სიტყვის ძირში და სულ სხვაა ის მნიშვნელობა, რომელიც გადმოიცემა სიტყვის ცვალებად ნაწილში—ფორმაში. კ. აქსაკოვისათვის ენობრივი სწორედ ფორმალურ ნაწილშია ჩაქსოვილი.

ნათქვამის შემდეგ არ არის გამორიცხული, რომ, შესაძლოა, აქსაკოვის ამ თვალსაზრისმა ერთგვარი გავლენა იქონია ფორტუნატოვზე.

#### 4. ფ. ფორტუნატოვი

აკადემიკოსი ფილიპე თევდორეს-ძე ფორტუნატოვი (1848-1914) ერთერთი ყველაზე გამოჩენილი რუსი ენათმეცნიერია. მან საფუძველი ჩაუყარა მოსკოვის სკოლას. რომელსაც აგრეთვე „ფორტუნატოვის სკოლას“ უწოდებენ. ამ სკოლის ტრადიციებზე აღიზარდა მრავალი რუსი და უცხოელი ენათმეცნიერი.

ფ. ფორტუნატოვის ზოგადენათმეცნიერული თეორიის ძირითადი საკითხები გადმოცემულია მის „შედარებით ენათმეცნიერებაში“, რომელსაც იგი წლების განმავლობაში მოსკოვის უნივერსიტეტში კითხულობდა. ლექციების ეს კურსი 1956 წლამდე მხოლოდ ლითოგრაფიული გამოცემის სახით არსებობდა და დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა ისე, როგორც ფორტუნატოვის ყველა დანარჩენი შრომაც.

ფ. ფორტუნატოვი მეტად ფართო დიაპაზონის ენათმეცნიერი იყო. მას ხელი მიუწვდებოდა თითქმის ყველა ინდოევროპულ ენაზე. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი გამოკვლევები სლავური და ბალტური ენების ფონეტიკის საკითხებზე, რითაც დიდი წვლილი შეიტანა ინდოევროპულ ენათა ფონეტიკის დამუშავების საქმეში.

მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის საკითხები ძირითადად თავმოყრილია შრომაში „შედარებითი ენათმეცნიერება“ (ზოგადი კურსი).

ფ. ფორტუნატოვი ხაზგასმით აღნიშნავს. რომ „ენა შედგება სიტყვებისაგან, სიტყვები კი წარმოადგენენ მეტყველე-

ბის ბგერებს, როგორც ნიშნებს ჩვენი აზროვნებისათვის და გადმოგვცემენ აზრსა და გრძნობებს<sup>1</sup>. ნისი აზრით, ენაში სიტყვები არსებობენ როგორც ცალ-ცალკე: ისე ურთიერთკავშირში. ენორე მხრივ, მეტყველის ცნობიერებაში გამოიყოფა სიტყვის ესა თუ ის ნაწილი. ამიტომ ენის ფაქტებს წარმოადგენენ არა ენოლოდ ცალკეული სიტყვები, არამედ ურთიერთდაკავშირებული სიტყვებიცა და მათი ნაწილებიც.

ფორტუნატოვი იწყებს ცალკეული სიტყვის განსაზღვრით. „სიტყვა არის მეტყველების ყოველი ბგერა, რომელსაც ენაში მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებლად სხვა ბგერებისაგან. რომლებიც აგრეთვე წარმოადგენენ სიტყვებს“<sup>2</sup>.

ფორტუნატოვი განსაკუთრებით აღნიშნავს. რომ სიტყვებს წარმოადგენენ მეტყველების ბგერები (звук и звук). ამიტომ ბგერითი მხარის სივრცეა ქმნის სხვაობას თვით სიტყვებში, თუმცა შეიძლება. რომ ამ სიტყვათა მნიშვნელობა ერთმეორეს ემთხვეოდეს; მაგალითად, სიტყვები: ИЕШУАИИ და АИИИ, მიუხედავად თავიანთი მნიშვნელობითი პარალელუზისა, წარმოადგენენ სრულიად განსხვავებულ სიტყვებს.

ამავე დროს, ფორტუნატოვის აზრით, შეიძლება სიტყვა განსხვავებული იყოს ბგერობრივად, მაგრამ ეს სხვაობა ენოლოპარაკეთა მიერ არ აღიქმება, როგორც სხვადასხვა სიტყვა: მაგალითად, სიტყვები: ИИИИ და ИИИИ, მიუხედავად ბგერითი განსხვავებისა, არ გაიგება, როგორც სხვადასხვა სიტყვა. ფორტუნატოვი უყურადღებოდ არ ტოვებს არც სიტყვის მნიშვნელობითს მხარეს. ის მიუთითებს, რომ ბგერითი მხარის ერთნაირობა ყოველთვის მნიშვნელობის იგივეობას არ ნიშნავს; მაგალითად, სიტყვა „ИИИ“ „ჩემი“ და „ИИИ“ (ბრძანებითი კილო ზმნისა „ИИИ“), მიუხედავად სრული ბგერითი თანხედენილობისა, სხვადასხვა მნიშვნელობისანი არიან.

<sup>1</sup> „Изык состоит из слов, а словами являются звуки речи, как знаки для нашего мышления и для выражения наших мыслей и чувствований“.—Ф. Ф. Ф о р т у н а т о в. Избранные труды. М., 1956, გვ. 23. შემდგომში ყველგან ამ გამოცემაზე მივუთითებთ.

<sup>2</sup> „Великий звук речи, имеющий в языке значение отдельно от других звуков, являющихся словами, есть слово“, იქვე. გვ. 132.

აზრის შემთხვევა, როცა ორი სიტყვიდან ერთი სიტყვის მნიშვნელობა წარმოადგენს მეორე სიტყვის მნიშვნელობის სახეცვლას. ე. ი. ორ სიტყვას შორის მნიშვნელობითი სხვაობა მიღებულია ერთი და იმავე სიტყვის მნიშვნელობის სახეცვლით.

სახეწმეცვლილი მნიშვნელობის ერთი და იგივე სიტყვა ენაში გვაქვს მაშინ, როცა სხვადასხვა მნიშვნელობა, შეერთებული სიტყვის იგივეობრივი ბგერითი მასალით, მოლაპარაკის ცნობიერებაში ისე უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ ერთი მნიშვნელობა შეიცნობა ან როგორც შემოფარგულა, სპეციალიზაცია მეორე, უფრო ზოგადი მნიშვნელობისა, ან გადატანა სიტყვის, როგორც ნიშნისა, აზრის ერთი საგნიდან წევრებზე, რომელიც დაკავშირებულია პირველთან განსაზღვრული მიმართებით. მაგალითად, ГОРОД—საერთოდ ქალაქის მნიშვნელობით და ГОРОД—მოსკოველთათვის მოსკოვის მნიშვნელობით. ეს მაგალითი სიტყვის მნიშვნელობის გადატანის ფაქტს ადასტურებს, თუმცა ყოველი გადატანა არ იძლევა მნიშვნელობის გავრცობას ან დავიწროებას. მაგალითად, სიტყვა ПОДОШЬ (ძირი) გამოთქმაში ПОДОШЕА ГОДЫ (მთის ძირი) გადატანითაა ნახმარი, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე არა გვაქვს სიტყვის მნიშვნელობის გაფართოებასა ან დავიწროებასთან.

ფორტუნატოვს, რა თქმა უნდა, კარგად ესმის ისტორიული ფაქტორის როლი სიტყვის მნიშვნელობის ცვლაში. კერძოდ, რომ ხშირია შემთხვევა ერთი და იმავე ბგერითი მასალის მქონე სიტყვა ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდში შეიძლება იყოს სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე.

ენის ცალკეულ სიტყვებს ფორტუნატოვი ყოფს შემდეგ ჯგუფებად: სრული (полные) სიტყვები, ნაწილობრივი (частичные) სიტყვები და შორისდებულები.

სრული სიტყვები, ამბობს ფორტუნატოვი, გადმოგვცემენ აზრის საგანს (предметы мысли) და წინადადების მიმართ გვაძლევენ ან მთელ წინადადებას (მაგ. ИДИ—წადი, ИДИСЯ—ყინავს), ან წინადადების ნაწილს.

<sup>1</sup> Ф. Ф. Фортунатов, Избранные труды, М., 1956, გვ. 131.

სრული სიტყვებით გადმოცემული აზრის საგნებად შეიძლება იყოს ნიშან-თვისებები, რომლებიც გაირჩევიან აზრის საგნებში, ან ნივთები, საგნები, რომლებიც ატარებენ მოცემულ ნიშან-თვისებებს. ამის მიხედვით, შეიძლება გავარჩიოთ სიტყვა-სახელწოდებები (слова-названия) და სიტყვა-ნაცვალსახელები (слова-местоимения).

სიტყვა-ნაცვალსახელები აღნიშნავენ საგნებს ან ნივთებს, მოცემულ აზრთა მიმართებებში: ты, он, этот (შენ, იგი, ეს), ან თვით მიმართებებს, მაგ., этот человек (ეს კაცი).

სიტყვა-სახელწოდებები განასხვავებენ ნიშან-თვისებებს, რომლებიც გადმოგვცემენ დროში განსაზღვრულ მიმართებებს. ან მიმართებებს დროის გარეშე. პირველებს ეკუთვნით მოქმედება და ნდგომარეობა, მეორეს—რაოდენობა და თვისება. პირველი რიგის სიტყვებია ზნური სიტყვები, მეორე რიგის სიტყვები გვაძლევენ ორ ჯგუფს: 1) ზოგადს—საზოგადო სახელები და 2) კერძოს—საკუთარი სახელები.

სრულ სიტყვებს, გარდა ცნიშვნელობისა, აქვთ ფორმალური მხარე. ფ. ფორტუნატოვის აზრით, „მოძღვრება ენის ყოველგვარი ფორმის შესახებ ქმნის გრამატიკას. ენის ფორმები წარმოადგენენ გრამატიკულ ფაქტებს. სხვაობა ფორმათა შორის არის სხვაობა გრამატიკული“<sup>1</sup>.

სიტყვის ფორმა ფორტუნატოვისთვის არის: „უნარი ცალკეული სიტყვისა მოლაპარაკეთა ცნობიერებაში თავისი შემადგენლობიდან გამოყოს ფორმალური და ძირითადი კუთვნილება. ამასთან ფორმალური კუთვნილება არის 'ის კუთვნილება სიტყვის ბგერითი მხარისა, რომელიც სახეს უცვლის სხვა, ძირითად კუთვნილებას... სრული სიტყვების, ფორმებს წარმოადგენს მათი განსხვავება, რაც წარმოიქმნება ხოლმე ფორმალური კუთვნილების განსხვავებით, ე. ი. იმ კუთვნილებისა, რომლებიც სახეს უცვლის ძირითად კუთვნილებას“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Ф. Ф. Фортунатов, დასახლებული შრომა გვ. 136.

<sup>2</sup> ...Способность отдельных слов выделять из себя для сознания говорящих формальную и основную принадлежность слова. Фор-

ძირითად კუთვნილებას ეწოდება სიტყვების ფუძე. იმისათვის, რომ სიტყვაში შეცნობილ იქნეს ფორმალური კუთვნილება, საჭიროა იგი შეცნობილ იქნეს კიდევ სხვა სიტყვებში. ამავე დროს ეს ფუძე უნდა დაირთავდეს რომელიმე სხვა ფორმალურ კუთვნილებას. მაგალითად, სიტყვებში: *пес у, вел-у, реп-у* გამოიყოფა *у*; ამავე დროს *пес* ფუძეს ვხვდებით კიდევ სხვა ფორმალური კუთვნილებით: *пес-ете, пес-тш...*

ფორტუნატოვის აზრით, ფორმალური კუთვნილება შეიძლება იყოს არა მხოლოდ დადებითი, არამედ უარყოფითიც. მაგალითად სიტყვებში: *дом* და *человек* ფორმალური კუთვნილება გამოიხატება კოველგვარი დადებითი ფორმის უქონლობით, რადგან იგი სწორედ ფორმის უქონლობით უპირისპირდება სხვა ბრუნვებს (*дом-а, человек-а; дом-у, человек-у...*), რომელთაც ნიშნები აქვთ.

შეიძლება სიტყვა შეიცავდეს ერთზე მეტ ფორმას: მაგალითად, სიტყვებში: *селевский* და *селище*, ერთი ნაწილი *сел*—საერთოა, მაგრამ პირველში მეორესთან შედარებით მეტია—*селъ*, რაც მასში ქმნის სხვა, ზედმეტ ფორმას.

ფორტუნატოვი დაასკვნის, რომ ფორმალურ კუთვნილებას, ფუძის სახის ცვლასთან ერთად, მასში შეაქვს განსაზღვრული, ზოვადი ხასიათის ცვლილებები მნიშვნელობის თვალსაზრისითაც<sup>1</sup>.

многие принадлежностью слова является при этом та принадлежность звуковой стороне слова, которая изменяет значение другой, основной принадлежности этого слова... Формы полных слов являются, следовательно, различны полных слов, образуемые различными в их формальных принадлежностях, т. е. в тех принадлежностях, которые изменяют значения других, основных принадлежностей тех же слов. იქვე, გვ. 135—137.

<sup>1</sup> „Формальные принадлежности полных слов, изменяя известным образом значения различных основ, как однородных в известном отношении, вносят, следовательно, в слова известные общие изменения в значениях, т. е. при посредстве различных форм полных слов, обозначаются в данных предметах также различия

ფორტუნატოვი მიუთითებს, რომ ტერმინ „ფორმა“ ხშირად იყენებენ გადატანითი მნიშვნელობითაც. ცალკეული სრული სიტყვების ფორმებს ხშირად უწოდებენ თვით ფორმებიან სიტყვებს. მაგ., სიტყვებს *peace*, *sleep*, რომლებიც მოიცავენ ფორმებს პირველი პირისა და მხოლოდითი რიცხვისა აწმყოში, შეიძლება ეწოდოთ ფორმები პირველი პირისა, მხოლოდითი რიცხვისა და სხვა.

ფორტუნატოვის აზრით, სიტყვის ფორმა სრულიადაც არაა აუცილებელი ყველა ენისათვის. შეიძლება არსებობდეს ენა (როგორც, მაგალითად, ჩინური) რომელსაც არ აქვს ფორმა.

ფორმის ექონე ენათა შორის განსხვავება ჩვეულებრივი მოვლენაა. განსხვავება შეინიშნება როგორც ფორმის მნიშვნელობის, ისე ფორმის წარმოების მხრივ. ყველაზე უფრო გავრცელებულია ფორმათა წარმოების ისეთი სახე, როცა ფორმა შეიცნობა, როგორც ამ სიტყვის ცვლადი ნაწილი; მაგ., სიტყვებში: *peace*-*ness*, *sleep*-*ness* და *т* შეიძლება ცალკე იქნეს გაგებულნი.

ფორმალურ ნაწილს სიტყვის ფორმებში ეწოდება აფიქსები, არაფორმალურს — ფუძეები.

ფუძეები შეიძლება იყოს წარმოქმნილი (*основа производная*) და წარმოუქმნელი (*непроизводная*); მაგ., *стола*-*ик*-*а* წარმოქმნილი ფუძე, შეიცავს თავისში „*ик*“ აფიქსს და „*стола*“ ფუძეს. ისეთ ფუძეს, რომელიც თავის თავში არ შეიცავს არავითარ ფორმალურ კუთვნილებას, ეწოდება ძირი. ისტორიულად წარმოქმნილი ფუძე დღეს შეიძლება აღარ დაიშალოს ძირად და აფიქსად.

ფორმალური კუთვნილება შეიძლება წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ აფიქსებით, არამედ სხვა საშუალებებითაც; მაგალითად, ფუძეთა განმეორების საშუალებით ან სიტყვის ბგერითი შედგენილობის ცვლით. ფუძეთა განმეორებას მეტ-

---

общие этим предметам мысли, как принадлежащим к одному классу в известном отношении.“ იქვე, გვ. 138.

წილად მიმართავენ პოლინეზიურ ენებში. სიტყვის ბგერითი ნაარის შეცვლა (ფუძის ფლექსია) ფართოდ არის გავრცელებული სენიტურ და ინდოევროპულ ენებში.

ათქსები, იმის მიხედვით, თუ სად დაერთვიან სიტყვას, იყოფიან: სუფიქსებად, პრეფიქსებად და ინფიქსებად. ფორმათა წარმოების მხრივ ენები იყოფიან სხვადასხვა ჯგუფად. ასეთი დაყოფა მორფოლოგიური კლასიფიკაციის სახელითაა ცნობილი. განასხვავებენ: 1) აგლუტინაციურ ენებს; 2) აგლუტინაციურ-ფლექსიურს; 3) ფლექსიურს და 4) ძირეულს.

სრული სიტყვები აზრის საგნებთან მიმართებებში წარმოადგენენ საგანთა ნიშნებს, მაგრამ მსჯელობის მიმართ წარმოადგენენ ან ნაწილს წინადადებისა, ან მთელ წინადადებას. ამის მიხედვით, სრული სიტყვების ფორმებში განასხვავებენ: 1) ფორმებს, როგორც აზრის ცალკეულ საგანთა ნიშნებს, და 2) სიტყვათა ფორმებს წინადადებებში.

პირველები გამოხატავენ სხვაობებს თვით აზრის საგანთა შორის, ნეორენი კი—სხვაობებს აზრის საგანთა იმ დამოკიდებულებებს შორის, რომლებიც წინადადებებში მოცემული სიტყვებით გამოიხატებიან.

ამის მიხედვით, ფორტუნატოვი არჩევს სიტყვათცვლისა (словоизменение) და სიტყვათწარმოქმნის (словообразование) ფორმებს. სიტყვათცვლის ფორმები, ფორტუნატოვის მიხედვით, გადმოგვცემენ აზრის სხვა საგნებთან მოცემულ აზრის საგნების ურთიერთობათა სხვაობას<sup>1</sup>.

ფორტუნატოვი იძლევა სიტყვათწარმოქმნის ფორმების ორ განსაზღვრას. ეს ფორმები, ერთი მხრით, განისაზღვრება... „როგორც სხვადასხვა სახის აზრის საგანთა ცალკეული

---

<sup>1</sup> „Формы отдельных полных слов, обозначающие различия в отпущенных данных предметов мысли к другим предметам мысли в предложениях, называются формами словоизменения“. იქვე. ვ. 155.

ნიშნები“<sup>1</sup>, და, მეორე მხრით, როგორც „ისეთი ფორმები, რომლებიც არ არიან სიტყვათცვლის ფორმები“<sup>2</sup>.

სიტყვათცვლის ფორმებში ფორტუნატოვი განასხვავებს შემასმენლობითსა და წინადადების მეორეხარისხოვან ნაწილთა ფორმებს (второстепенные части предложения). შემასმენლობით ფორმებს განეკუთვნება: ა) საკუთრივ შემასმენლობითი ფორმები, რომლებიც გადმოგვცემენ სხვაობას შემასმენლის დამოკიდებულებისა ქვემდებარესთან. ასეთ ფორმებად მიიჩნევა, ა) კილოსა და დროის ფორმები ზმნებში; ბ) ფორმები, რომლებიც გადმოგვცემენ შემასმენლის დამოკიდებულებას ქვემდებარესთან (პირის ფორმები, აგრეთვე ზმნებში).

წინადადების მეორეხარისხოვანი წევრების ფორმებში გაირჩევიან: ა) ფორმები, რომლებიც გადმოგვცემენ მოცემულ დამოკიდებულებებში სხვაობებს აზრის საგნისა სხვა, მისგან გამოყოფილი, აზრის საგანთაგან, როცა ეს სხვა აზრის საგნებიც წინადადების ნაწილებია (ბრუნვის ფორმები არსებითებში) და ბ) ფორმები, რომლებიც გადმოგვცემენ დამოკიდებელი აზრის საგნის და დამოკიდებული აზრის საგანს შორის არსებულ მინარტებებს. ასეთ ფორმებად ფორტუნატოვს მიაჩნია ინდო-ევროპული ენების გრამატიკული სქესის ფორმები ზედსართავეებში.

სიტყვათწარმოების ფორმებში ფორტუნატოვი განასხვავებს მარტივი და რთული სიტყვების წარმოებას. მარტივ წარმოებაში გამოყოფს ფორმებს, ა) როცა ახალი სიტყვა არის ევლის სახესხვაობა რაიმე თვისებით (მაგალითად, белѣи—беленѣи და სხვას) და ბ) როცა ახალი სიტყვა მიღებულია იმავე ძირიდან, მაგრამ სხვა სიტყვათმაწარმოებელი ფორმით (მაგ., учить—учитель და სხვა). სიტყვათწარმოების

<sup>1</sup> ... „Какъ различнаго рода отдѣльныя знаки предметовъ мысли“. იქვე, გვ. 155.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 155. ამიტომ არ შეიძლება გავიხიაროთ აკად. ვ. ვინოგრადოვის აზრი იმის შესახებ, რომ ფორტუნატოვი სიტყვათწარმოების ფორმებს განსაზღვრავს მხოლოდ ნეგატიურად. იხ. В. Виноградовъ, Современный русскій языкъ, ч. 1, 1931, გვ. 51.

ფორმებში შეიძლება გაირჩეს ფორმები, ერთი მხრით, მთლიანი სიტყვის მაწარმოებელი (მაგ., მოსკ-მოсякы—მრავლობითი) და. მეორე მხრით. ძირის მაწარმოებელი (учитъ—учителъ). განხილული ფორმები, როგორც ერთეული, სიტყვათწარმოების ნარტივა ფორმებია.

სიტყვათწარმოების რთულ ფორმებში შედის ისეთი სიტყვათწარმოება. როცა ერთმანეთს უერთდებიან დამოუკიდებელი აზრის მნიშვნელობის მქონე საგნების გადმომცემი სიტყვები და. რომლებიც შეერთების შედეგად იძლევიან სრულიად ახალ მნიშვნელობას. დამოუკიდებელ საგანს (მაგ., вода—вода = вода).

ამის შემდეგ ფ. ფორტუნატოვი იძლევა ცალკეული სრული სიტყვების კლასიფიკაციას.

ცალკეულ სრულ სიტყვებში ფორმის არსებობა, აღნიშნავს იგი, ქმნის ცალკეულ სრულ სიტყვათა „ფორმალურ“ ანუ „გრამატიკულ“ კლასებს. სიტყვები, რომლებიც ფორმის მიხედვით სხვადასხვა კლასებში ერთიანდებიან, ფუძის ფორმის მიხედვით შეიძლება მოხდნენ ერთ კლასში. მისი აზრით, „ცალკეულ სრულ სიტყვათა გრამატიკული კლასები არ შეიძლება ავრიოთ არაგრამატიკულ კლასებთან. რაც ემყარება სიტყვათა მნიშვნელობის კლასებს-<sup>1</sup>. სახელწოდებითი და ნაცვალსახელობითი სიტყვების განსხვავება ეყრდნობა მნიშვნელობებს და ვერ ქმნის გრამატიკულ კლასებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ არც ერთ ენას არ გააჩნია სიტყვათა ერთგვარი გრამატიკული კლასები, თუნდაც შეტად ზოგად ხაზებში.

კლასიფიკაცია. რომელსაც ფორტუნატოვი იძლევა, ეხება საერთო ინდოევროპულ (индоевропейские языки) ენას, კერძოდ, ამ ენის დაშლის პერიოდს.

ამ დროს, მიუთითებს ფორტუნატოვი, ეს ენა განასხვავებს ცალკეულ სრულ სიტყვათა შემდეგ გრამატიკულ კლა-

<sup>1</sup> Ф. Ф. Фортунатов, Избранные труды, М., 1956, стр. 157.

სებს: 1) სიტყვები სიტყვათცვლის ფორმებით და 2) სიტყვები სიტყვათცვლის ფორმათა გარეშე. ფორმატვალებად სიტყვებში გაირჩეოდნენ: 1) უღლებადი სიტყვები—ზმნები (ამ ტერმინის ვიწრო მნიშვნელობით); 2) ბრუნვადი სიტყვები—არსებითი სახელები და 3) სიტყვები. რომელთაც, ბრუნვის გარდა, ჰქონდათ სქესში შეთანხმების ფორმები, ანუ ზედსართავები.

ფორტუნატოვი აქვე განიხილავს იმასაც, თუ რას აღნიშნავდა ამ სიტყვათა კლასები, რა მნიშვნელობა ჰქონდათ მათ.

ზმნები ე. წ. ზმნური ფუძეებით გადმოგვეცემდნენ მოქმედებას ან მდგომარეობას, ე. ი. ისეთ ნიშნებს, რომლებიც იცვლებიან დროში. უღლების (შემასმენლობის, კილოს, დროის და პირის) ფორმებით გადმოგვეცემდნენ ნიშნებს (მოქმედებას ან მდგომარეობას). რომლებიც დროში მიმდინარეობენ, ჰქვამდებარესთან ანუ მსჯელობის სუბიექტთან შეხამებით<sup>1</sup>.

საერთო ინდოევროპული ზმნის კილოში განსხვავდებოდა პირდაპირი (თხრობითი) და არაპირდაპირი (კავშირებითი, ბრძანებითი, ნატვრითი) კილოები.

თხრობითი კილო განასხვავებდა სამ დროს: აწმყოს, მოწავალსა და წარსულს. ზმნებში აგრეთვე გაირჩეოდა სამი პირი და სამი (მხოლოდითი, ორობითი და მრავლობითი) რიცხვი.

გარდა ამისა, ზმნებს ჰქონდათ სიტყვათმწარმოებელი ფორმები, რომლებიც წარმოების მიხედვით არ გაირჩეოდნენ შემასმენლობისა და პირის (ე. ი. სიტყვათცვლის) ფორმებისაგან. ისინი მხოლოდ ფორმების თვალსაზრისით განეკუთვნებოდნენ უღლებას; ასეთი იყო გვარისა და ასპექტის ფორმები.

გვარის ფორმებში გაირჩეოდა: საშუალი და არასაშუალი, რასაც არასწორად მოქმედებითს უწოდებენ.

<sup>1</sup> იქვე გვ. 159.

საშუალო გვარის ძირითადი მნიშვნელობა იყო უკუქცევითობის გადმოცემა. მოქმედებით გვარს მისგან განასხვავებდა ასეთი ფორმის უქონლობა.

ასპექტი განასხვავებდა იმპერფექტსა და პერფექტს. იმპერფექტი კი თავის მხრივ გამოყოფდა ხანგრძლივსა (длительное) და არახანგრძლივს (недлительное).

არსებითი სახელების (ბრუნვადი სიტყვების) ფუძეები საერთო ინდოევროპულ ენაში გადმოგვცემდნენ აზრის დამოუკიდებელ საგნებს, ხოლო ბრუნვის ფორმებით — ამ საგნებს სხვებთან მიმართებაში, თუ მიმართების დამოკიდებულების გარეშე.

ფორტუნატოვი განსაზღვრავს, თუ რამდენი ბრუნვა იყო ინდო-ევროპულ საერთო ენაში და რა ფუნქციები ეკისრათ მათ. ბრუნვიანი სიტყვების სიტყვაცვლის ფორმებში ერთიანდებოდა რიცხვის ფორმაც.

საერთო ინდოევროპულ ენაში ბრუნვადი არსებითი სახელების სხვა სიტყვების ფორმებთან მიმართებაში გაიჩინოდა: 1) პირის არსებითი სახელები (существительные личные), ე. წ. პირის ნაცვალსახელები და 2) უპირო არსებითები (существительные неличные). უკანასკნელებში განიყოფოდა ა) არსებითი სახელები (სახელწოდებითი სიტყვები) და ბ) არსებითი ნაცვალსახელები არაპირისანი (ე. ი. ნაცვალსახელები არაპირის ნაცვალსახელური ფუძეებით).

არსებით სახელთა ფუძეები შეიძლებოდა ყოფილიყო წარმოქმნილი და წარმოუქმნელი.

ზედსართავები განსხვავდებოდნენ არსებითებისაგან მხოლოდ სქესის (სიტყვათცვლის) ფორმებით. ამ ფორმათა ფუძეები გადმოგვცემდნენ თვისებებს. სქესები განასხვავდებდნენ სამ ფორმას: მამრობითს, მდედრობითსა და საშუალს.

ფორმის გამო (შეთანხმება სქესში) ზედსართავები დამოკიდებულნი იყვნენ არსებით სახელებზე.

ზედსართავში ერთიანდებოდა ისეთი ფორმებიც, რომელთა ფუძეც ზმნური წარმოშობის იყო. ამასთან მათ შენარ-

ჩუნებული ჰქონდათ გვარისა და ასპექტის ფორმაც. ასეთი სიტყვები წარმოადგენდა მიმღეობებს.

ს რ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი, რომელთაც არ ჰქონდათ სიტყვათცვლის ფორმები განასხვავებდნენ სიტყვებს სიტყვათწარმოების ფორმებითა და სიტყვებს ყოველგვარი ფორმის გარეშე. უკანასკნელნი ვერ ქნნიდნენ ვერაერთარ გარკვეულ კლასს; პირველებს კი ფუძე საერთო ჰქონდათ სიტყვათცვლის ფორმებიან სიტყვებთან. ასეთი სიტყვები განეკუთვნებოდნენ გრამატიკულ ზნნიზედებს.

გრამატიკული ზნნიზედის ფორმებით გადმოიცემოდა სხვა საგანთა ფორმებთან აზრის იმ საგანთა დამოკიდებულება, რომელიც განიხატულია სიტყვათცვლელი ფუძის მქონე სიტყვის ფუძეში<sup>1</sup>.

მრავალ სრულ სიტყვას, რომელსაც ფორმა არ ჰქონია, მაგრამ თავის არაგრამატიკული მნიშვნელობით ახლო იდგა გრამატიკულ ზნნიზედებთან, ეწოდებოდა აგრეთვე „ზნნიზედები“.

რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი მიუხედავად იმისა, რომ ზოგ წმენთევეაში ფორმათა გამოყენებისას თავისებურებებს იჩენდნენ, მაინც არ შეადგენდნენ სიტყვების ცალკე კლასს, ისინი ერთიანდებოდნენ ბრუნვად სიტყვებთან.

ი ნ ფ ი ნ ი ტ ი ვ ი ინდო-ევროპულ ენას არ ჰქონდაო, შენიშნავს ფორტუნატოვი. მისი აზრით, ინფინიტივი არის სრული სიტყვა, რომელსაც სიტყვათცვლელი ფორმის უქონლობის დროს აქვს სიტყვათწარმოებელი ფორმა<sup>2</sup>. ინფინიტივის ფუძე იგივეა, რაც ზნის ფუძე. ინფინიტივის ფორმით მო-

<sup>1</sup> «Формами грамматических паречий обозначаются различные отношения тех предметов мысли, которые обозначены в основах слов, имеющих формы словоизменения, к признакам других предметов» Ф. Фортунатов, Избранные труды, М., 1956 г. 165.

<sup>2</sup> «Инфинитивы — полные слова, имеющие при отсутствии форм словоизменения словообразовательную форму, называемую формой инфинитива» ი ქ ვ ე, გვ. 166.

ცემული აზრის საგნები (მოქმედება ან მდგომარეობა) გამოიხატება იმ მიმართების გარეშე, რაც მოცემულია ზმნაში შემასქენლობისა და პირის ფორმებით.

ფ. ფორტუნატოვი ამით ამთავრებს სიტყვათა გრამატიკულ კლასებად დაყოფას და ასკვნის: „სრული სიტყვების“ გრამატიკულ ანუ ფორმალურ კლასებს, ჩვეულებრივ, უწოდებენ მეტყველების ნაწილებს, უფრო ზუსტად კი ისინი უნდა იწოდებოდნენ „გრამატიკული მეტყველების ნაწილებად“, რადგანაც „მეტყველების ნაწილებში“ იგულისხმება „ცალკეული სრული სიტყვების არა გრამატიკული კლასებიც“<sup>1</sup>.

ფ. ფორტუნატოვის აზრით, მეტყველების ნაწილთა არსებულის დაყოფა, რომელიც ღღეს გრამატიკებშია მოცემული და რომელიც ძველი გრამატიკების გადმონაშთია, სიტყვათა გრამატიკულ კლასებს ურევს არაგრამატიკულ კლასებში; ამიტომ არ შეიძლება მას მეცნიერული ღირებულება ჰქონდეს.

როგორც ვნახეთ, ფორტუნატოვმა ენის სიტყვათა დანაწილების დროს სრული სიტყვების გვერდით გამოყო ე. წ. ნაწილობრივი სიტყვები. ნაწილობრივ სიტყვებს მასთან ეწოდება ნაწილაკები.

სიტყვის განსაზღვრა, ფორტუნატოვის აზრით, თანაბრად მიუდგება როგორც ნაწილობრივს, ისე სრულ სიტყვებს, თუცა მათ შორის მაინც არის განსხვავება. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ნაწილობრივს სიტყვებს არა აქვთ მნიშვნელობა სრული სიტყვის მნიშვნელობისაგან დამოუკიდებლად, რადგან ნაწილობრივი სიტყვები გამოხატავენ რაიმეს

---

<sup>1</sup> „Грамматические или формальные классы целых полных слов называют обыкновенно просто частями речи, а точнее их следовало бы называть „грамматическими частями речи“, так как под названием „части речи“ подразумеваются и неграмматические классы целых отдельных слов“. Ф. Фортунатов, Избранные труды, 1956, М., 33. 166.

სრული სიტყვების მნიშვნელობაში ან წინადადების მნიშვნელობაში, რომელშიც შედის სრული სიტყვები<sup>1</sup>.

ნაწილობრივ სიტყვებში ფორტუნატოვი ასხვავებს ორ ჯგუფს: ერთნი წარმოადგენენ სრული სიტყვების დამატებას და მათთან ერთად ქმნიან არამარტივ სიტყვებს. ამ ჯგუფში იგულისხანება წინსართები (приставки); მაგალითად, при-ход, у-ход და სხვა; მეორენი წარმოადგენენ ცალკეულ ნაწილობრივ სიტყვებს (отдельные частичные слова), რომლებიც აღნიშნავენ რასმე სრული სიტყვების მნიშვნელობაში, როგორც წინადადების ნაწილებში ან თვით წინადადებების მნიშვნელობაში, რომელთა შემადგენლობაში შედიან სრული სიტყვები.

მნიშვნელობის მიხედვით ნაწილობრივი სიტყვები იყოფიან შემდეგ კლასებად: I. ე. წ. შემაერთებელი (соединительные) სიტყვები, რომლებშიაც გამოიყოფა ქვეჯგუფები: 1) წინდებულები, 2) კოპულა (связка) და 3) კავშირი; II. კლასნი შედიან გამაძლიერებელი სიტყვები (რუს. „то...“); III. კლასს ეკუთვნის უარყოფა და კითხვა (რუსული „не“, „ли“); IV. კლასი შედგება ორი ჯგუფისაგან. პირველი ჯგუფი გადმოგვცემს მოლაპარაკის დამოკიდებულებას გადმოსაცემ აზრთან (მაგ. „не-приятно...“), მეორე ჯგუფი მიუთითებს იმაზე, რომ წინადადება სხვისი მეტყველებიდანაა აღებული (მაგ. „что“).

ფორტუნატოვი იქვე მიუთითებს იმაზე, რომ ნაწილობრივი სიტყვები ხშირად იხმარება სრული სიტყვების მაგივრად. მაგალითად, „он сказал нет“, აქ „нет“ უკვე სრული სიტყვაა.

ამ კლასიფიკაციით შორისდებული წინადადების გარეშე დგას და გადმოგვცემს არა აზროვნების საგნებს, არამედ გრძნობებს.

<sup>1</sup> „Отличие частичных слов от полных слов в том, что значение частичных слов не существует отдельно от значения полных слов, так как частичные слова обозначают нечто или 1) в значениях полных слов или 2) в значениях предложений, в состав которых входят полные слова“. იქვე, გვ. 169.

„ნ. ა. ა.“-ს ტიპის ე. წ. დამხმარე ზმნებს ფორტუნატოვი უწოდებს გრამატიკულ ნაწილობრივ სიტყვებს. ეს ფორმიანი სიტყვებიაო, შენიშნავს იგი. ისინი ცვლიან სხვა სრული სიტყვის ფორმის მნიშვნელობას და ქმნიან სრული სიტყვების ახალ ფორმებს. ეს სიტყვები თავიანთი მნიშვნელობით შეფარდებიან სრული სიტყვების პარტიკულ ფორმებსო<sup>1</sup>.

ლექციების კურსის დასასრულს ფორტუნატოვი იძლევა ენათმეცნიერების დაყოფას დარგებად. იგი მიუთითებს, რომ ენათმეცნიერების ნაწილი, რომელშიც შეისწავლება სიტყვათა ფორმები, ანუ სიტყვები მათი ფორმებით, წარმოადგენს გრამატიკას.

მოძღვრებას ენის ფუძეებზე. ფორმებთან დამოკიდებულებათა გარეშე, ეწოდება ლექსიკოლოგია.

გრამატიკა იყოფა ორ ნაწილად: მორფოლოგია (ეტიმოლოგია) და სინტაქსი. პირველი განიხილავს ცალკეული სიტყვების ფორმებს სხვა ცალკეულ სიტყვებთან მიძარბებში. სინტაქსში შეისწავლება, ცალკეულ სიტყვათა ფორმები მათი შესიტყვებაში გამოყენების მიხედვით<sup>2</sup>.

ენათმეცნიერების იმ ნაწილს, რომელიც შეისწავლის მნიშვნელობათა ისტორიას მოცემულ ენაში ან ენებში, მაშასადამე, საერთოდ ადამიანთა ენის ისტორიას, ეწოდება სემასიოლოგია.

ფორტუნატოვის აზრით, სიტყვის მნიშვნელობის ყოველი ცვლა ფსიქოლოგიურ ფაქტორთანაა დაკავშირებული. ამიტომ სემასიოლოგიურ მოვლენათა საბოლოო ახსნა უნდა ვეძიოთ ფსიქოლოგიის მონაცემებში.

\* \* \*

ჩვენ შევეცადეთ დაწვრილებით გადმოგვეცა ფორტუნატოვის მოძღვრება მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის

<sup>1</sup> Ф. Фортунатов, Избранные труды, М., 1956, стр. 169—170.

<sup>2</sup> „В грамматике различают две части: морфологию (этимологию) и синтаксис. Первая рассматривает формы отдельных слов по отношению к отдельным словам, а в синтаксисе изучаются формы отдельных слов по отношению к употреблению их в словосочетании“... იქვე, გვ. 173.

საკითხებზე; ახლა საკიროდ მიგვაჩნია ამ მოძღვრების განხილვა.

ფორტუნატოვის აზრით, ენათმეცნიერების საგანს წარმოადგენს ადამიანის ენა თავისი ისტორიით. ენა შედგება სიტყვებისაგან. სიტყვები წარმოადგენენ საგახთა ნიშნებს აზროვნების პროცესში; ამავე დროს ისინი არიან აზრისა და გრძნობის ნიშნები მეტყველებაში.

სიტყვა-ნიშანის ცნება მეტყველებასა და აზროვნების პროცესში ფორტუნატოვს დასკირდა იმისათვის, რომ ხაზი გაესვა იმ მკვიდრო კავშირისათვის, რომელიც არსებობს ენასა და აზროვნებას შორის.

ფორტუნატოვს არ აკმაყოფილებს ფორმულა, რომლის მიხედვითაც ენა მიჩნეულია აზრის გადმოცემის საშუალებად, ან მის იარაღად. იგი წერს: „არაა სწორი შეხედულება ენაზე, როგორც მხოლოდ აზროვნების გადმოცემის საშუალებაზე. კემპარიტებასთან ახლოა ენის განსაზღვრა აზროვნებასთან დამოკიდებულებაში, რომლის მიხედვითაც იგი წარმოადგენს არა მხოლოდ საშუალებას აზრის გადმოცემისათვის, არაჲდ აგრეთვე აზროვნების იარაღს. ამ განსაზღვრაში არის მიითთება იმაზე, რომ აზროვნება ქმნის თავისთვის რალაცას ენის საშუალებით, მაგრამ ენის მნიშვნელობა აზროვნების პროცესში მაინც არაა სწორად ახსნილი; კერძოდ, ასეთი განსაზღვრისას ენა შეიძლება წარმოგვიდგეს რალაც განზე მდგომი აზროვნებისათვის, თუმცა მისთვის საკირო იარაღად, მაშინ როცა ენის მოვლენები გარკვეული თვალსაზრისით განეკუთვნებიან აზროვნების მოვლენებს. ენა ზეპირი მეტყველების პროცესში, გადმოგვეცნეს რა აზრს, არსებობს იმიტომაც, რომ ის არსებობს ჩვენს აზროვნებაში. სიტყვები ჩვენს მეტყველებაში უშუალოდ გადმოგვეცემენ ისეთ აზრებს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან იმავე სიტყვის წარმოდგენები, როგორც ნიშნები აზრისა...“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Ф. Ф. Ф о р т у н а т о в, О преподавании грамматики русского языка в средней школе. Труды первого съезда преподавателей русского языка в военно-учебных заведениях, СПб., 1904, гл. 377—78.

ენის ასეთი განსაზღვრით ფორტუნატოვი ჩასწვდა აზროვნებისა და ენის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. ფორტუნატოვისათვის ენა წარმოადგენს აზრის გადამომცემსა და აზროვნების საშუალებას. იგი სათანადო ენობრივი ფაქტების მოშველიებით ავითარებს აზრს, რომ ენის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა აზროვნება საერთოდ. ფორტუნატოვისთვის ენა არ შედგება მხოლოდ სიტყვებისაგან. მეტყველებაში სიტყვები ერთმანეთს უკავშირდებიან, შესიტყვებებს ქმნიან. ამავდროს ენის სიტყვებში გამოიყოფა ესა თუ ის ნაწილი, ამიტომ ენობრივ ფაქტებად უნდა მივიჩნიოთ შესიტყვებებიცა და სიტყვებიც—ამ უკანასკნელთა დაყოფის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

როგორც ვნახეთ, პოტენციამ სიტყვის მნიშვნელობასთან ერთად სიტყვის ფორმასაც მიაქცია ყურადღება<sup>1</sup>, მაგრამ მან ფორმის საკითხი ვერ გადაწყვიტა, რადგან უარყო ცალკეული სიტყვის არსებობა. სრულიად სხვაგვარად დგას საკითხი ფორტუნატოვთან. ფორტუნატოვისათვის ცალკეული სიტყვა ენის ქვაკუთხედიია. იგია ფორმისა და მნიშვნელობის მატარებელი.

ფორმისა და მნიშვნელობის ურთიერთობის საკითხის სწორად გადაჭრისათვის ცალკეული სიტყვის არსებობის აღიარება აუცილებელია. ამ მხრივ ფ. ფორტუნატოვის დამსახურება დიდია.

ფ. ფორტუნატოვის შეფასებისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი, უპირველესად ყოვლისა, ნეოგრამატიკოსია. ზისთვის ენათმეცნიერება მხოლოდ ისტორიული ენათმეცნიერებაა. შედარება ამ ენათმეცნიერებისათვის საშუალებაა ისტორიის საძიებლად. ამიტომ აღწერითს ენათმეცნიერებას ფორტუნატოვთან, ბუნებრივია, ნაკლები ყურადღება ექცევა. ის, რაც ენის ისტორიით ვერ აიხსნება, ენათმეცნიერების ფარგლებს გარეთ ძევსო, აცხადებს ფორტუნატოვი. ამ მხრივ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სიტყვის ბგერითი მასალისა და მნიშვნელობის ურთიერთობის საკითხი, ფორტუნატოვს ფსიქოლოგიის საგნად მიაჩნია. ენათმეცნიერება, ფორტუნატოვის აზრით

<sup>1</sup> იქვე, გვ. 56.—65.

იწყებს იქ, სადაც განიხილება ენის ცალკეული სიტყვის მიერ ამა თუ იმ მნიშვნელობის გამოხატვის საკითხი. „ბგერისა და მნიშვნელობის კავშირის შესახებ... კითხვაზე პასუხს ენათმეცნიერი პოულობს ფსიქოლოგიის იმ ნაწილში, რომელიც იხილავს ჩვენს სულიერ მოვლენებსა და ჩვენ მოძრაობებს (ამ შემთხვევაში მეტყველების ორგანოთა მოძრაობებს). მაგრამ ის ახსნა, რომელსაც იძლევა ფსიქოლოგია, არ წყვეტს საკითხს ცალკეული ენის ფაქტების მიმართ; კერძოდ, როგორ წარმოიშვა მოცემულ ენაში კავშირი ამა თუ იმ ბგერებისა გარკვეულ მნიშვნელობასთან. ვსვამთ რა ამ საკითხს, ჩვენ ვსვამთ საკითხს მოცემული ფაქტის ისტორიისა კონკრეტულ ენაში; ამისდაკვალად აშკარად შევდივართ ენათმეცნიერების სფეროშიო<sup>1</sup>; — ცოტა ქვემოთ იგი შეინიშნავს: სემასიოლოგია შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობის ისტორიას გარკვეულ ენასა და საერთოდ ენებში, მაგრამ რადგან სიტყვის მნიშვნელობის ცვლა დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ ფაქტორთან, სემასიოლოგიის საბოლოო ახსნა ფსიქოლოგიაში უნდა ვეძებოთ.

შეიძლება ამ მოსაზრებიდან გამომდინარეობდეს ის ფაქტი, რომ ფორტუნატოვი სიტყვის მნიშვნელობას ნაკლებ ყურადღებას აქცევს თავის ლექციებში.

ფორტუნატოვის მოძღვრების შეფასებისას არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს, რომ იგი უკანასკნელი ოცი-ოცდახუთი წლის მანძილზე თითქმის მხოლოდ თავდასხმისა და კრიტიკის ობიექტია. აი რას წერს ფორტუნატოვის შესახებ აკად. ვ. ვინოგრადოვი: „გულუბრყვილო ემპირიზმი კომპარატივისტისა, რომელიც ეყრდნობა შორეულ, ხანდახან მხოლოდ წარმოსახულ, ეპოქათა მოვლენებს, კმაყოფილდება სიტყვათა ზოგადი ან ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობისა და გარეგანი ფორმის მიხედვით გამოყოფა-გამოცალკევების პრიმიტიული უბეში ხერხებით...“<sup>2</sup>. კიდევ უფრო კრი-

<sup>1</sup> Ф. Фортунатов. Избранные труды. М., стр. 28.

<sup>2</sup> В. В. Виноградов, Современный русский язык, ч. I, М., 1938, стр. 50.

ტიკულად განიხილავს იგი ფორტუნატოვის სკოლას: „გრამატიკულ დაკვირვებათა სქემატიზმი, რომელიც უგულვებელყოფს ენობრივი სისტემის სხვადასხვა მხარეთა სტრუქტურულ მთლიანობას; მიდრეკილება აბსტრაქტულ-საკლასიფიკაციო ფორმალურობისადმი; მორფოლოგიურ აგებათა გულუბრყვილო ემპირიზმი, რომელიც ანგარიშს არ უწევს კოლექტივის მიერ მოცემული ენის ცოცხალი სოციალური ბუნების გაგებას. — აი დამახასიათებელი ნიშნები ფორტუნატოვის სკოლისა“<sup>1</sup>.

პროფ. ს. ბერნშტეინის აზრით, ფორტუნატოვის სკოლის მიმდევართა (მისი გამოთქმით, ფორმალურ გრამატიკოსთა) შეცდომა ისაა, რომ ისინი უგულვებელყოფენ ფორმისა და შინაარსის დიალექტიკურ კავშირს, ფორმას წყვეტენ შინაარსისაგან<sup>2</sup>.

ჩვენი აზრით, არ იქნებოდა მართებული ფორტუნატოვის ნააზრევის „ნილილისტურ ფორმალიზმად“ (ე. ვინოგრადოვის გამოთქმა) გამოცხადება; ვერ დავეთანხმებით აგრეთვე იმ მოსაზრებასაც, რომლის მიხედვით ფორტუნატოვი თითქოს ფორმასა და შინაარსს წყვეტდეს ერთმანეთს.

ფორტუნატოვის მოძღვრების დედაბოძი სიტყვის პრობლემაა, მისი ავკარგიანობა სიტყვის პრობლემის გადაწყვეტით უნდა შეფასდეს.

შეიძლება თუ არა ფორტუნატოვის მოძღვრებაზე დაყრდნობით სიტყვის ყოველმხრივი განხილვა-შესწავლა? — აი, მთავარი საკითხი, რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ენათმეცნიერებაში ფორტუნატოვმა გამოყო: ლექსიკოლოგია, სემასიოლოგია, გრამატიკა (მორფოლოგია და სინტაქსი) და თითოეულ მათგანს გარკვეული საკვლეო ამოცანა დაუსახა. ენათმეცნიერების ასეთი დაყოფა, საკმაოდ სრულად ითვალისწინებს

<sup>1</sup> იქვე, გვ. 38.

<sup>2</sup> С. Бернштейн, Основные понятия грамматики в освещении А. М. Пешковского.—(А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, 1936, გვ. 27).

სიტყვის, როგორც ენის ძირითადი ერთეულის, ბუნებას, კერძოდ, მის დაშლას ფუძედ და აფიქსად; მასში ორი მხარის (მნიშვნელობისა და ფორმის) აღიარებას; სიტყვათა ურთიერთკავშირს შესიტყვებაში. ფ. ფორტუნატოვისეული სიტყვის განსაზღვრა, რომელიც ვ. ვინოგრადოვის სწორი შენიშვნით, მართლაც უახლოვდება სიტყვის ტრადიციულ განსაზღვრას, ხაზს უსვამს მის (სიტყვის), როგორც მნიშვნელობითს (მატერიალურს), ისე ბგერითს (გარეგნულ, ფორმალურ) მხარეს.

ამ მხრივ უფრო საგულისხმოა სიტყვათა კლასიფიკაცია, რაც ჩვენ თვალსაჩინოებისათვის სქემის სახით წარმოვადგინეთ. (სქემა იხ. შემდეგ გვერდზე).

ამ სქემის მიხედვით, ენის ყველა სიტყვა, უპირველესად ყოვლისა, იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: სრულ სიტყვებად, ნაწილობრივ სიტყვებად და შორისდებულებად.

ამ კლასიფიკაციის კრიტერიუმში სიტყვის სენანტიკური მხარეა. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს ა. პეშკოვსკიც, როცა ამბობს: „შეიძლება ითქვას, რომ პირველი რიგის სიტყვებს (მისი მაგალითით: *сбер, жая* და სხვა) ენაში აქვთ სრული მნიშვნელობა, ამიტომ მათ, ჩვეულებრივ, სრულ სიტყვებს უწოდებენ; მეორე რიგის სიტყვებს (*союз... и...* და სხვა) აქვთ ნაწილობრივი მნიშვნელობა, ამიტომ მათ ნაწილობრივი სიტყვები ჰქვია<sup>1</sup>.

პეშკოვსკი იქვე შენიშნავს, რომ ეს დაყოფა არ უნდა ავიროთ სიტყვების ფორმიანებად და უფორმოებად დაყოფაში. წიგნის მესამე გამოცემაში ა. პეშკოვსკიმ ტერმინების „სრული“ და „ნაწილობრივი-ს“ მაგიერ იხმარა, რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილი ტერმინები „მნიშვნელობიანი“ (*значимый*) და დამხმარე (*служебный*)<sup>2</sup>, რითაც საქმის ვითარება სრულიად არ შეცვლილა.

<sup>1</sup> იხ. А. М. Пешковскии, Русский синтаксис в научном освещении, М., 1914, I, გვ. 74. ხაზი ავტორისაა.

<sup>2</sup> იხ. А. М. Пешковскии, Русский синтаксис в научном освещении, М., 1938, VI, გვ. 66.

ენის ცალკეულ სიტყვათა ფორტუნატვისეული დაყოფა.

სიტყვები	სიტყვები სიტყვათმცველი ფორმებით	სიტყვები სიტყვათმცველი ფორმების გარეშე	ნაწილობრივი სიტყვები ყ ა ნ ტ უ რ ი მ ე ც ა შ ი ა მ	შორისდებულებები
სმღ სმღ სმღ	სიტყვები სიტყვათმცველი ფორმებით	სიტყვები სიტყვათმცველი ფორმების გარეშე	1. შემავითებული სიტყვები: ა) კავშირები ბ) წინდებულებები გ) კოპულა (ანაჰაი)	შორისდებულებები
სმღ სმღ სმღ	გრამატიკული, ანუ ფორმალური კლასები სრული სიტყვებისა, ანუ გრამატიკული მეტყველების ნაწილები	გრამატიკული, ანუ ფორმალური კლასები სრული სიტყვებისა, ანუ გრამატიკული მეტყველების ნაწილები	2. გამომწვევითელი სიტყვები (რუს. რა, რა-ის, და სხვა) 3. უარყოფისა და კითხვის სიტყვები (რუს. არა, რა, რა-ის, რა-ის და სხვა)	შორისდებულებები
სმღ სმღ სმღ	ხ მ ნ ბ ი	1. გრამატიკული ზმნ. ზედები 2. არაგრამატიკული ზმნებები 3. ინფინიტივი	4. სიტყვები, რომლებიც გადმოგვცემენ მოლაპარაკის დამოკიდებულებას წინადადებასთან ა) გადმოგვცემენ მოლაპარაკის შეხედულებებს (რუს. მოლოდინი, რა-ის...) ბ) გადმოგვცემენ სხვათა სიტყვებს (რუს. რა-ის და სხვა)	შორისდებულებები
სმღ სმღ სმღ	1. არსებითი სახელები 2. რაოდენობითი რიცხვითი სახელები 3. პირთა (I და II პირის ნაცვალსახელები 4. დანარჩენი ნაცვ-ლები	1. არსებითი სახელები 2. რაოდენობითი რიცხვითი სახელები 3. პირთა (I და II პირის ნაცვალსახელები 4. დანარჩენი ნაცვ-ლები	5. ნაწილობრივ გრამატიკული სიტყვები (რუს. რა-ის ტიპისანი (რუს. რა-ის რა-ის) და სხვა 1. წინსართები (ინფინიტივი)	შორისდებულებები
სმღ სმღ სმღ	1. ზესართავები 2. მიმღობა 3. რიცხობითი რიცხვითი სახელები	1. ზესართავები 2. მიმღობა 3. რიცხობითი რიცხვითი სახელები	5. ნაწილობრივ გრამატიკული სიტყვები (რუს. რა-ის ტიპისანი (რუს. რა-ის რა-ის) და სხვა 1. წინსართები (ინფინიტივი)	შორისდებულებები

მაშასადამე, სრულ სიტყვებს აქვთ სრული მნიშვნელობა, ნაწილობრივ სიტყვებს—ნაწილობრივი. მნიშვნელობის კრიტერიუმის ან სინტაქსური ფაქტორის წინ წამოწევით უნდა აიხსნას შორისდებულთა ცალკე ჯგუფად გამოყოფა ამ ორი ჯგუფის გვერდით.

ერთი სიტყვით, ენის ცალკეულ სიტყვათა ძირითადი (სრულ, ნაწილობრივ და შორისდებულებად) დაყოფა ადგილს არ ტოვებს ფორმისათვის.

განაგრძო რა აღნიშნული სამი ჯგუფის უფრო მცირე ჯგუფად დაყოფა, ფორტუნატოვა სრული სიტყვები დაყო ორ ჯგუფად. სიტყვათმცვლელი ფორმებზე მკონედ და ასეთი ფორმების აღნიშვნად.

ამ დაყოფით ფორტუნატოვა მიუთითა, რომ ენის სიტყვათა გარკვეულ ჯგუფს აქვს უნარი მოლაპარაკის ცნობიერებაში დაიყოს ნაწილებად. სრული სიტყვა იყოფა ძირითადად ორ ნაწილად: მატერიალურ, ანუ რეალურ კუთვნილებად და ფორმალურ კუთვნილებად. მატერიალური ნაწილი ემთხვევა ფუძეს, ფორმალური ნაწილი უმეტესად წარმოდგენილია აფიქსით, თუნცა შეიძლება არაფრით არ იყოს მატერიალურად წარმოდგენილი და საქმე გვექონდეს ე. წ. უარყოფით ფორმასთან (ან ნულ ფორმასთან, როგორც ხშირად უწოდებენ მას). მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. ფორმალურ კუთვნილებაში ფ. ფორტუნატოვა გაარჩია სიტყვათმცვლელი ფორმა და სიტყვათმწარმოებელი ფორმა. თუ ამ ფორმების შესახებ ადრე ნათქვამს მოვიგონებთ, დავრწმუნდებით, რომ ასეთი განსხვავების აღიარება ასახავს მორფოლოგიისა და სინტაქსის მჭიდრო კავშირს. სიტყვათმცვლელი ფორმები გამოხატავენ სხვაობას აზრის იმ საგანთა დამოკიდებულებებს შორის, რომლებიც მოცემული სიტყვებით გადმოიცემა წინადადებაში. ამრიგად, სიტყვათმცვლელი ფორმები აღნიშნავენ სიტყვათა დამოკიდებულებებს, ე. ი. ამ ფორმების დახმარებით იქმნება ენის სინტაქსური ინვენტარი. სიტყვათმწარმოებელი ფორმები გამოხატავენ სხვაობას თვით აზრის საგანთა შორის, ე. ი. სხვაობას სიტყვათა მნიშვნელობებში.

სიტყვის ფორმათა ასეთი სხვაობა ჰქონდა ფორტუნატოვს მიხედვლობაში, როცა სრული სიტყვებიდან გამოყოფდა სიტყვათმცვლელი ფორმების მქონე და ასეთი ფორმების არამქონე ჯგუფებს. სრულ სიტყვებში ამ ორი ჯგუფის გამოყოფა ფორმალურ ნიშანზეა დამყარებული. ფორმალურ ნიშანზეა აგრეთვე დაყრდნობილი სიტყვათმცვლელი ფორმების მქონე სიტყვათა ჯგუფის დაყოფა ბრუნვიან, ულლებიან და სქესის მიხედვით ცვალებად სიტყვებად. მაგრამ კლასიფიკაციის შემდგომი კონკრეტიზაცია კვლავ მნიშვნელობის ფაქტორს ეყრდნობა. უკანასკნელი დაყოფა მიუთითებს იმაზე, რომ ულლებადი სიტყვები მოიცავენ ზმნებს, ბრუნვადი სიტყვები—არსებით სახელებს, რიცხვით სახელებს, ნაცვალ-სახელებს და სხვა; სქესის მიხედვით ცვალებადი სიტყვები—ზედსართავეებს, მიმღობებებს და სხვა. მაშასადამე, კლასიფიკაციაში სრული სიტყვების ცალკე ჯგუფებად გამოყოფა მოხდა მნიშვნელობის ფაქტორზე დაყრდნობით. საბოლოო დაყოფასაც მნიშვნელობის ფაქტორი უდევს საფუძვლად. მნიშვნელობის ფაქტორი უდევს საფუძვლად სიტყვათმცვლელი ფორმის მქონე და ასეთი ფორმის არამქონე ჯგუფის ერთად ნოთავსებასაც. ამ ჯგუფში შენაწილი სიტყვებიც (ზმნიზედები, ინფინიტოვები) ფორტუნატოვმა მნიშვნელობის მიხედვით დაახასიათა.

ნაწილობრივ სიტყვათა ძირითადი ჯგუფის შემდგომი განაწილება ეყრდნობა ორ ფაქტორს; სიტყვათა რამდენიმე ჯგუფი აქ ერთიანდება სემანტიკური ნიშნის მიხედვით (წინსართები, უარყოფისა და კითხვის სიტყვები, „вероятно“-ს და „ако“-ის ტიპის სიტყვები და სხვა), რამდენიმე—სინტაქსური ნიშნის მიხედვით (შემაერთებელი სიტყვები: თანდებულეზი, კობულა (связка), „ты“-ს ტიპის სიტყვები და სხვა).

ამრიგად, ცალკეულ სიტყვათა ფორტუნატოვისებური კლასიფიკაცია, განსხვავების მიუხედავად, განიცდის მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაციის დიდ გავლენას. შეიძლება ითქვას, რომ იგი ამ კლასიფიკაციის ერთი სახესხვაობაა.

ფორტუნატოვის კლასიფიკაციას თავისებურ ხასიათს, უპირველესად ყოვლისა, აძლევს ის, რომ მასში ასახვა პოვა

სიტყვათა დაყოფამ სიტყვათმცვლეულ და სიტყვათმწარმოებელ ფორმების მიხედვით.

სრული სიტყვების შიგნით ბრუნვიანი, ულღებიანი და სქესიანი სიტყვების გამოყოფა, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი პირველი ცდაა ენათმეცნიერების ისტორიაში. უნდა აღინიშნოს რომ ფორტუნატოვის თეორიის კრიტიკოსებს<sup>1</sup> სწორედ ეს ცდა მიაჩნიათ მის უარყოფით მხარედ.

მეტყველების ნაწილების ფორტუნატოვისეულ კლასიფიკაციას თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ფორტუნატოვი ხაზგასმით აღნიშნავს მეტყველების ნაწილთა ტრადიციული დაყოფის ალოგიკურ ხასიათს, ამ მხრივ ცოდავს თვითონაც. საქმე ისაა, რომ ენის ცალკეული სიტყვების სრულ სიტყვებად და ნაწილობრივ სიტყვებად დაყოფა ერთი საკლასიფიკაციო ნიშნის ქვეშ ვერ ხერხდება.

ფორტუნატოვთან სიტყვები გამოიყოფა იმის ნიშნით, რომ ისინი სრულ მნიშვნელობას გადმოგვცემენ. ნაწილობრივი სიტყვები კი იმის მიხედვით, რომ ისინი მნიშვნელობას გადმოგვცემენ ნაწილობრივ. ასეთი დიფერენცირება ლოგიკურად ვერ ჩაითვლება. შეუძლებელია რაიმე მნიშვნელობის ნაწილის გადმოცემა ცალკე, დამოუკიდებლად. ნაწილობრივი სიტყვებიც ასევე სრულად გადმოგვცემენ იმ მნიშვნელობებს, რომელთა გადმოცემაც მათ აკისრიათ. განსხვავება იმაშია, რომ ეს მნიშვნელობები ერთი რიგისანი არ არიან. სრული სიტყვებით გადმოცემული მნიშვნელობა უფრო ხელშესა-

<sup>1</sup> В. В. Виноградов, Современный русский язык, 1, М., 1938.

С. Бернштейн, Основные понятия грамматики в освещении А. М. Пешковского (Русский синтаксис в научном освещении, 1938).

Л. Щерба, О частях речи в русском языке, сб. Русская речь, Л., 1928.

И. Стрелков, Части речи, журн. Русский язык и литература в средней школе, 1935, № 4.

И. Лысков, О частях речи, М., 1928.

ხებია. იგი გულისხმობს საგნობრიობას, თვისებას, მოქმედებას, მდგომარეობას; ეს მნიშვნელობები, შეიძლება ითქვას, უფრო კონკრეტული მნიშვნელობებია. სრულიად სხვა ბუნებისაა ის მნიშვნელობები, რომლებსაც გადმოგვცემენ ე. წ. ნაწილობრივი სიტყვები. ეს მნიშვნელობები გადმოგვცემენ არა საგანსა და მოვლენებს, არამედ მათ შორის დამოკიდებულებებს, მიმართებებს, ამიტომ ეს მნიშვნელობები აბსტრაქტული ბუნებისაა არიან. ამ სიტყვათა თავისებურმა „მნიშვნელობებმა“, შეიძლება ითქვას, განაპირობა ფორტუნატოვის კლასიფიკაციის ალოგიკური ხასიათი.

როგორც ვნახეთ, ფორტუნატოვისათვის სიტყვის განსაზღვრისას მთავარია ის, რომ სიტყვა უნდა გადმოგვცემდეს მნიშვნელობას სხვა სიტყვებისაგან დამოუკიდებლად. როცა ფორტუნატოვი ნაწილობრივ სიტყვებს შეეხო, ის ამბობს: სიტყვის ჩვენი განსაზღვრა თანაბრად მიუდგება როგორც ნაწილობრივს, ისე სრულ სიტყვებს, თუმცა მათ შორის მაინც არის განსხვავება: კერძოდ, ნაწილობრივი სიტყვების მნიშვნელობა არ არსებობს სრული სიტყვების მნიშვნელობისაგან დამოუკიდებლად; ისინი გამოხატავენ რასმე ან სრული სიტყვების მნიშვნელობაში, ან წინადადების მნიშვნელობაშიო. აქ უდავოდ წინააღმდეგობებთან გვაქვს საქმე. თუ ნაწილობრივი სიტყვები დამოუკიდებლად არ ატარებენ მნიშვნელობებს, ე. ი. ისინი სიტყვები არ არიან. რაღა უფლებით ვუწოდებთ მათ სიტყვებს და კლასიფიკაციაში ცალკე გამოვყოფთ? იოლო, თუ ამ სიტყვებს დამოუკიდებელი მნიშვნელობები აქვთ, რატომ ვუწოდებთ მათ ნაწილობრივ სიტყვებს?

ფორტუნატოვმა თავისი ლექციების კურსი მეტად თავისებურად ააგო. იგი ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ღირსებათა და ამ ენათმეცნიერების მონაპოვრის—გენეალოგიური კლასიფიკაციის—განხილვის შემდეგ იძლევა მეტყველების ბეერთა (ეიწრო გაგებით) განხილვას, შემდეგ

კი განიხილავს სიტყვას. როგორც ცნობილია, შესიტყვება, წინადადება ფორტუნატოვს თავის ლექციებში არ განუხილავს. ენათმეცნიერების დარგებად დაყოფა მან თავისი „ლექციების“ ბოლოში მოგვეცა და ღიად დატოვა საკითხი იმის შესახებ, თუ მისი ლექციების რომელი ნაწილი ენათმეცნიერების რომელ დარგს ეხება. ფორტუნატოვი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რომელ დარგს განეკუთვნება მისი კლასიფიკაცია—ლექსიკოლოგიას, სემასიოლოგიას თუ გრამატიკას. მართალია, ფორტუნატოვის მიხედვით, სიტყვათა ფორმებს გრამატიკა შეისწავლის; მასთან სრული სიტყვების კლასების ეწოდებათ გრამატიკული კლასები, მაგრამ არ ჩანს, სად განიხილავს იგი ნაწილობრივს სიტყვებს: გრამატიკაში, ლექსიკოლოგიაში თუ სემასიოლოგიაში.

ჩვენი აზრით, ფორტუნატოვისეული სატყვათა კლასიფიკაცია არაა ენათმეცნიერების რომელიმე კერძო დარგის ობიექტი. იგი ითვალისწინებს ყველა დარგს (გრამატიკას, ლექსიკოლოგიას და სემასიოლოგიას), რომელიც სიტყვას განიხილავს. ამ მოსაზრებას, ვფიქრობთ, მხარს უჭერს ზემოთ განხილული ფორტუნატოვის სიტყვათა კლასიფიკაცია: ეს კლასიფიკაცია, მართალია, ზოგს ნაკლებად, ზოგს მეტად, მაგრამ, მაინც განიხილავს სიტყვის ყოველს მხარეს. თუ აღნიშნული გარემოება, ერთი მხრით, შეიძლება გაუგებრობისა და დავის საგანი გახდეს, მეორე მხრით, სწორედ ეს გარემოებაა, რომ ფორტუნატოვის ცალკეულ სიტყვათა კლასიფიკაციას თავისებურ სახეს აძლევს და ასხეავებს ყველა იმ კლასიფიკაციებისაგან, რომლებიც მანამდე არსებობდნენ.

მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია, საერთოდ, ერთი საკლასიფიკაციო ნიშნის ქვეშ ვერ თავსდება, მაგრამ ძირითადად იგი მნიშვნელობის ფაქტორს ეყრდნობა. მიუხედავად ამისა, რატომღაც ეს კლასიფიკაცია მორფოლოგიაში შეაქვთ. სიტყვათა ისეთ კლასიფიკაციას, რომელიც ყველაზე ნაკლებ ეყრდნობა ან სრულიად არ ეყრდნობა მორფოლოგიურ ნიშანს, მიაკუთვნებენ მორფოლოგიას და არა იმ დარგს, რომელი დარგის ნიშანიც დომინანტია მისთვის. ფორტუნატოვმა ეს შეუსაბამობა იმით გამოასწორა, რომ მისი კლასიფიკაცია

ერთ რომელიმე ნიშანს არ ეყრდნობა, სიტყვების ფორტუნატოვისეული კლასიფიკაცია არც ერთი დარგის კუთვნილება არაა. ფორტუნატოვის მოძღვრება ამ მხრივ თანმიმდევრულია, თუცა მაინც მცდარი, რადგანაც არ ხერხდება კლასიფიკაციაში სიტყვის ერთდროულად რამდენიმე ნიშნის მიხედვით დახასიათება. ვინაიდან ეს ნიშნები ერთიმეორის პარალელურად სიტყვაში არ არსებობენ<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ფორტუნატოვის მოძღვრებას აქვს როგორც ღირსებები, ისე ნაკლოვანებებიც, მაგრამ ამ მოძღვრების უაზროფიითი მხარეა არა „ნილილისტური ფორმალისმი“, არამედ ის, რომ სწორედ სიტყვის ფორმალურმა მხარემ ვერ პოვა მასში საკმაო გამოხატულება. იგი მეტისმეტად არასრულად იქნა წარმოდგენილი.

მეორე მხრით, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, თითქოს ფორტუნატოვი ფორმალურ მხარესთან ერთად ამომწურავად იძლეოდეს სიტყვის მნიშვნელობითი მხარის განხილვას. ეს მოძღვრება ამ მიმრივაც მოიკოკლებს. იგი უძლურია, როცა დგება ორი სიტყვის ურთიერთისაგან განსხვავების საკითხი. მაგალითად, ფორტუნატოვის თეორიის მიხედვით, სიტყვები: ДЕЛНО, ДЛА-Т.-а,-о, ДЛАМ СЫ ერთი და იგივე სიტყვაა, მაგრამ СДЕЛАТЬ და მისგან ნაწარმოები ფორმები სხვა სიტყვებია, რადგან დრო, კილო და პირი სიტყვათმცველ ფორმებში შედის, ხოლო ასპექტი (ВИД)—სიტყვათწარმოებაში.

ფორტუნატოვთან არათერია ნათქვამი, თუ სად უნდა მოვათავსოთ სიტყვები: КЕНГУРУ, КАМОН, ДЕНО, СИРО... და სხვები, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით არსებითი სახელები არიან, მაგრამ ფორმას არ იცვლიან. როგორი შეზღუდულიც არ უნდა იყოს მათი რაოდენობა, ასეთი სიტყვები რუსულ ენაში არის და საჭიროა სიტყვათა კლასიფიკაციაში მათ მიეჩინოს გარკვეული ადგილი.

ფორტუნატოვის თეორიის შეფასებას ნათქვამით არ ვამთავრებთ. მისი მიმდევრების თეორიათა განიილვისას ჩვენ

<sup>1</sup> იხ. არნ. ჩიკობავა. ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 262—265.

შესაძლებლობა გვექნება ზოგი რამ დამატებით ვთქვათ თვით ფორტუნატოვის ნააზრევის ნაკლსა თუ ღირსებაზე.

\* \* \*

აკად. ფ. ფორტუნატოვის სახელთანაა დაკავშირებული მოსკოვის საენათმეცნიერო სკოლა, რომელსაც ეყუთენის რამდენიმე სახელმძღვანელო ენათმეცნიერი, ამ სკოლას, რუსეთის გარდა, მიმდევრები ჰყავდა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში<sup>1</sup>.

რუსი ენათმეცნიერებიდან მოსკოვის, ანუ ფორტუნატოვის საენათმეცნიერო სკოლის ბირთვის შეადგენენ პროფესორები: ვ. პორეზინსკი, დ. უშაკოვი, მ. პეტერსონი, ნ. დურნოვო, ს. აბაკუმოვი და სხვები. ამ სკოლის წარმომადგენლად მიიჩნევენ აგრეთვე ა. პეშკოვსკის, ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორ ე. ბუდეს, აკადემიკოს ნ. დერჟავინს და მრავალ სხვას.

ექვს გარეშეა, რომ საერთოსთან ერთად ამ სკოლის წარმომადგენელ მეცნიერებს ჰქონდათ განსხვავებული შეხედულებებიც.

ჩვენ შევეცდებით ზოგად ხაზებში მიმოვიხილოთ ფორტუნატოვის სკოლის წარმომადგენელთა ნააზრევიდან ძირითადი დებულებები და ვაჩვენოთ ის თავისებურებები, რომლითაც ისინი შორდებიან ან უახლოვდებიან თავიანთი მასწავლებლის თეორიის მთავარ ხაზს.

### 5. ვ. პ. პეტერსონის

მოსკოვის სკოლის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი პროფ. ვ. პორეზინსკი ამ სკოლის დამაარსებლის თანამედროვე და მიმდევარი იყო. მისი „ენათმეცნიერების შესავალი“ ფორტუნატოვის ლექციების მიხედვითაა აგებული, თუმცა ძირითადად ეყრდნობა რუსული ენიდან მოშველიებულ მაგალითებს.

მიყვება რა მასწავლებლის მიერ დასახულ გზას, პორეზინსკი ბრძალ კი არ იმეორებს ფორტუნატოვის ყოველ

<sup>1</sup> იხ. М. Н. Петерсон, Фортунатов и московская лингвистическая школа, Ученые записки Моск. ун-та, вып. 107, 1946.

დებულებას, არამედ შასში შეაქვს ცვლილებები. მაგრამ ეს ცვლილებები მეტწილად მხოლოდ ენობრივ ცნებათა განსაზღვრას ეხება და შემდგომ ვერ პოულობს გავრცობა-დასაბუთებას. ამიტომაც, რომ, მიუხედავად ზოგი მეტად ორიგინალური და საინტერესო მოსაზრებებისა, პორეზინსკიმ ვერ შექმნა დამოუკიდებელი საენათმეცნიერო თეორია.

პორეზინსკი სიტყვას ასე განსაზღვრავს: „ცალკეულ სიტყვებს. ჩვენ ვუწოდებთ მეტყველების ცალკეულ ბგერას ან ბგერათკომპლექსს, რომლებიც, წარმოადგენენ რა სიტყვებს, მნიშვნელობა აქვთ ცალკე, სხვა ბგერებისა და ბგერათკომპლექსთაგან დაბოუკიდებლად. ამასთან ერთად ცალკეული სიტყვა, თუ იგი წარმოადგენს მეტყველების ბგერათკომპლექსს, არ შეიძლება დაიყოს სხვა სიტყვებად ისე, რომ არ დაკარგოს ან არ იცვალოს მნიშვნელობა მისი შემადგენელი კომპლექსის თუნდაც ერთმა ნაწილმა“<sup>1</sup>.

სიტყვის ასეთ განსაზღვრაში, სხვასთან ერთად, მნიშვნელოვანია ისიც, რომ, თუ იგი ბგერათკომპლექსია, მისი დაყოფა-დანაწილება არ შეიძლება წინანდელი მნიშვნელობის შენარჩუნებით. პორეზინსკის აზრით, სიტყვის ასეთი განსაზღვრიდან გამომდინარეობს აუცილებელი პირობა, რომელიც ყოველი სიტყვის განსაზღვრამ უნდა დააკმაყოფილოს: „ის უნდა უწყვედეს ანგარიშს სიტყვის ორივე მხარეს, შინაგანსაც და გარეგანსაც, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არასრულია“<sup>2</sup>.

პორეზინსკის ფორტუნატოვის მსგავსად ესმის სიტყვათმცვლელი და სიტყვათმწარმოებელი ფორმების რაობა და ურთიერთდამოკიდებულება. მასწავლებელს მიჰყვება იგი

---

<sup>1</sup> „Отдельным словом... мы называем или отдельный звук речи или их комплекс, имеющий значение отдельное от других звуков речи и их комплексов, являющихся словами, причем отдельное слово, если оно является комплексом звуков речи, не может быть разложено на другие слова без утраты или изменения значения хотя бы одной части данного комплекса“. В. К. Порезинский, Введение в языковедение, 1910, გვ. 110. შემდგომი ყველგან ამ გამოცემაზე მიუთითებთ.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 110.

სიტყვის ფუძედ და აფიქსად დაყოფასა და, აქედან გამომდინარე ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციის გაგებაშიც.

შედარებით განსხვავებული გზა აირჩია პორუეზინსკიმ სიტყვის ფორმის განსაზღვრაში. „ფორმას ჩვენ ვუწოდებთ, ამბობს იგი, ენის ნიშნის უნარს გამოყოს ჩვენს ცნობიერებაში ფუძე და ფორმალური კუთვნილება, აგრეთვე თვით ენის ნიშანს, რომელიც შეიცავს ფორმალურ კუთვნილებას და, მაშასადამე, რომელსაც აქვს გარკვეული ფორმა“<sup>1</sup>. ამ განსაზღვრის პირველი ნაწილი ჩვენთვის ცნობილია, ფორტუნატოვისეული განსაზღვრის განმეორებაა. მაგრამ მისი მეორე (ბაზგასმული) ნაწილი ფორტუნატოვთან არ გვხვდება. იგი პორუეზინსკის კუთვნილებაა და საკმაოდ ორიგინალურიც. ამ განსაზღვრის მიხედვით, ფორმა არის თვით სიტყვა (ენის ნიშანი). მართალია, პორუეზინსკი განმარტავს, რომ ფორმა არის არა ყველა სიტყვა, არამედ ისეთი, რომელიც შეიცავს ფორმალურ კუთვნილებას და რომელსაც, ამდენად, ფორმა აქვსო, მაგრამ ეს განსაზღვრის ძირითად აზრს სრულიადაც არ ცვლის. ავტორთან ეს დებულება შემდგომ გავრცობა-დასაბუთებას ვერ პოულობს და ამიტომ ძნელია რაიმე დასკვნის გამოტანა. თავისთავად დებულება: „ფორმა არის სიტყვა“ (ან, რაც იგივეა: „სიტყვა არის ფორმა“) საინტერესო და ყურადღების ღირსია<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> „Формой мы называем способность знака языка выделять в паннем сознании основу и формальную принадлежность, а также сам знак языка, заключающий в себе формальную принадлежность и имеющий следовательно, известную форму“. იქვე, გვ. 113.

<sup>2</sup> ასევე მხოლოდ განსაზღვრის თარგლებში დარჩა და შემდგომი გავრცობა-დასაბუთება ვერ იპოვა მასთან სხვა დებულებამაც. როცა პორუეზინსკიმ ფორმალური კუთვნილება განიხილა. მან წამოაყენა დებულება „ნიშნის ნიშნისა“. იგი წერს: „Знаки языка, являющиеся отдельными словами в тесном смысле этого термина, т. е. знаками предметов мысли, могут быть даны в языке в таком соотношении друг с другом, при котором известная принадлежность звуковой стороны этих знаков выделяется нами, как особый знак, существующий

სიტყვათა კლასიფიკაციას პორჟენინსკი იძლევა მეტად გაფანტულად და არათანამიმდევრულად. მიუხედავად ამისა. ჩვენ ვეცადეთ იგი სქემის სახით წარმოგვედგინა. (იხ. შემდეგ გვ.).

სქემის მიხედვით აშკარაა, რომ პორჟენინსკი, ბევრი საერთოს მიუხედავად, ფორტუნატოვისგან მაინც, განსხვავდება.

პორჟენინსკი ენის ნიშნებს ორ ჯგუფად ყოფს—სიტყვებად და შორისდებულებად. ეს დაყოფა უფრო თანამიმდევრული და გამართლებულია, ვიდრე ფორტუნატოვის სამწევრიანი კლასიფიკაცია. ორივე კლასიფიკაცია მნიშვნელობის ფაქტორს ეყრდნობა, სრულიად ბუნებრივია დაყოფა მოხდეს: 1) სიტყვებად, რომლებიც აზრს გადმოგვცემენ და 2) სიტყვებად (თუ შეიძლება მათ სიტყვები ეწოდოს). რომლებიც გადმოგვცემენ გრძნობებს.

შორისდებულებისა და სიტყვების (სრული სიტყვების) გვერდით ფორტუნატოვთან მოცემული იყო ნაწილობრივი სიტყვები. პორჟენინსკიმ ნაწილობრივი სიტყვები (მისი ტერმინოლოგიით – დამოკიდებული სიტყვები) საერთოდ სიტყვების ქვეჯგუფად გამოყო, რაც აგრეთვე სწორად გვეჩვენება.

კლასიფიკაციაში, რომელშიც მოცემულია: ერთი ჯგუფი—აზრების გადმომცემი სიტყვები და მეორე ჯგუფი—გრძნობის გადმომცემი სიტყვები. სიეა რომელიმე მესამე ჯგუფისათვის ადგილი არ რჩება, რადგან აზრებსა და გრძნობებს გარდა. ენით გადმოსაცემი სხვა, მესამე, სინამდვილე არ არსებობს.

საინტერესოა პორჟენინსკის ტერმინოლოგიური სიახლეც: მან ფორტუნატოვის ტერმინები: „სრული“ და „ნაწილობრივი“ შეცვალა ტერმინებით „დამოუკიდებელი“ და „დამოკიდებული“. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ სიახლით პორჟენინსკი

---

в другом знаке, значит, являющемся знаком знака языка". იხ. В. Порженинский, Введение в языковедение, М., 1910, გვ. 112. (ხაზი ჩვენია, ა. ფ.) დებულება: „ნიშნის ნიშანი“ მეტად საინტერესოა, თუ იგი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ტერმინოლოგიური სიახლე არაა.

ენის ნიშნები  
(ენიანი ნიშნები)

ახრის საგანთა ნიშნები,  
ანუ სიტყვები

გრძნობათა ნიშნები, ანუ  
სიტყვა-შორის-  
დებულები

დამოუკიდებელი ნიშნები, ანუ და-  
მოუკიდებელი სიტყვები

დამოკიდებელი ნიშნები

1. ბრუნეიანი სიტყვები.
2. სიტყვები, ბრუნეასა და სქესში შეთანხმების სქონეები.
3. უღლებიანი სიტყვები.

სიტყვები, რომელთაც არა აქვთ სიტყვის მკვლელი ფორმები. მაგრამ შეიძლება ჰქონოდათ სიტყვათმარობის ფორმები.

დამოკიდებელი ნიშნები

წინსართები

1. შემაერთებელი სიტყვები:

- ა) კოქელა
- ბ) წინდებულები
- გ) კავშირები

2. კითხვისა და უარყოფის სიტყვები

3. გამაძლიერებელი სიტყვები.

4. სიტყ. რომლებიც გადმოგვცემენ სოლაპარაკ. დამოკიდ. საგანთან.

დამოკიდებელი ნიშნები, რომლებიც დამოუკიდებელ სიტყუასთან ერთად ალიან და ქმნიან არამართივ სიტყვებს.

ფიქრობს ფორტუნატოვის თეორიის ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობის დაძლევის, მაგრამ იგი ამას ვერ ახერხებს.

როგორც ვნახეთ, ფორტუნატოვი წინააღმდეგობაში ჩავარდა. ე. წ. ნაწილობრივი სიტყვების განსაზღვრისას, მან საერთოდ სიტყვის განსაზღვრისას აუცილებელ პირობად მიიჩნია აზრის დამოუკიდებლად გამოსახვა. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილობრივი სიტყვები აზრს დამოუკიდებლად არ გადმოგვცემენ. ფორტუნატოვმა ისინი მაინც სიტყვებად გამოაცხადა, რამაც წინააღმდეგობა განაპირობა. ასე მოიქცა პორეზინსკიც. იგი წერს: „აზრის საგანთა დამოუკიდებელ ნიშნებს, რომლებიც წარმოადგენენ ცალკეულ სიტყვებს, ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ დამოუკიდებელი სიტყვები, ხოლო აზრის საგანთა დამოკიდებულ ნიშნებს, რამდენადაც ისინი ცალკეული სიტყვებია, ვუწოდებთ დამოკიდებულ სიტყვებს. ესენი აზრის საგანთა სწორედ ის დამოკიდებული ნიშნებია; რომლებიც აზროვნების პროცესში აღნიშნავენ რასმე დამოუკიდებელ სიტყვათა შეხამებაში“<sup>1</sup>.

ამრიგად, დამოუკიდებელი სიტყვა აღნიშნავს აზრის დამოუკიდებელ საგანს. იგი, რა თქმა უნდა, ცალკე სიტყვაა. დამოკიდებული სიტყვა არ აღნიშნავს დამოუკიდებელ აზრის საგანს, მაგრამ ის მაინც ითვლება ცალკეულ სიტყვად; სიტყვის ზემოთ მოტანილი განსაზღვრა მასზეც ვრცელდება: სიტყვის განსაზღვრა კი გულისხმობს აზრის საგნის დამოუკიდებლად გადმოცემის აუცილებლობას.

პორეზინსკი შეეცადა გამოესწორებინა ფორტუნატოვის სხვა ჩავარდნაც: ფორტუნატოვმა წინსართები (приставки) შეიტანა ნაწილობრივ სიტყვათა ჯგუფში. ეს იმას ნიშნავს, რომ რომელიმე „აჰ“, „აჰჰ“ (სიტყვებში: за-думать, при-ходить) გამოცხადებულ იქნა ცალკეულ სიტყვად და მო-

---

<sup>1</sup> „Независительные знаки предметов мысли, являющиеся отдельными словами, мы можем называть самостоятельными словом, а несамостоятельные знаки предметов мысли, поскольку они отдельные слова, мы будем называть несамостоятельными словами; это именно те несамостоятельные знаки предметов мысли, которые обозначают нечто и значении сочетания самостоятельных слов, данного в процессе мысли“, იქვე, გვ. 112.

თავსდა „вероятно“-ს, „სუფ“-ს და სხვა მისთანათა გვერდით. პორტუგისკიმ ამ ბგერათკომპლექსებს („ვა“, „აჟი“ და სხვა), უწოდა არა დამოკიდებული სიტყვები (ფორტუნატოვის ტერმინით „ნაწილობრივი“), არამედ, უბრალოდ, წინსართები. იგი წერს: „აზრის საგანთა დამოკიდებული ნიშნების სხვა კლასს ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ წინსართები (приставень); ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ისინი არ არსებობენ ცალკეულ სიტყვათაგან დამოუკიდებლად, რომლებთანაც ისინი შეირწყმიან ერთ მთლიანში, აწარმოებენ რა არამარტივ სიტყვას“<sup>1</sup>.

მაშასადამე, დამოკიდებული ნიშნები გვაძლევენ, ერთი მხრით, დამოკიდებულ სიტყვებს, მეორე მხრით, სხვა კლასს — წინსართებს. ამრიგად, წინსართების მიმართ არ იხმარება დამოკიდებული სიტყვები. ეს თითქოს წინ წადგმული ნაბიჯია, მაგრამ, სინამდვილეში, ეს ნაბიჯი მოჩვენებითია, რადგან, პორტუგისკის აზრით, წინსართებიც აღნიშნავენ აზრის დამოკიდებულ ნიშნებს.

დამოკიდებულ სიტყვათა სხვა ჯგუფები მას. როგორც სქემიდანაც ჩანს, ფორტუნატოვისებურად აქვს გამოყოფილი.

მეტ თანამიმდევრობას იჩენს პორტუგისკი დამოუკიდებელ სიტყვათა დაყოფაში. საერთო ჯგუფიდან იგი გამოყოფს ორ ქვეჯგუფს. პირველ ჯგუფში ერთიანდებიან სიტყვები სიტყვათმცვლელი ფორმებით, ხოლო მეორე ჯგუფს ქმნიან ასეთი ფორმების არმქონე სიტყვები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პორტუგისკი უფორმო დამოკიდებულ სიტყვებს განიხილავს თავისი წიგნის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია სიტყვის მნიშვნელობაზე საერთოდ, ე. ი. სემასიოლოგიაში.

---

<sup>1</sup> „Другой класс самостоятельных знаков предметов мысли мы можем называть приставками, имея в виду то обстоятельство, что они не существуют отдельно от самостоятельных слов, с которыми они сочетаются в одно целое, образуя таким образом простое слово“, იქვე, გვ. 112.

გრამატიკაში უნდა განვიხილოთ ის სიტყვები, რომელთაც აქვთ ფორმა, რადგან გრამატიკა არის ენის შესახებ მეცნიერების ის დარგი, რომელიც შეისწავლის ფორმასო, წერს ავტორი<sup>1</sup>.

## 6. დ. უ შ ა კ ო ვ ი

ფორტუნატოვის უახლოესი მოწათე დ. უშაკოვი თავისი წიგნის წინასიტყვაობაში წერდა: „ჩემი წიგნი წაჩნაოდგენს ენის შესახებ მეცნიერების ძირითადი საფუძვლების ელემენტარულად გადმოცემის ცდას... იგი ლითოგრაფიულად იბეჭდებოდა 1902 წლიდან... მისი შინაარსი ძირითადად დაფუძნებულია ჩემი აწ განსვენებული მასწავლებლის აკადემიკოს ფ. ფორტუნატოვის ლექციებზე“<sup>2</sup>.

უშაკოვის ამ წიგნს, განსაკუთრებით აგებულების მხრივ, პროფ. პორეზინსკის ზემოგანხილული წიგნის გავლენაც ეტყობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც ინარჩუნებს დამოუკიდებელ სახეს. უნდა აღინიშნოს, რომ საილუსტრაციო მასალა მასში, მკირე გამონაკლისს გარდა, მხოლოდ რუსული ენიდანაა: ამდენად, ფორტუნატოვის მოძღვრება, რომელიც ინდოევროპული საერთო ენის მასალაზე აღმოცენდა, უშაკოვის მიერ საბოლოოდ იქნა გადატანილი და გამოყენებული რუსული ენის მიმართ.

სიტყვის განსაზღვრისას უშაკოვი, მართალია, ახლოსაა ფორტუნატოვთან, მაგრამ მას მთლიანად არ მისდევს. უშაკოვისთვის სიტყვა არის „ბგერა ან რამდენიმე ბგერა, რომელსაც აქვს მნიშვნელობა“<sup>3</sup>.

აქ ლაპარაკი არაა იმაზე, თუ როგორია მათი მნიშვნელობა

<sup>1</sup> „Присутствие в языке форм отдельных слов образует формальные классы слов, которые иначе мы можем называть грамматическими классами слов, так как отдел науки о языке, который изучает формы, называется грамматикой в тесном смысле этого термина“; В. Порезинский, Введение в языковедение, М., 1910, გვ. 123.

<sup>2</sup> Д. И. Ушаков, Краткое введение в науку о языке, изд. шестое, М.—Л., 1923, გვ. 8.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 7.

სხვა სიტყვებისაგან დამოუკიდებლად თუ მათთან დამოკიდებულებაში. საკითხის ამგვარი დასმით თითქოს მოხსნილია ის წინააღმდეგობა, რაც ფორტუნატოვთან და პორტეზინსკისთან გვექონდა.

სიტყვის გარეგნულ მხარეში უშაკოვი, ფორტუნატოვის მსგავსად, ხედავს ფორმალურ და ძირითად კუთვნილებას. ფორმის განსაზღვრაში იგი კვალდაკვალ მიჰყვება ფორტუნატოვს: „ფორმა არის სიტყვის უნარი გამოყოს ძირითადი და ფორმალური კუთვნილება“<sup>1</sup>. სიტყვათმწარმოებელი და სიტყვათმცვლელი ფორმების განსხვავებისას უშაკოვი მიუთითებს ამ ტერმინთა პირობითობაზე: „ტერმინები“ „სიტყვათმწარმოება“ და „სიტყვათცვლა“ პირობითია. „სიტყვათმწარმოების“ ნაგეიერ ზოგი „ფუძისწარმოებას“ ხმარობს, რადგან ამ ფორმებით ნაწმდევილად ჩვეულებრივ იწარმოებიან არა სრული სიტყვები, არამედ მათი ფუძეები. ტერმინი „სიტყვათცვლა“ გვაძლევს უფლებას განვიხილოთ, მაგ.: рукa, рукy, рукoй, როგორც სახეცვლა ერთი და იმავე სიტყვისა, მაშინ როცა სინამდვილეში ისინი ცალკეული სიტყვებია“<sup>2</sup>.

მოტანილ ციტატასთან დაკავშირებით გვინდა ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას. აკად. ვ. ვინოგრადოვი ამ შენიშენიდან აკეთებს დასკვნას, რომ: უშაკოვის აზრით, სიტყვათმცვლელი ფორმები ისევე იძლევა სიტყვათა შორის სხვაობას როგორც სიტყვათმწარმოებელი ფორმები; თითქოსდა

---

<sup>1</sup> „...Таким образом „форму“ слова называется способностью слова выделять основу и формальную принадлежность“. იქვე, გვ. 68.

<sup>2</sup> „Термины „словообразование“ и „словоизменение“ очень условны. Вместо „словообразование“ некоторые употребляют термин основообразование, потому что эти формы обыкновенно образуются действительно не целые слова, а их основы. Термин „словоизменение“ дает повод рассмотреть, напр., рукa, рукy, рукoй, как видоизменения одного слова, тогда как в действительности это отдельные слова“. იქვე, გვ. 70.

რუკა, რუკა და რუკი უშაკოვს მნიშვნელობით განსხვავებულ სიტყვებად წარმოედგინოს<sup>1</sup>.

ჩვენი აზრით, ასეთი შენიშვნა უშაკოვს არ დაუმსახურებია.

უშაკოვი სრული სიცხადით აღნიშნავს იმ განსხვავებას, რაც სიტყვათმწარმოებელ და სიტყვათმცვლელ ფორმებს შორის არსებობს<sup>2</sup>. მას მიაჩნია, რომ სიტყვათმცვლელი ფორმები ვერ იძლევიან აზრის საგანთა შორის სხვაობას, ეს ფორმები სიტყვებს ასხვავებენ ურთიერთდამოკიდებულებაში. ნაშინ როცა სიტყვათმწარმოებელი ფორმები იძლევიან თვით აზრის საგნებს შორის სხვაობებს. უშაკოვი, მართალია, ამბობს: რუკა, რუკა, რუკი ცალკეული სიტყვებიაო, მაგრამ, უფრო საფიქრებელია, რომ აქ „ცალკეულ სიტყვებში“ იგულისხმება მათი გარეგნული დამოუკიდებლობა. ესეც რომ არ იყოს, რუკა, რუკა და რუკი არ არის სრულიად ერთნაირი სიტყვები; მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვერ იძლევიან ორ ურთიერთშორის განსხვავებულ მნიშვნელობას, მათ მაინც არ შეუძლია ურთიერთშეცვლა; ჩვენს მოსაზრებას ისიც უჭერს მხარს, რომ 34-ე გვერდზე უშაკოვი წერს: „ტერმინით“ -ცალკეული სიტყვა“ ჩვენ ვასხვავებთ სიტყვას 1) სიტყვის ნაწილისაგან და 2) შესიტყვებისაგან“. მართლაც, რუკა, რუკა... ამის მიხედვით, რა თქმა უნდა, ცალკეული სიტყვებია, განსხვავებით შესიტყვებისა და სიტყვათნაწილებისაგან.

სიტყვათა კლასიფიკაციას უშაკოვთან საკმაო ყურადღება ეთმობა.

როგორც ვნახეთ, ფორტუნატოვთან ენის ყველა სიტყვა სამ დიდ ჯგუფს იძლეოდა: 1) სრულს, 2) ნაწილობრივსა და 3) შორისდებულებს. ფორმალური ჯგუფები მხოლოდ სრული სიტყვების შიგნით გამოიყოფოდა, ე. ი. ფორმალური კლასიფიკაცია იყო სიტყვათა უფრო ზოგადი კლასიფიკაციის შემადგენელი ნაწილი.

<sup>1</sup> В. В. Виноградов, Современный русский язык, I, М. 1938, გვ. 60.

<sup>2</sup> Д. Н. Ушаков, Краткое введение..., გვ. 69.

უშაკოვი სხვანაირად მოიქცა. მან წარმოგვიდგინა არა ერთი, არამედ სამი სხვადასხვა კლასიფიკაცია, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსად არაფერი თქვა ამ კლასიფიკაციათა ურთიერთმიმართებაზე.

პირველად უშაკოვი იძლევა სიტყვათა სახეებად დაყოფას (ВИДЫ ОТДЕЛЬНЫХ СЛОВ). ალკეული სიტყვები, წერს იგი, შეიძლება იყვნენ: <sup>1</sup> სრულნი ანუ დამოუკიდებელნი. ისინი გადმოგვცემენ ან (იშვიათად) მთელ წინადადებას, როგორც ИЛИ, МОЖЕТ, ან (ჩვეულებრივ) წინადადებათა ნაწილებს<sup>2</sup>. ნაწილობრივი ანუ დამოკიდებულნი: მათ აქვთ მნიშვნელობა მხოლოდ სრულ სიტყვებთან და იქნებოდნენ შეუძლებელნი 'ენაში სრული სიტყვებისა და წინადადებების გარეშე (...и были бы невозможны без существования в языке полных слов и предложений): მათ განეკუთვნება წინდებულები, კავშირები. კოპულა (აღნიშნავს ქვემდებარისა და შემასვენლის კავშირს). ნაწევარი, გამაძლიერებელი სიტყვები (მაგ., რუს. ТО-Я-ТО-ში); უარყოფისა (НЕ), კითხვისა (ЛИ) და სხვათა აღმნიშვნელი სიტყვები. ნაწილობრივ სიტყვებს შეიძლება ჰქონდეთ ფორმა; მაგ., კოპულა იუღლება, ნაწევარი იბრუნვის, ზოგ ენაში იუღლება უარყოფა.

ალკეულ სიტყვებს უნდა მიეკუთვნოს ის შორისდებულებიც, რომლებიც გამოიყენებიან სიტყვათა როლში და შეიძლება იწოდებოდნენ სიტყვა-შორისდებულებად. თავიანთი დანიშნულებით ისინი თითქოს ნახევარ-სიტყვებია, რადგან გამოხატავენ გრძნობებს; მაგ.: ах. да же мой; слышишь; купиво; да; нет; ей богу. მნიშვნელობის მიხედვით ამათვე შეიძლება მივაკუთვნოთ „სიტყვა-მოწოდებები“ (→СЛОВА-ВОЗВЯНИЯ)<sup>1</sup>—боже мой, зачем ты оставил меня... და სხვა.

როგორც ცნობილია, ყოველი ენის ლექსიკური შედგენილობა იძლევა კლასიფიკაციის მრავალ შესაძლებლობას; მაგ., სიტყვები შეიძლება დაეყოს იმის მიხედვით, თუ რას გამოხატავენ: საგნებს თუ თვისებებს; მოქმედებას თუ მდგომარეობას.

<sup>1</sup> Д. П. Ушаков, Краткое введение..., გვ. 86.

რობას; სიტყვათა დაყოფა შეიძლება მასში შემავალ ბგერათა ან მარცვალთა რაოდენობის მიხედვითაც; ან იმის მიხედვით, თუ რა ბგერით ბოლოვდება: ხმოვნით თუ თანხმოვნით; თუ თანხმოვნით, კერძოდ, რომლით: მფლერით თუ ყრულით, ხშულით თუ ნაპრალოვნით და მრავალი სხვ.

კლასიფიკაციათა პოტენციური სიმრავლე როდი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მიემართავთ ყოველ მათგანს. ენათმეცნიერებაში, ჩვეულებრივ, იმ კლასიფიკაციას მიმართავენ, უფრო სწორად, სიტყვებს ყოფენ იმის მიხედვით, რაც ყველაზე უფრო შეესაბამება შემსწავლელი დარგის (ლექსიკოლოგია, მორფოლოგია, ფონეტიკა...) სპეციფიკას.

თუ ნათქვამის გათვალისწინებით მივუდგებით უშაკოვის ზემო მოტანილ კლასიფიკაციას, დაერწმუნდებით, რომ, იგი აქ უადგილოა, რადგან მოთავსებულია წიგნის იმ თავში, რომელსაც „ფორმა“ ჰქვია. მასში კი ფორმაზე არაფერია ნათქვამი.

გაუგებარია, თუ რა უდევს საფუძვლად ამ კლასიფიკაციას, რა ნიშანს ეყრდნობა იგი. მისი პირველი „სახე“ აერთიანებს „სრულ“ ანუ „დამოუკიდებელ“ სიტყვებს. ტერმინი „სრული“, როგორც ადრეც ვნახეთ, მნიშვნელობაზე მიუთითებს, ე. ი. ამ სახელწოდებაში გაერთიანებულ სიტყვებს სრული მნიშვნელობა აქვთ. ტერმინი „დამოუკიდებელი“, ალბათ, სიტყვის სინტაქსურ ფუნქციას აღნიშნავს, ე. ი. იგულისხმება ის სიტყვები, რომლებიც წინადადებაში დამოუკიდებლად იხმარებიან. ერთი სიტყვით, პირველი „სახე“ თითქოს ლექსიკურ-სინტაქსური ნიშნის მიხედვითაა გამოყოფილი, მაგრამ ავტორი აქვე განმარტავს: „ეს სიტყვები გამომოგვცემენ უფრო იშვიათად მთელ წინადადებას, ან ჩვეულებრივ — წინადადების ნაწილს“. მაშასადამე, მხედველობაში მიღებულია მხოლოდ სინტაქსური ნიშანი.

უფრო მეტი არეულობაა მეორე „სახეში“. ამ „სახეს“ კმნის „ნაწილობრივი“ ანუ „დამოკიდებული“ სიტყვები; უშაკოვის აზრით, „ამ სიტყვებს მნიშვნელობა მხოლოდ სრულ სიტყვებთან აქვთ; ისინი ენაში არ იქნებოდნენ სრული სიტყვებისა და წინადადებების არსებობის გარეშე“. საკითხავია:

იქნებოდა კი ენა საერთოდ სრული სიტყვებისა და წინადადებების გარეშე.

ჩამოთვლის რა ნაწილობრივ სიტყვებს, ავტორი დასძენს: „ნაწილობრივ სიტყვებს შეიძლება ჰქონდეთ ფორმა; მაგ., კოპულა იუღლება, ნაწევარი იბრუნვის“ და სხვა. ამ პატა-ოა შენიშვნით ავტორმა თავისდაუნებურად კლასიფიკაციაში სრულიად ახალი ნიშანი—ფორმა შემოიტანა და დაუშვა იგივე ლოგიკური შეცდომა, რისთვისაც თითონვე აკრიტიკებდა სასკოლო გრამატიკების მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციას.

დავას იწვევს უშაკოვის კლასიფიკაციის მესამე „სახეც“. „ცალკეულ სიტყვებს, წერს იგი, უნდა მიეკუთვნოს ის შორისდებულებიც, რომლებიც სიტყვის როლში გამოიყენებიან და შეიძლება იწოდონ „სიტყვა-შორისდებულებად“; თავიანთი დანიშნულებით ისინი „ნახევარ-სიტყვებია“, რადგან გამოხატავენ გოძნობებს“.

ჯერ ერთი, ცალკეულ სიტყვებად შორისდებულები იმიტომაც არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ, თვით უშაკოვის მიხედვით, ცალკეული სიტყვები აზრის ცალკეულ საგნებს გადმოგვცემენ, შორისდებულები კი აზრს არ გადმოგვცემენ; ნეორეც. ისინი „ნახევარსიტყვებია“, რაც კიდევ უფრო არ უდგება „სრული“ სიტყვის ცნებას; მესამეც, რას უნდა ნიშნავდეს „ნახევარ-სიტყვა“? თუ ნახევარია, სიტყვა როგორღაა, და, თუ სიტყვაა, ნახევარი რატომ ეწოდება?

უშაკოვის მიხედვით, ისინი „ნახევარსიტყვები“ არიან იმიტომ, რომ გადმოგვცემენ გოძნობებს. გამოდის, რომ გოძნობებია აზრის ნახევარი ყოფილა და ამიტომაც მათ გადმომცემ სიტყვებს „ნახევარსიტყვები“ უნდა ეწოდოთ.

უშაკოვმა შორისდებულებს მიაკუთვნა ზოგი ისეთი სიტყვა, რომელიც ფორტუნატოვთან ნაწილობრივ სიტყვებში განიხილებოდა, ასეთებია: *копейно, пет* და სხვები. ამასთან ასეთი გადაადგილების მიზეზს იგი არ ასახელებს.

გაუგებარი რჩება, თუ რას გულისხმობს ავტორი ე. წ. „სიტყვა-მოწოდებებში“. მისი აზრით, „სიტყვა-მოწოდებებს“ განეკუთვნება: „*ниже мой, зачем ты оставил меня*“ და მსგავსი წინადადებები. ავტორი არას ამბობს იმის შესახებ,

თუ როგორ გავივით ეს წინადადება: იგი მთლიანადაა „სიტყვა-მოწოდება“, თუ ასეთად მისი ერთი რომელიმე ნაწილი, ეთქვათ: „ниже мой“ ან „взвеш ты уставил меня“— იგულისხმება?

როგორც არ უნდა ვიგულისხმოთ, არა გვეგონია, რომ მოტანილი წინადადების ან, გნებავთ, მისი რომელიმე ნაწილის ცალკე სიტყვად გასაღება შეიძლებოდა. უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ „ниже мой“ ავტორმა ცოტა ზევით უბრალო „სიტყვა-შორისდებულად“ გამოაცხადა.

უშაკოვი არაფერს ამბობს „სიტყვა-შორისდებულებსა“ და „სიტყვა-მოწოდებებს“ შორის არსებულ ურთიერთმიმართებებზე: კერძოდ იმაზე, თუ რით უახლოვდებიან ან შორდებიან ისინი ერთიმეორეს.

იმავე პარაგრაფში, სადაც სიტყვათა „სახეებად“ დაყოფაზეა ლაპარაკი, წარმოდგენილია სხვა კლასიფიკაციაც. ამ კლასიფიკაციის მიხედვით სიტყვები იყოფიან ორ ჯგუფად: 1. მარტივად (простые) და<sup>2</sup> არამარტივად (непростые). პეტროვის აზრით: „არამარტივი თვით მოლაპარაკის მიერ შეიცნობა, როგორც „რთული“ და იყოფა სიტყვებად ან ფუძეებად: მაგრამ მნიშვნელობა არამარტივი სიტყვისა რჩება ერთიანი, იგი არ დაიყოფა აზრის რამდენიმე საგნად ისე, როგორც დაიყოფა მნიშვნელობა შესიტყვებისა. ისტორიულად არამარტივი სიტყვები წარმოიშებიან ან სიტყვათა შეერთების, ან ფუძეთა შეერთების, ან ფუძეთა გამეორების გზით“<sup>1</sup>.

ავტორი несправда-ს приходит-ის და მისთანათა გვერდით არამარტივ სიტყვებად თვლის: „снуетя рукава“-ს „скрепя сердце“, „Великий пост“ და სხვა. ამ შესიტყვებათა სიტყვებად გამოცხადებას უშაკოვი იმით ამართლებს, რომ, თითქოს, ისინი მნიშვნელობით ერთ სიტყვას უდრიან: მაგ., „скрепя сердце“— „нехотя“; „снуетя рукава“— „небрежно“ და სხვა.

<sup>2</sup> „Простое самим говорящим сознается как „сложное“, разлагается на основы или на слова: однако, значение простого слова будет едино, не будет разлагаться на несколько предметов мысли, как разлагается значение словосочетания. Исторически простые слова возникают или из сочетаний слов, или из сочетания основ, или из повторения слов...“ („Краткое введение...“, გვ. 26),

სიტყვათა დაყოფა მარტივებად და არამარტივებად, რა თქმა უნდა, შეიძლება. რომელიმე „ИНСЛМО“ რომ მარტივია, ხოლო „ИНСЛМОИСЕИ“—რთული, აშკარაა. მაგრამ, ჩვენი აზრით, ასეთი დაყოფის შესახებ ლაპარაკი უნდა ყოფილიყო არა აქ, არამედ იქ, სადაც განხილული იქნებოდა ახალ სიტყვათა წარმოება<sup>1</sup>.

ესეც რომ არ იყოს, გაუმართლებლად მიგვაჩნია იდიომების: „скреша серпце“, „сшустя рукава“ და მსგავსთა ცალკეულ სიტყვებად მიჩნევა, მიუხედავად იმისა, რას დავარკმევთ მათ—მარტივს, თუ არამარტივს. მართალია, იდიომი ზოგჯერ ერთი სიტყვის ბადალია, იგი ერთი სიტყვით შეიძლება შეიცვალოს; ამიტომ მეტწილად იგი წინადადების ერთი წევრის მაგიერობას ეწევა. მაგრამ ხშირ შემთხვევაში იდიომის მაგიერობას ერთი სიტყვა ვერ წევს. მაშინ იგი წინადადების ერთი წევრიც ვერ იქნება და ერთ სიტყვად მისი გამოცხადება აღარ მოხერხდება. მაგრამ, თუ გადამწყვეტად სიტყვის მნიშვნელობას მივიღებთ, მაშინ არა გვგონია არამარტივ სიტყვად ჩაითვალოს სიტყვები: сашит, паровоз, пароход და მისთანანი. ამ სიტყვებსაც ხომ მნიშვნელობა, ბოლოს და ბოლოს, ერთი სიტყვისა აქვთ. ეს სიტყვებიც ხომ ისევ ერთ საგანზე მიუთითებენ, როგორც, ვთქვათ саша, брюка და სხვა.

არა ნაკლებ საინტერესოა უშაკოვის „სიტყვათა ორი კლასიფიკაცია“, რომელიც ამავე სათაურის მქონე პარაგრაფშია განხილული.

„სიტყვები, — წერს ავტორი. — შეიძლება დავეყოთ კლასებად: 1) მნიშვნელობისა და 2) ფორმის მიხედვით. ეს ორი კლასიფიკაცია არ უნდა ავრიოთ, ასეთი არეყით ცოდავს სასკოლო გრამატიკა მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციაში. პირველი კლასიფიკაცია მოერგება ყველა ენას (подходит ко всяко-

---

<sup>1</sup> ისე, როგორც ეს ვ. პორეზინსკისთან გეაქვს; იხ. მიანი Введение в языковедение, М., 1910, გვ. 159 და შემდგომ.

მუ მჰმჰყ), რადგან დაემყარება ადამიანთა აზრის საგნების კლასებს; მეორე (ფორმის მიხედვით კლასიფიკაცია) განსხვავებული იქნება იმის მიხედვით, თუ რა ფორმა აქვს ამა თუ იმ ენას. ასეთი კლასიფიკაცია შეუძლებელია ძირეულ ენებში<sup>1</sup>.

უშაკოვის აზრით, მნიშვნელობის მიხედვით გამოყოფილი კლასები (არაგრამატიკული კლასები) უნდა დაეფუძნოს იმას, თუ რას აღნიშნავს სიტყვა, აზრის საგანთა როგორ სხვაობას გადმოგვცემს იგი: ნიშანთვისებებს თუ საგნებს. რადგან ნიშანთვისებები შეიძლება გავიაზროთ მოცემულ აზრთან დამოკიდებულებაში ან ამ დამოკიდებულების გარეშე, ვლებულობთ, „სიტყვა-ნაცვალსახელებს“ („слова-местоимения“) და „სიტყვა-სახელწოდებებს“ („слова-названия“). ნიშანთვისებები შეიძლება ვააზრებულ იქნენ ან დროში ცვალებადობის, ან ასეთი ცვალებადობის გარეშე, ეს კი მოგვცემს: ერთი მხრით, „ზმნებს“ (ходить, написать) და მეორე მხრით, „არაზმნებს“ (белый, белая, стол). „სიტყვა-სახელწოდებებში, თავის მხრით, გაირჩევა ზოგადი და საკუთარი (მაგ., стол, кувин; Иван, Волга და სხვა).

მეორე კლასიფიკაცია გვაძლევს სიტყვათა დაყოფას ფორმის მიხედვით. სიტყვათა ფორმის მიხედვით დაყოფის შემდეგ მიღებული კლასები, ანუ გრამატიკული კლასები, შეიძლება ეწოდოს ფორმალურ კლასებს, ანუ „გრამატიკული მეტყველების ნაწილებსაო“ — შენიშნავს ავტორი.

ფორმები იყოფიან სიტყვათმცვლელებად და სიტყვათმაწარმოებლად. პირველნი განასხვავებენ შემასმენლურობისა (დრო, კილო. პირი) და წინადადების მეორეხარისხოვანი წევრების (ბრუნვები, სქესი) ფორმებს. უშაკოვი იძლევა სიტყვათა შემდეგ ფორმალურ კლასებს:

1. სიტყვები, რომელთაც აქვთ მხოლოდ სიტყვათმცვლელი ფორმები;
2. სიტყვები, რომელთაც აქვთ მხოლოდ სიტყვათმაწარმოებელი ფორმები;

<sup>1</sup> Д. Н. Ушаков, Краткое введение... გვ. 87—88.

3. სიტყვები, რომელთაც აქვთ ერთიცა და მეორეც;

4. სიტყვები, რომელთაც არა აქვთ არც ერთი და არც მეორე.

სიტყვათმცვლელი ფორმების მქონე კლასი იყოფა ქვე-  
ჯგუფებად:

1. სიტყვები, რომელთაც აქვთ შენასშენლობის ფორმები, ანუ უღლებადი სიტყვები;

2. სიტყვები, რომელთაც აქვთ ბრუნვის ფორმები, ანუ ბრუნვადი სიტყვები;

3. სიტყვები, რომელთაც აქვთ გრამატიკულ სქესში ცვლის ფორმები. შენიშვნაში<sup>1</sup> უშაკოვი აღნიშნავს, რომ უღლებაში დროის, პიროსა და კილოს გარდა. შეაქვთ ასპექტი და გვარი; ბრუნვებში—რიცხვი. ავტორი ამბობს. ეს დაათვლითი ფორმები სიტყვათწარმოებითი ფორმებიაო, მაგრამ არაფერს ამბობს, რატომღა „შეაქვთ“ ეს ფორმები უღლებასა და ბრუნებაში.

ამ კლასიფიკაციის შესახებ უშაკოვი ასევენი: „ასეთი შეიძლება იყოს სიტყვათა ფორმალური, ანუ გრამატიკული კლასები, სხვაგვარად, გრამატიკული -მეტყველების ნაწილები“, ეს კლასები ამა თუ იმ ენაში სახეს იცვლიან მისი ფორმის მიხედვით“<sup>2</sup>.

ამ კლასიფიკაციის გაცნობისას შეიძლება დაგვებადოს ასეთი კითხვა: საიდან მივიდა ავტორი იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია სიტყვათა ასეთი კლასიფიკაცია; იგი რომელიმე კერძოდ აღებულ ენას ეყრდნობა და ამ ენის მასალის გათვალისწინება უდევს კლასიფიკაციას საფუძვლად, თუ კლასიფიკაცია წარმოადგენს რიგი (ფორმინი) ენის მონაცემთა განზოგადების შედეგს?

თუ ეს კლასიფიკაცია რომელიმე კერძო ენას ეყრდნობა, საფიქრებელია, რომ ეს ენა პირველ რიგში რუსული იქნება, მაგრამ რუსული ენის სიტყვათა ფორმალურ კლასიფიკაციას აქ წარმოდგენილი ოთაწევრა კლასიფიკაცია არ მიუღვა. მაშასადამე, კლასიფიკაცია რუსული ენის მასალას

<sup>1</sup> იხ. დასახელებული შრომა, გვ. 90, შენიშვნა.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 90.

არ ემყარება. რადგან ავტორი სხვა რომელსამე ენას არ მიუთითებს, უნდა ვიფიქროთ, რომ რომელიმე კერძო ენა არ დასდებია საუბრად კლასიფიკაციას; იგი მიღებულია მრავალი ენის ფაქტთა განზოგადების შედეგად. თუ ეს ასეა, მაშინ ავტორი წინააღმდეგობაში ვარდება, რადგან, მისივე თქმით, ფორმალური კლასიფიკაცია არ შეიძლება იყოს ზოგადი, იგი ყოველ მოცემულ შემთხვევაში უნდა ეყრდნობოდეს კერძოდ აღებული ენის ფაქტს. გერჩება ერთი შესაძლებლობა: ეს კლასიფიკაცია წმინდა თეორიული ხასიათისაა. და თუ ეს მართლაც ასეა, ავტორი აქაც ვერ აღმოჩნდება მტკიცე საფუძველზე მდგომი. საქმე იმაშია, რომ ენა, როგორც ასეთი, განყენებულად არ არსებობს. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ადამიანთა ენაზე საერთოდ, მიედევლობაში გვაქვს ენა, როგორც აზრის გადმოცემის საშუალება. ასეთ შემთხვევაში მის ფორმებზე ლაპარაკი შეუძლებელია, რადგან მას არა აქვს არც ქართულის, არც რუსულის, არც გერმანულის და არც რომელიმე სხვა ენის ფორმა.

ზემოთ მოტანილი მსჯელობა უშაკოვის კლასიფიკაციას შეეხებოდა ზოგადად, მაგრამ უნდა შევჩერდეთ კერძო ხასიათის ნაკლოვანებებზეც.

ეს კლასიფიკაცია, როგორც ავტორი ამბობს, არის კლასიფიკაცია ფორმის მიხედვით. მასში აღვიღო უნდა იპოვონ ფორმიანმა სიტყვებმა, მაგრამ ფორმიანი სიტყვების გვერდით მასში მეოთხე წევრად რატომღაც აღმოჩნდა სიტყვათა ისეთი ჯგუფი, რომელსაც არავითარი ფორმა არა აქვს. ეს წევრი (ე. წ. სიტყვები, რომელთაც არავითარი ფორმა არა აქვთ) შეიძლება დაუპირისპიროდეს სხვა სამ წევრს, ერთად აღებულს, როგორც ფორმიანებს, მაგრამ ვერ დაუპირისპირდება მათ ცალ-ცალკე. ამდენად დაუსაბუთებელია მისი ამ კლასიფიკაციაში შეტანა.

უშაკოვი აქვე იძლევა რუსული ენის სიტყვათა ფორმალურ კლასიფიკაციას შემდეგი საბით:

1. „სიტყვები ყოველგვარი ფორმის გარეშე: წინდებულები, კავშირები, „არაგრამატიკული ზმნიხედები“ (аггес, куда...), ბევრი სიტყვა-შორისდებული (ах. еш და სხვები, შე-

ვლენ სხვა კლასებში, აქვე უნდა შევიდეს „უბრუნველები“ *келгуру* და სხვა.

2. სიტყვები მბოლოდ სიტყვათმწარმოებელი ფორმებით: „გრამატიკული ზმნიზედები“ (*ბელი, ჰორიში, ძილხი...*), ზედსართავი სახელების შედარებითი ხარისხის ფორმები, „დეპრიჩასტიები“ და „ინფინიტივები“.

3. სიტყვები, რომელთაც აქვთ როგორც სიტყვათმწარმოებელი, ისე სიტყვათმცვლელი ფორმები, მათ შორის:

ა) სიტყვები ბრუნვის ფორმით, მაგრამ სქესის ფორმის გარეშე: არსებითი სახელები, ნაცვალსახელთა ნაწილი (მაგ., *я, ты*), რიცხვით სახელთა ნაწილი (რაოდენობითები: *один-ისა და два-ს გამოკლებით*);

ბ) სიტყვები ბრუნვისა და სქესის ფორმებით: ზედსართავი სახელები, ნაცვალსახელთა ნაწილი (მაგ., *мой, тот...*), რიცხვით სახელთა ნაწილი (*один, два* და რიგობითები).

გ) სიტყვები სქესის ფორმებით, მაგრამ ბრუნვის ფორმათა გარეშე: ზედსართავი სახელები და მიმღებობები შემოკლებულნი (*всел, сделан...*), ზმნები წარსულ დროში (მაგ., *взял-ა-ო*);

დ) სიტყვები პირის ფორმებით: ზმნები პირის ფორმებით (მაგ., *всел, прилх, папишу*)<sup>1</sup>.

ამრიკად, უშაკოვმა პირველმა სცადა მოეცა რუსული ენის სიტყვათა ფორმალური კლასიფიკაცია. თუ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა, ამაში საკლასიფიკაციო პრინციპი კი არ არის დამნაშავე, არამედ ავტორი, რომელმაც ეს პრინციპი თანამიმდევრულად და ზუსტად ვერ დაიცვა.

ამ კლასიფიკაციის შესახებაც შეიძლება ზოგი რამ ითქვას:

1. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სიტყვათა ფორმალური კლასიფიკაციაში უფორმო სიტყვებზე არ უნდა იყოს ლაპარაკი. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ამ კლასიფიკაციაში პირველი წევრი ზედმეტი აღმოჩნდება.

<sup>1</sup> Д. Н. Ушаков, *Краткое введение...*, გვ. 90—91.

2. შეცდომაა დაშვებული კლასიფიკაციის ცალკეული წევრის შემადგენელ ნაწილთა განსაზღვრა-დახასიათებაშიც, მაგ., პირველი წევრი, ავტორის აზრით; მოიცავს „არაგრამატიკულ“ ზმნიზედებს, წინდებულებს, კავშირებს; მეორე წევრი — „გრამატიკულ“ ზმნიზედებს, ზედსართავის შედარებით ხარისხს, „დეებრიჩასტიეს“, ინფინიტივს; მაშასადამე, თითოეული წევრი შეიცავს სიტყვათა გარკვეულ ჯგუფებს. მაგრამ ჩვენ არაფერი ვიცით, რა ნიშანს ეყრდნობა ამ ჯგუფთა გამოყოფა, ან რას ნიშნავს „დეებრიჩასტიეს“, ინფინიტივი, წინდებული და სხვა. შეიძლება ითქვას, უფრო მეტი დაბნეულობაა მესამე წევრის შიგნით სიტყვათა ჯგუფების გამოყოფაში. აქ ლაპარაკია არსებით სახელებზე, ზედსართავებზე, რიცხვით სახელებზე, ნაცვალსახელებზე, ე. ი. ყველაფერზე, რაც ტრადიციულ მეტყველების ნაწილებს ქმნის, მაგრამ არაფერია ნათქვამი არც ამ ტერმინთა განსაზღვრაზე და არც იმაზე, თუ რას ეყრდნობა ამ ტერმინებში ნაგულისხმევ სიტყვათა ჯგუფების ცალ-ცალკე გამოყოფა.

როგორც ვიცით, არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, რიცხვითი სახელები და სხვები გამოყოფილია მნიშვნელობის ფაქტორზე დაყრდნობით. ამიტომ იგულისხმება, რომ უშაკოვთანაც იგივე ფაქტორია განმსაზღვრელი ამ სიტყვების ცალკე გამოყოფისას, თუმცა ავტორი ამის შესახებ არსად არაფერს ამბობს.

ერთი სიტყვით, უშაკოვმაც, ისე როგორც ფორტუნა-ტოვმა, ვერ განდევნა მნიშვნელობის ფაქტორი ფორმალური კლასიფიკაციიდან. რადგან მასთან ფორმალური კლასიფიკაცია გრამატიკის კუთვნილებაა, გამოდის, რომ გრამატიკა შეისწავლის მნიშვნელობებსაც.

შედარებით სხვანაირ სურათთან გვაქვს საქმე უშაკოვის სასკოლო სახელმძღვანელოში<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> Д. И. Ушаков, Русский язык, краткое, систематическое школьное руководство по грамматике, правописанию и произношению, М.—Л., 1927; изд. II. შემდგომში ყველგან მიუუთითებთ ამ გამოცემაზე.

როგორც წიგნის სათაურიდან ჩანს, იგი მოიცავს გრამატიკას, ორთოგრაფიასა და ორთოეპიას. თუ გავიხსენებთ ავტორის ნათქვამს, რომ გრამატიკა სწავლობს სიტყვისა და შესიტყვების ფორმებს; რომ ფორმალური კლასიფიკაცია გრამატიკის კუთვნილებაა და იგი არ უნდა აერიოთ მნიშვნელობის მიხედვით კლასიფიკაციაში, უნდა მოველოდეთ, რომ ამ წიგნში გვექნება მხოლოდ ფორმალური კლასიფიკაცია. მაგრამ წიგნი იწყება სათაურით: „სიტყვათა დაყოფა მნიშვნელობის მიხედვით“. თუ ადრე სიტყვათა დაყოფა „დამოკიდებულად“ და „დამოუკიდებლად“ ცალკე იყო მოცემული, ბოლო ე. წ. „ცალკეულ სიტყვათა სახეები“ — ცალკე, აქ ესენი გაერთიანებულნი არიან სიტყვათა მნიშვნელობის მიხედვით კლასიფიკაციაში. ეს თავი, რომელიც ორ გვერდზე ცოტა მეტს შეიცავს, ვერაფრით ვერ უკავშირდება წიგნის მომდევნო თავს — „ფონეტიკა და წერა“-ს და წიგნის საერთო აგებულებას.

მორფოლოგიას ავტორი იწყებს ფუძისა და დაბოლოების განსაზღვრით. იქვეა ლაპარაკი ძირზე, აფიქსებზე, წინსართებზე, რთულ სიტყვებზე და სხვ. საინტერესოა, რომ აქ ავტორი რთული სიტყვების სხვაგვარ განსაზღვრას იძლევა, ვიდრე ეს „Краткое введение...“-ში ვნახეთ. ახლა, უშაკოვის აზრით, რთული სიტყვები შეიცავენ ორ ფუძეს (მაგ., выдох, трёхаршинный და სხვა). აქ აღარაფერია ნათქვამი იმ იდიომებზე, რომლებიც ადრე ავტორმა რთულ (არამარტივ) სიტყვებში გააერთიანა. ბოლოს, ავტორი ეხება საერთოდ სიტყვათცვლას და წერს: „სიტყვები, რომელთაც აქვთ ცვალებადი დაბოლოება, რომლითაც ისინი გვიჩვენებენ მეტყველებაში სიტყვათა ურთიერთდამოკიდებულებებს, იწოდებიან ცვალებად სიტყვებად... ფორმის მიხედვით რუსული ენის სიტყვები შეიძლება დაიყონ ცვალებად და უცვლელ სიტყვებად“<sup>1</sup>.

მაშასადამე, ავტორი ამ შემთხვევაში სრულიად სწორ გზას ადგას. ფორმიანი ენის (აქ რუსული ენის) სიტ-

<sup>1</sup> ი ქ ე ბ. გვ. 32.

ყვათა კლასიფიკაცია, უპირველესად ყოვლისა, გვაძლევს ორ კლასს: 1. ცვალებად სიტყვათა კლასს და 2. უცვლელ სიტყვათა კლასს. რადგან რუსულ ენაში სიტყვები სამნაირად იცვლებიან ბრუნვის, სქესისა და პირის მიხედვით, ცვალებადი სიტყვები მოგვცემენ სამ ძირითად ჯგუფსო, — წერს უშაკოვი. ეს ჯგუფებია:

1. ბრუნვიანი, ანუ სიტყვები, რომლებიც იცვლებიან ბრუნვის მიხედვით. მათ ეწოდებათ სახელები და იყოფიან:

ა) სიტყვებად, რომლებიც მხოლოდ იბრუნვიან — არსებითი სახელები;

ბ) სიტყვებად, რომლებიც კიდევ იბრუნვიან და სქესშიც იცვლებიან — ზედსართავი სახელები;

II. სიტყვები, რომლებიც იცვლებიან სქესის მიხედვით, მაგრამ არ იბრუნვიან.

III. უღლებიანი, ანუ პირის მიხედვით ცვალებადი სიტყვები. აქ შემოდის ზმნები აწმყოსა და მომავალს დროში<sup>1</sup>.

ჩვენი აზრით, ეს კლასიფიკაცია კარგად გადმოგვცემს რუსული ენის სპეციფიკას, მაგრამ მასში დაცული არ არის ზუსტი თანამიმდევრობა და ლოგიკურობა. მასში ნახსენებია მხოლოდ არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები და ზმნები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორმა ამ ტერმინებით ამოწურა ცვალებად სიტყვათა ყველა ჯგუფი. სინამდვილეში კი, როცა ამ კლასიფიკაციის პრაქტიკულ გამოყენებაზე დგება საკითხი, მაშინ წიგნში ლაპარაკია რიცხვით სახელებზეც, ნაცვალსახელებზეც, მიმღობებზეცა და სხვ. ჩვენი აზრით, ან სულ არ უნდა ვახსენოთ ტრადიციული ტერმინები (არსებითი სახელი, ზედსართავი, ზმნა...) ან, თუ ვახსენებთ, უნდა ვახსენოთ ყველა და თანაც განემარტოთ მათი მნიშვნელობა.

ჩვენ არ შევუდგებით სიტყვათა ჩამოთვლილი ჯგუფების (არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, ზმნები...) უშა-

---

<sup>1</sup> ი ქ ე ე. გვ. 32—33.

კოვისეული დახასიათება-განსაზღვრის ცალ-ცალკე განხილვას, შეეჩერდებით მხოლოდ ზმნებზე.

„სიტყვებს, რომლებიც გადმოგვცემენ მოქმედებას ან მდგომარეობას, ეწოდება ზმნური სიტყვები“<sup>1</sup>—წერს ავტორი.

ავტორის აზრით, ზმნური სიტყვების ერთი რიგი მოქმედების აღნიშვნასთან ერთად ამ მოქმედებას მიაწერენ რომელიმე პირს (მაგ., *ХОЖУ* აღნიშნავს, რომ მოქმედება პირველ პირს ეკუთვნის), სხვა სიტყვები (*ХОДИНА. ХОДЯТ*) მოქმედებას არავის არ მიაწერენ. რიგი ზმნური სიტყვებისა მოქმედებას ან მდგომარეობას გადმოგვცემენ განსაზღვრულ დროში, მაგ., *ХОЖУ. ХОДИТ* მიუთითებს ახლანდელ დროზე; *ХОДИЛ, ХОДИВШИИ*—წარსულ დროზე, *ХОДИМ, ИДУ*—მომავალზე. დროის მიხედვით სიტყვათა დაყოფისას, ზმნურ სიტყვებში მიმლეობასთან ერთად უნდა მესულიყო „დეკარიჩასტეც“ (*ХОДИ, ХОДИВШИИ*). არას ვანბობთ იმაზე, რომ მიმლეობა და ე. წ. წარსული დრო (*ХОДИЛ, а.-о...*) ადრე განხილულია ზედსართავებში.

საერთოდ, უკეთესი იქნებოდა, რომ დროის კატეგორიაზე, როგორც გრანატიკულ კატეგორიაზე რუსულ ენაში, სრულიადაც არ იყოს ლაპარაკი, რადგან ამ კატეგორიას, სხვა კატეგორიებისაგან განსაჯავებით, გამოხატული ფორმები არა აქვს.

საქმე ისაა, რომ ამა თუ იმ კატეგორიის არსებობას ვამტკიცებთ საპირისპირო ფორმების არსებობით: კაც ი ფორმის საპირისპიროდ რომ კაც-ებ-ი არ გვექნდეს, რიცხვის კატეგორიაზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა. ე-ი-შენებ ფორმის გვერდით ე-ა-შენებ და ე-უ-შენებ ფორმების არსებობამ განაპირობა ქართულში ქცევის კატეგორიის არსებობა. რადგან ასეთი საპირისპირო ფორმები არა აქვს რუსულ ზმნას *ЕДИНО*, ამიტომ არ ვლაპარაკობთ ამ კატეგორიის შესახებ რუსულში. თუ რუსულ ზმნას ამ კრიტერიუმით მივუდგებით (სხვა კრიტერიუმი კი არ არსებობს), მას დროის კატეგორიის გამოხატვა არ შეუძლია (იგულისხმება, რასაკვირველია, მორფოლოგიური საშუალებით გამოხატვა).

<sup>1</sup> იქვე, 23. 68.

მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც იგივე ჯოჯუ, რომელიც ავტორს აწმყო დროის გადმომცემად მიაჩნია. ამ ზმნის უღლება მოგვცემს შემდეგ სურათს: .

- |                   |                    |
|-------------------|--------------------|
| მხ. რიც. 1. хож-у | მრ. რიც. 1. ход-им |
| 2. ход-ишь        | 2. ход-ите         |
| 3. ход-ит         | 3. ход-ят          |

რას გადმოგვცემს ამ შემთხვევაში დეფისით გამოყოფილი ნაწარმოებლები (-у, -ишь, -ит.)? რა თქმა უნდა, პირს. დავუშვათ, რომ ამავე აფიქსებს დაკისრებული აქვთ აწმყო დროის გადმოცემა. ეს მართლაც ასე იქნებოდა, რომ სხვა შემთხვევაში—მონაველში ან წარსულში—მაინც გვეკონდეს დამოუკიდებელი ფორმები დროის ფორმათა გადმოსაცემად, ასეთი კი არა გვაქვს. ამავე ზმნიდან მონაველი იწარმოება დამხმარე ზმნით:

- |                   |                   |
|-------------------|-------------------|
| 1. бѹд-у ходитъ   | 1. бѹд-ем ходитъ  |
| 2. бѹд-ешь ходитъ | 2. бѹд-ете ходитъ |
| 3. бѹд-ет ходитъ  | 3. бѹд-ут ходитъ  |

როგორც ვხედავთ, ახალ ფორმასთან საქმე არა გვაქვს, რადგან საუღლებელი ზმნა ფორმაუცვლელია, ხოლო ე. წ. დამხმარე ზმნა სავსებით იმეორებს ზემონაჩვენებ (აწმყოს) ფორმებს. ერთი სიტყვით, არსად არ გვაქვს მომავლის ფორმა. ამავე ზმნიდან ნაწარმოები წარსული დროის გაგებით ნახმარი ფორმა ходил, а, -о, როგორც ცნობილია, მიმღეობის ფორმაა. ნაშასადამე, დასკვნა ასეთი შეიძლება იყოს: რუსულ ენას მორფოლოგიურად, ფორმის საშუალებით, არ შეუძლია დროის კატეგორიის გადმოცემა.

ავტორმა მომავლის გადმომცემად მოიტანა ზმნები: მოხ-мъ, бѹд-у. მართლაც, ორივე ზმნა მნიშვნელობით მონაველია, მაგრამ ეს მნიშვნელობა გადმოცემულია არა აფიქსით, ფორმით, ე. ი. მორფოლოგიურად, არაჰედ სიტყვის ფუძით, ლექსიკურად. და რომ ასეა, ჩანს იქიდან, რომ მოხ-мъ-ს აწმყოს სხვა ფუძე—не-ყ—გადმოგვცემს, ხოლო შესატყვისი აწმყო

სულაც არა აქვს. ასეთია, ყოველ შემთხვევაში, მდგომარეობა თანამედროვე რუსულში.

ავტორმა ზმნის ე. წ. განუსაზღვრელი ფორმა განიხილა ძირითად ზმნებთან<sup>1</sup>, სხვა ადგილას<sup>2</sup> კი იგი, სამართლიანად, ფორმალურად სიტყვებთანაა განხილული.

ლექსიკურის (მნიშვნელობის) და მორფოლოგიურის (ფორმალურის) აღრევა გაუმართლებელია მეთოდოლოგიურად და პრაქტიკულად, ასეთ აღრევას აქვს სწორედ ადგილი უშაკოვის ზემოთ განხილულ ორივე წიგნში.

ამრიგად, უშაკოვი პირველი მეცნიერია, რომელმაც სცადა მოეცა წმინდა ფორმალური კლასიფიკაცია, გამოეცალკეებინა იგი მნიშვნელობით კლასიფიკაციიდან, მაგრამ მისი ეს ცდა უშედეგოა. უშაკოვი ვერც ზოგად სახელმძღვანელოში: „Краткое введение“ და ვერც რუსული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოში: „Русский язык“... ვერ გაემიჯნა მნიშვნელობის კრიტერიუმს, მან ვერ შეძლო საბოლოოდ გაეწყვიტა კავშირი ტრადიციული გრამატიკის ლოგიციზმთან სიტყვათა კლასიფიკაციის საქმეში.

## 7. 6. ლ უ რ ნ ვ მ

რუსულსა და იმ ენებში, რომელთაც აქვთ გრამატიკული სქესი, ფორმის მიხედვით სიტყვათა კლასიფიკაციასთან დაკავშირებით ისმის ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: რას მივაქციოთ მთავარი ყურადღება, შესიტყვებაში შესულ სიტყვას, თუ სიტყვას შესიტყვების გარეშე? მაგალითად, სიტყვები: *учащихся, староста, сдѣлѣ, воєвода* და სხვ. ჩავთვალოთ მდებრობითი სქესის სიტყვებად, რადგან, ისინი, ცალკე აღებულნი, იბრუნვიან როგორც მდებრობითი სქესის სიტყვები (როგორც, მაგ.: *стѣна, книга*), თუ ჩავთვალოთ მამრობითი სქესის სიტყვებად, რადგან მათ შესიტყვებაში ზედსართავეები უთანხმდებიან ისე, როგორც მამრობითი სქესის სიტყვებს (როგორც, მაგ.: *наш воєвода, нашего*

<sup>1</sup> იქვე, გვ. 69.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 84.

მუჟიყი და სხვ.). ასევე სიტყვები. мастеровой, часово́й, განვიხილოთ სიტყვებთან: мушкетёр, огневой, როგორც ფორმით მსგავსებთან, თუ სიტყვებთან: мастер, солдат, ресторан, რომლებთანაც ისინი ერთიანდებიან მნიშვნელობის მიხედვით და რომელთა მსგავსადაც ისინი გამოიყენებიან შესიტყვებაში?

ამ საკითხის გადაწყვეტის საქმეში ფორტუნატოვის სკოლის მიმდევართა შორის შეინიშნება თვალსაზრისთა სხვადასხვაობა. ამის შესახებ პრფ. ს. აბაკუშოვი წერს: დღევანდელი მეცნიერული გრამატიკა ეყრდნობა ფორმის იმ განსაზღვრას, რომელიც მოგვცა აკად. ფორტუნატოვმა. გრამატიკული ფორმის ცნების განსაზღვრისას ფორტუნატოვი ასხვავებს, ერთი მხრით, „შესიტყვების ფორმას“ და, მეორე მხრით, „ცალკეულ სრულ სიტყვათა ფორმას“. ცალკეულ სიტყვათა ფორმა, ამ ტერმინის საკუთარი მნიშვნელობით. ეწოდება ცალკეულ სიტყვათა. უნარს მოლაპარაკის ცნობიერებისათვის თავისთავში შეიცავდეს ძირითად და ფორმალურ კუთვნილებას. სიტყვის ფორმალური კუთვნილება სახეს უცვლის ამავე სიტყვის ძირითად კუთვნილებას, როგორც არსებულს სხვა სიტყვაში ან სხვა სიტყვებში სხვა ფორმალური კუთვნილებით... ცალკეული სრული სიტყვების ფორმები, რომლებიც გადმოგვცემენ წინადადებაში აზრის მოცემული საგნების აზრის სხვა საგნებთან დამოკიდებულებაში განსხვავებებს, იწოდებიან სიტყვათცვლის ფორმებად. სხვა ფორმებს, რომლებიც არ არიან სიტყვათცვლის ფორმები, ეწოდებათ სიტყვათწარმოების ფორმები... შესიტყვებას ფორტუნატოვი უწოდებდა მნიშვნელობის მიხედვით იმ მთლიანს, რომელიც წარმოიქმნება ერთი სრული სიტყვის (არანაწილობრივის) შეერთებით სხვა სრულ სიტყვასთან; იქნება ეს მთლიანი ფსიქოლოგიური მსჯელობის, თუ მისი ნაწილის გადმოცემა (выражение); აქედან შესიტყვების ფორმა იქნება უნარი გამოყოფს ჩვენი ცნობიერებისთვის თავისთავში ისეთი კუთვნილება, რომელსაც აქვს ფორმალური მნიშვნელობა. მაგალითად, თვით სიტყვათწყობა შესიტყვებაში შეიძლება იყოს ფორმალური კუთვნილება, ასეთივე მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მთავარი მახვილის ადგილ-

მდებარეობას, განსხვავებას მუსიკალურ მახვილში და სხვ. „ფორმის ეს განსაზღვრა, შეიძლება ითქვას, გახდა კლასიკური. მას იმეორებს პროფ. დ. უშაკოვი „Краткие введе-ние“-ში, ვ. პორტუგალი „Введение в языковедение“-ში. პეშკოვსკი და სხვები. სწორედ ფორმის ასეთი გაგების საფუძველზე ავაგე მე ჩემი „Этюды“<sup>1</sup> და 1923 წელს გამოცემული „Учебник русской грамматики“<sup>2</sup>, რომლებშიაც გავიმეორე ფორტუნატოვისეული განსაზღვრანი“<sup>3</sup>.

აბაკუშოვის აზრით, ნ. დურნოვოსათვის სიტყვათცვლის ფორმებში სრულიად სხვა რამ იგულისხმება: „მისთვის სიტყვათცვლის ფორმებად იწოდებიან ფორმები, რომლებიც გვიჩვენებენ დამოკიდებულებებს, რომლებსაც სიტყვები შესიტყვებებში ამყარებენ სხვა სიტყვებთან და თვით მოლაპარაკესთან (... в которые ставятся слова к другим словам в словосочетании и к самому говорящему)“<sup>4</sup>.

აბაკუშოვი ფიქრობს, რომ ეს განსაზღვრა არ არის ფორტუნატოვისეული განსაზღვრის ტოლძალოვანი. მისი აზრით, „ფორტუნატოვი წერდა, რომ სიტყვათცვლის ფორმები გვიჩვენებენ „განსხვავებას აზრის მოცემული (ერთი) საგნისა აზრის სხვა საგნებთან დამოკიდებულებაში“. ნ. დურნოვო ლაპარაკობს „დამოკიდებულებებზე, რომლებშიაც შედიან სიტყვები სხვა სიტყვებთან“. ეოთი სიტყვით, ფორტუნატოვი იღებდა ცალკეული სიტყვების სიტყვათცვლის ფორმებს თავისთავად და იხილავდა, თუ როგორ იცვლებიან ეს სიტყვები აზრის საგანთა შორის დანოკიდებულებათა ცვლის ზეგავლენით. ნ. დურნოვო იღებს შესიტყვებაში

<sup>1</sup> იგულისხმება აბაკუშოვის სტატია „Этюды по формальной грамматике“, დაბეჭდილი ჟურნ. „Родной язык в школе“, 1923, кн. 3.

<sup>2</sup> იგულისხმება С. Абакумов, Учебник русской грамматики. Москва, 1923 г.

<sup>3</sup> С. Абакумов, Ответ Н. Н. Дурново. Журн. „Родной язык в школе“, кн. 6-я, 1925, гв. 37—39. ეს სტატია დაწერილია საპასუხოდ Дурново-ს სტატიისა, „О формальной грамматике и логике“, (журн. „Родной язык в школе“, 1924 г. кн. 4-я).

<sup>4</sup> С. Абакумов, Ответ Н. Н. Дурново, журн. „Родной язык в школе“, кн. 6-я, 1925, гв. 37—39.

ცალკეული სიტყვების სიტყვათცვლის ფორმებს და იხილავს, თუ როგორ იცვლებიან ეს სიტყვები სხვა სიტყვებთან მიმართებაში.<sup>1</sup>

ამრიგად, ნ. დურნოვო ცალკეული სიტყვის ფორმის გაგებაში, ყოველ შემთხვევაში, ს. აბაკუშოვის აზრით, განსხვავდება თვით ფორტუნატოვისაგან და მისი მიმდევრებისაგანაც.

ნ. დურნოვოს შრომების შესწავლას მიეყავართ იმ დასკვნამდე, რომ ს. აბაკუშოვის მიერ მოცემული შეფასება ძირითადად სწორია.

1924 წელს გამოვიდა ნ. დურნოვოს „Повторительный курс грамматики русского языка“. წიგნს თავიდან ბოლომდე წითელი ზოლივით გასდევს დებულება, რომ სიტყვა განხილული უნდა იქნეს არა ცალკე აღებული, არამედ სიტყვათა შეიამებაში; გამოდის, რომ ცალკეული სიტყვის ფორმის ადგილს იკერს შესიტყვებაში მყოფი სიტყვის ფორმა. ამის დასადასტურებლად საკმარისია გადავიედოთ წიგნის აგებულებას, რომლის თავები და ქვეთავები ასეა დასათაურებული:

თავი I—მეტყველების ბგერები;

თავი II—მეტყველების ფორმები;

მეორე თავში წინასწარი შენიშვნების შემდგომ მოდის ქვეთავები.

1. ნაწილობრივი სიტყვები;

2. ცალკეულ სიტყვათა ფორმები შესიტყვებაში  
ა. ზმნები,

ბ. სახელები,

გ. უცვლელი სიტყვები, რომელთაც აქვთ შესიტყვებაში მათი როლის მაჩვენებელი ფორმები (1. ზმნიზედები, 2. შედარებითი ხარისხი, 3. „დეებრიჩასტიე“);

დ. სიტყვები, რომელთაც არა აქვთ შესიტყვებაში სხვა სიტყვებთან დამოკიდებულების გამომხატველი ფორმები<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 40.

<sup>2</sup> ხაზი ყველგან ჩვენია, ა. ფ.

როგორც ვხედავთ, დასათაურებების მიხედვითაც აშკარაა ავტორის თვალსაზრისი; მისთვის მთავარია სიტყვათა ფორმები შესიტყვებაში, იგი უარყოფს გრამატიკის შიგნით დარგების (მორფოლოგია, სინტაქსი, სასკოლო სახელმძღვანელოებში ფონეტიკა) გამოყოფის საჭიროებას. ეს კი ერთი მთავარი ნაკლია ამ თვალსაზრისის.

სიტყვის ზოგადი განსაზღვრისას ნ. დურნოვო დაახლოებით იმეორებს ფორტუნატოვის ფორმულირებას<sup>1</sup>. ცალკეული სიტყვის ფორმის განსაზღვრაში კი მას თავისებური მოსაზრება აქვს: „თუ რამდენიმე სიტყვას, წერს იგი, აქვს ერთნაირი ან მსგავსი ბგერითი ნაწილი და ამავე დროს ეს სიტყვები დაკავშირებულნი ან მსგავსნი არიან მნიშვნელობით, ასეთ ბგერითს ნიშნებს, რომლებიც აკავშირებენ სხვადასხვა სიტყვებს მნიშვნელობის მხრივ, ეწოდება ამ სიტყვის ფორმა“<sup>2</sup> (იახი ჩვენია, ა. ფ.).

ერთი შეხედვით ამ განსაზღვრასა და ფორტუნატოვისეულ განსაზღვრას შორის დიდი სხვაობა არ არის, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ ფორტუნატოვთან ცალკეულ სრულ სიტყვათა ფორმის განსაზღვრას მნიშვნელობა ენიჭება ამ ფორმაში სიტყვათცვლისა და სიტყვათწარმოების ფორმების განსხვავების აღიარებით, მაშინ აშკარა გახდება, რომ მათ შორის ნამდვილად არის გარკვეული სხვაობა. ნ. დურნოვოსათვის არსებობს არა ორი განსხვავებული ფორმა, არამედ, ერთი მხრით,

---

<sup>1</sup> „მეტყველების ისეთ ბგერას, ან ბგერათშეერთებას, რომელსაც აქვს მნიშვნელობა, ე. ი. გადმოცემს რომელიმე ცნებას თავისთავად დამოუკიდებლად სხვა ბგერისა ან ბგერათშეწყობისაგან, ეწოდება სიტყვა“ („Такой звук или такое сочетание звуков речи, которые имеют значение, т. е. выражают какое-нибудь понятие сами по себе, отдельно от других звуков или их сочетаний, называются словами“ . Н. Дурново, Повторительный курс грамматики русского языка, вып. 1, М. 1924, გვ. 18).

<sup>2</sup> „Если у нескольких слов есть одинаковые или сходные по звукам части, и в то же время эти слова связаны или сходны между собою по значению, то присутствие таких звуковых признаков, связывающих разные слова и по значению, называют формой этих слов“ , (იქვე, გვ. 19).

სიტყვის ფუძე, ანუ რეალური მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი და, ბეორე მართ, აფიქსი, რომელიც მიუთითებს, თუ როგორ შეეჯარდება მთელი სიტყვის მნიშვნელობა ფუძის მნიშვნელობას<sup>1</sup>.

რომ ნ. ღურნოვოსათვის ფორმა არსებობს მხოლოდ ზემომოტანილი მნიშვნელობით, ეს კარგად ჩანს მისი სტატიიდანაც: „Что такое синтаксис“. ამ სტატიაში ღურნოვო წერს: „მეცნიერულმა გრამატიკამ ყურადღება უნდა მიაქციოს ყველაფერს, რაც ენაში არსებობს და რაც კატეგორიათა ფორმალური ნიშნით აღინიშნება, ანუ ყველა ასოციაციას, რომელიც იქმნება სიტყვებს შორის ერთნაირი ან მსგავსი ფორმების საშუალებით. ამიტომ მეცნიერულ გრამატიკას არ შეუძლია არ აღნიშნოს ის კავშირი, რომელიც აერთებს სიტყვებს *зудой*-ს და *портной*-ს, ასავეებს რა მათ სიტყვებისაგან: *сын* და *Петров*; აგრეთვე კავშირი, რომელიც აერთებს სიტყვებს *портной*-სა და *столяр*-ს, ასხვეებს რა მათ სიტყვებისაგან: *зудой* და *столяр*; მან არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს დროისა და კილოს ფორმებიან სიტყვებს შორის არსებულ კავშირს; აგრეთვე კავშირს მიწვდობებს, დებრიჩასტიებსა და ინფინიტივებს შორის, რომლებიც მათ ასხვეებს დანარჩენი სიტყვებისაგან, სხვათა შორის ზმნური არსებითი სახელებისაგან“<sup>2</sup>.

ერთი შეხედვით, მოტანილი ციტატის საწინააღმდეგო არაფერი უნდა გვექონდეს: ავტორი ამბობს, რომ გრამატიკა შეისწავლის ყველაფერს, რაც კატეგორიათა ფორმალური ნიშნით აღინიშნება. მართლაც, ფორმას გრამატიკაში შევისწავლით, მაგრამ საქმე ისაა, რომ, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ღურნოვო არ ასხვეებს ბევრ ისეთ ენობ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>2</sup> Научная грамматика должна обращать внимание на все существующие в языке и обозначенные формальными признаками категории, т. е. на все ассоциации, создаваемые между словами присутствием одинаковых или однородных форм. Поэтому научная грамматика не может не отметить и ту связь, которая объединяет слова „зудой“ и „портной“, отличая их от слов „сын“ и „Петров“, и на

რივ ფაქტს, რომელიც სემასიოლოგიაში (თუ ლექსიკოლოგიაში) უნდა განიხილებოდეს.

ნ. დურნოვოს აზრით, გრამატიკა ერთნაირად შეისწავლის იმ კავშიოს, რაც არსებობს, ერთი მართ, *худой*-სა და *портной*-ს შორისა და, მეორე მხრით, *портной*-ისა და *столяр*-ს შორის. სინამდვილეში კი კავშირი, რომელიც არსებობს *худой*-სა და *портной*-ს შორის სრულიად სხვა რიგისაა, ვიდრე კავშირი, რომელიც არსებობს *портной*-სა და *столяр*-ს შორის. პირველი გოამატიკეულია, ფორმალურია და მას მართლაც უნდა შეისწავლიდეს გრამატიკა, მეორე აზოობრივია, სემასიოლოგიურია და მას უშუალო კავშირი არა აქვს გრამატიკასთან.

გრამატიკა წარმოადგენს ენათმეცნიერების მხოლოდ ერთ დარგს და ხას აქვს მკაცრად შემოფარგლული საზღვრები.—ეს არაა გათვალისწინებული ნ. დურნოვოს ნააზრევში. ნ. დურნოვომ გრამატიკაში ფორმის ტოლძალოვანი როლი მიაკუთვნა მნიშვნელობასაც. მხოლოდ ამით თუ შეიძლება გავამართლოთ ის გარეაოება, რომ მასთან *портной* და *столяр* ერთიმეორის გვერდით მოხედნენ ისევე. როგორც *мужчина*, *староста*, *восход* მოხედნენ *стол*-ისა და მისი ისგავსი მამრობითი სქესის სიტყვების გვერდით.

ფორმის სწორედ ასეთ გაგებაზეა აგებული ნ. დურნოვოს ზემონახსენები გრამატიკის სახელმძღვანელო.

ამ წიგნში მხოლოდ ფორმის გაგება არ არის საკამათო. ვერ დავეთანხმებით აგრეთვე ნაწილობრივი სიტყვების განსაზღვრა-განხილვის ავტორისეულ თვალსაზრისსაც.

ნ. დურნოვა სვამს კითხვას: „რა არის ნაწილობრივი სიტყვა“ და უპასუხებს: „ცალკეულ სიტყვებს, რომელთაც თავისთავად არა აქვთ მნიშვნელობა და გამოიყენებიან შესიტყვების შემქმნელ სიტყვათა ან თვით შესიტყვებათა შორის კავშირის აღსანი-

связь между словами „портной“ и „столяр“, отличающую их от слов „худой“ и „столяров“. и на связь между словами, имеющими форму времени и склонения, и причастиями, деепричастными и инфинитивами, отличающую их от остальных слов, между прочим, и от глагольных существительных“ (Н. Н. Дурново, Что такое синтаксис? *Изурн. „Родной язык в школе“*, 1923, кн. 3-8. გვ. 87).

შნად, აგრეთვე იმ დამოკიდებულების გადმოსაცემად, რომელიც არსებობს მოლაპარაკესა და იმას შორის, რის შესახებაც იგი ლაპარაკობს. ეწოდებათ ნაწილაკები. რუსულ ენაში გვაქვს შემდეგი ნაწილაკები თუ ნაწილობრივი სიტყვები: 1. კოპულა; 2. პირობითი, ბრძანებითი და ნატვრითი ნაწილაკები; 3. წინდებულები; 4. კავშირები; 5. მაკავშირებელი ანუ მაერთებელი სიტყვები; 6. გამაძლიერებელი და შემაძლესებელი ნაწილაკები; 7. კითხვითი ნაწილაკები; 8. უარყოფითი ნაწილაკი და სხვა<sup>1</sup>.

თავი რომ დავანებოთ ტერმინების ნაწილაკისა და ნაწილობრივის არევისა და ნაწილობრივი სიტყვების ზოგადი განსაზღვრის, არაერთხელ, უკვე ნახსენებ წინააღმდეგობას, ავტორთან სხვა შეუსაბამობაც გვხვდება. მან ნაწილობრივ სიტყვათა დაჯგუფებას საფუძვლად დაუდო ორი ურთიერთისაგან სრულიად განსხვავებული ნიშანი: სინტაქსური ფუნქცია და სათქმელისადმი მოლაპარაკის დამოკიდებულების აღნიშვნა. ამან გამოიწვია ის, რომ კავშირის გვერდით მოხვდა გამაძლიერებელი ნაწილაკი. საკლასიფიკაციო ნიშანთა ასეთი აღრევით ავტორმა დაუშვა ლოგიკური შეცდომა.

ნაწილობრივი სიტყვების განხილვის შემდეგ ავტორი იხილავს „ცალკეულ სიტყვათა ფორმებს შესიტყვებაში“. წიგნის ამ ნაწილისადმი წინასწარ შენიშვნებში ავტორი წერს: „ცალკეულ სიტყვათა ფორმები, რომელთა დახმარებითაც იქმნება შესიტყვებები, შეიძლება იყოს ორი სახის:

I. ფორმები, რომლებიც გვიჩვენებენ დამოკიდებულებას მოლაპარაკესა და იმას შორის, რის შესახებაც ლაპარაკია:

1. მოლაპარაკე რისაზე შესახებ შეიძლება ლაპარაკობდეს:

ა) როგორც ნამდვილ მომხდარზე, მიმდინარეზე ან მოსახდენზე;

ბ) როგორც განსაზღვრული პირობის არსებობისას შესაძლებელზე, ან

გ) როგორც სასურველსა და სავალდებულოზე.

2. ის, რის შესახებაც ლაპარაკია, შეიძლება იყოს:

<sup>1</sup> Н. Дурно во. Повторительный курс грамматики, გვ. 26.

ა) მოლაპარაკის საუბრის ერთდროული,

ბ) ამ საუბრის წინსწრებული, ან

გ) მომავალში მოსალოდნელი.

II. ფორმები, რომლებიც გვიჩვენებენ შესიტყვების შემადგენელ სიტყვათა შორის დამოკიდებულებებს. ამაში შედიან (რუსულში):

ა) ზმნის პირისა და რიცხვის ფორმები,

ბ) სქესა და რიცხვში შეთანხმების ფორმები (ე. წ. პრედიკატიული შეთანხმება).

გ) სქესში, რიცხვში და ბრუნვაში შეთანხმების ფორმები (ე. წ. ატრიბუტული შეთანხმება).

დ) არსებით სახელთა ბრუნვის ფორმები<sup>1</sup>.

ეს სქემა და ამასთან ერთად ადრე აბაკუმოვიდან დამოწმებული ციტატი<sup>2</sup>, ერთი შეხედვით, თითქოს ეწინააღმდეგებიან ჩვენს ნათქვამს იმის შესახებ, რომ ნ. დურნოვო არ ცნობს სიტყვათცვლისა და სიტყვათწარმოების ფორმებს.

მართლაც და, ამ სქემის I ნაწილში განხილულია სიტყვათწარმოებითი ფორმები, II-ში კი სიტყვათცვლის ფორმები. მაგრამ ეს ასეა მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში ამ სქემის I ნაწილი, რომელშიაც ზმნის დროისა და კილოს ფორმებია გაერთიანებული, სრულიადაც არაა ის, რაც ფორტუნატოვთან ან მისი სკოლის წარმომადგენლებთან სიტყვათწარმოებით ფორმებში იგულისხმება. დურნოვოსთან გვაკლია რუსული ზმნისათვის ესოდენ დამახასიათებელი ასპექტის ფორმა. რა თქმა უნდა, აქვე უნდა ყოფილიყო გვარიც; დურნოვოსთან სრულიად არა გვაქვს სახელების სიტყვათწარმოებითი ფორმები: არსებითი სახელები ანუ სახელწოდებითი სიტყვები (ზოგადი და კერძო ქვეჯგუფებით), რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები და სხვა. ზენი აზრით, აქვე უნდა მოთავსებულიყო ისეთი სიტყვათწარმოებითი ფორმები, როგორცაა ე. წ. კნინობითი (стол-иѣ, дом-иѣ), მოფერებითი (доч-енька, реч-онька), დამამკირებელი (вор-ишка, колдун-

<sup>1</sup> Н. Дурново, Повторительный курс..., გვ. 34.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 34.

მსახი). და სხვ. ესეც რომ არ იყოს, ავტორი პირდაპირ არსად ლაპარაკობს სიტყვათცვლისა და სიტყვათწარმოებითი ფორმების შესახებ.

თვითონ ავტორი ამ სქემას ასე განმარტავს: „სიტყვებს, რომელთაც აქვთ პირველი სახის ფორმები, ეწოდებათ ზმნები, ზანებს აგრეთვე აქვთ პირსა და რიცხვში (II ა) და სქესსა და რიცხვში (II ბ) შეთანხმების ფორმები. სიტყვებს, რომელთაც აქვთ მხოლოდ II სახის ფორმები, II ა-ს გარდა, ეწოდება სახელები. ისინი იყოფიან არსებით სახელებად, რომელთაც აქვთ ბრუნვის ფორმები, და ზედსართავ სახელებად, რომელთაც აქვთ: 1) ბრუნვისა, სქესსა და რიცხვში შეთანხმებისა და 2) სქესსა და რიცხვში შეთანხმების ფორმები.

ამ ფორმათა გარდა, რომლებიც გადმოგვცემენ ცალკეულ სიტყვათა სხვადასხვაგვარ ცვლას, იმავე მიზანს — შესიტყვების შენადგენელ სიტყვათა შორის დამოკიდებულების აღნიშვნას — ემსახურება ზოგი უცვლელი სიტყვის ფორმები: ა) ზნნიზედები. ბ) შედარებითი ხარისხი, გ) დეებრიჩასტიე, დ) ზმნის განუსაზღვრელი ფორმა<sup>1</sup>.

მაშასადამე, ენაში გვაქვს: 1. ზმნები, 2. არსებითი სახელები, 3. ზედსართავი სახელები, 4. ზნნიზედები, 5. შედარებითი ხარისხი, 6. „დეებრიჩასტიე“, 7. ზმნის განუსაზღვრელი ფორმა და ზემოჩამოთვლილი ნაწილობრივი სიტყვები. ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ არა თუ თავი ვერ დავაღწიეთ ნეტყველების ნაწილთა ტრადიციულ კლასიფიკაციას. არამედ წავედით გაცილებით უკან ამ კლასიფიკაციიდან. რადგან შედარებითი ხარისხი მეტყველების ნაწილად ლოგიკისტ გრამატიკოსებსაც კი არ განოუცხადებიათ.

განცვიფრებას იწვევს ავტორის შემდეგი განცხადება: „შესიტყვების შენადგენელ სიტყვათა შორის დამოკიდებულების აღნიშვნას ემსახურება ზოგი უცვლელი სიტყვის ფორმა: ა) ზნნიზედები, ბ) შედარებითი ხარისხი. საინტერესოა, რა დამოკიდებულებას აღნიშნავს რომელიმე *автора*, *здесь* და *места*ნანი, ან ამ სიტყვების რა ფორმებზე შეიძლება ვილა-

<sup>1</sup> Н. Дурново, Повторительный курс..., გვ. 34.

სარაკოთ<sup>1</sup>. თუ აქ ფორმაში ნ. დურნოვო გულისხმობს იმას, რომ შედარებითი ხარისხი მოითხოვს განსაზღვრულ ბრუნვას, მაშინ ფორმიან სიტყვებში აღმოჩნდება ყველა წინდებულიც, რომლებიც აგრეთვე განსაზღვრულ ბრუნვას მოითხოვენ.

ნ. დურნოვო სიტყვათა კლასიფიკაციას წიგნის ბოლოს აძლევს<sup>2</sup>. ჩვენ ეს კლასიფიკაცია სქემის სახით წარმოვადგინეთ. (იხ. სქემა.)

მოცემული სქემა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ამ კლასიფიკაციის საფუძველი, უპირველესად ყოვლისა, მნიშვნელობის უაქტორია. თუმცა ყურადღება ექცევა სიტყვის ფორმასაც და მის სინტაქსურ ფუნქციასაც. ერთა სიტყვით, იგი მეტად თავიკებური ცდაა, ერთდროულად სამი ნიშანი დაედოს საფუძველად სიტყვათა დაყოფას (სემასიოლოგიური, სინტაქსური და მორფოლოგიური), რამაც განაპირობა მისი მცდარობა. ჩვეულებრივ, კლასიფიკაცია უნდა იყოს მარტივი და აღნუსხავდეს საგნის ან მოვლენის არსებით მხარეს, დურნოვოს კლასიფიკაციას კი, სირთულისა და სიძნელის გარდა, ის ნაკლიც აქვს, რომ სწორედ არსებითს—სიტყვის ფორმას—აქცევს ნაკლებ ყურადღებას.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ნ. დურნოვო ბევრს უთმობს ლოგიკისტურ გრამატიკას. აი რას წერს იგი ერთს სტატიაში: „ფორმალური გრამატიკა არა თუ არ უარყოფს ენის „ლოგოსის“ შესწავლას, არამედ სწორედ ასეთ შესწავლას იწახავს თავის ამოცანად, ამის საშუალებით კი ცდილობს თვით აზროვნების მუშაობისა და ევოლუციის კანონების აღმოჩენას“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. А. М. Пепковскии, Исконная и научная грамматика, Берлин, 1922. ил. 2-е. გვ. 13, რომელშიც ხვნიხედები, შედარებითი ხარისხი, დეკლინაციები... განიხილებიან არაინტაქსური ფორმის მქონე სიტყვებად.

<sup>2</sup> И. Дурново, Повторительный курс..., გვ. 108—110.

<sup>3</sup> И. Дурново, В защиту логической формальной грамматики, жур. „Родной язык в школе“, кн. 3-я, 1923.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ლ. შჩერბა, რომელიც ნ. დურნოვოს მიერ „ფორმალური სკოლის“ მოწინააღმდეგეადა მიჩნეული<sup>1</sup>, კარგ შეფასებას აძლევს მის (დურნოვოს) მოსაზრებებს<sup>2</sup>.

### 8. ნ. დურნოვი

დერეჟინის კონცეფციის დაფასებისათვის საჭიროა განვიხილოთ მისი არა მხოლოდ საენათმეცნიერო, არამედ მეთოდოლოგიური ხასიათის შრომებიც.

რადგან მან სამეცნიერო მოღვაწეობა მეთოდოლოგიაში მუშაობით დაიწყო, ჩვენც მისი თვალსაზრისის განხილვას აქედან შევუდგებით.

1917 წელს დერეჟინი წიგნად ბეკდავს პეტერბურგის უნივერსიტეტში წაკითხულ სალექციო კურსს „რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია საშუალო სკოლაში“. წიგნში ავტორი მიმოიხილავს რუსული გრამატიკული აზროვნების ისტორიას და მას ყოფს ორ პერიოდად: 1. რუსული გრამატიკული აზროვნების ჩასახვიდან პოტებნიამდე, 2. პოტებნიას შემდეგ.

თვითონ დერეჟინი მეორე პერიოდის, ე. წ. „ნეოგრამატიკული“ პერიოდის აპოლოგეტია. იგი მოითხოვს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში გატარებულ იქნეს „ნეოგრამატიკული“ პრინციპი, როგორც ერთადერთი მეცნიერული პრინციპი. „საშუალო სკოლამ, წერს დერეჟინი, ბოლოს და ბოლოს, კატეგორიულად უნდა უარყოს ლოგიკურ-გრამატიკული თეორია, იგი უნდა გადავიდეს მშობლიური ენის მეცნიერულ შესწავლაზე, რაც მაშინვე მოუღებს ბოლოს სმირნოვსკებსა (რომლის „ეტიმოლოგია“... 1917 წელს 27-ე ჯერ, ხოლო „სინტაქსი“... მე-20 ჯერ გამოვიდა). აბრამენკოებსა და სხვებს და, გამოიწვევს ახალი უფრო საინტერესო ლიტერატურის შექმნას. დაე, დიდება და პატივი საშუალო სკოლის სულიერი ცხოვრებისადმი ხელმძღვანელ და პასუხისმგებელ იმ მუშაკებს, რომლებიც პირველნი

<sup>1</sup> Н. Дурново, Формальная школа. Литературная энциклопедия в двух томах, т. II стр. 1038.

<sup>2</sup> Л. Щерба. О частях речи в русском языке. Сборник „Русская речь“, Л., 1928.

გაწყვეტენ კავშირს ჩამორჩენილობასთან და გადაკრით წაიყვანენ სკოლას ახალი გზით<sup>1</sup>.

ავტორის ეს სიტყვები მოწოდების მსგავსად გაისმის, რადგან თვით „სათუფლებში“ ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი ამ ახალი გზის შესახებ. „სათუფლებში“ საერთოდ მეტად ცოტა აღგილი, სულ რაღაც 7 გვერდი, ეთმობა ავტორის პოზიტიურ მსჯელობას.

1918 წელს დერჟავინი ბეჭდავს სასკოლო სახელმძღვანელოს „Маленькая грамматика-ს“ სახელწოდებით, რომელშიაც იძლევა თავის თვალსაზრისს.

დერჟავინი იწყებს მეტყველების განსაზღვრით. იგი წერს: „სიტყვები, რომლებშიც ადაშიანი გამოხატავს თავის აზრს, თუ აზრებს, ქმნიან მეტყველებას: მაშასადამე, ყოველგვარ, საუბარს რაიმეს შესახებ ეწოდება მეტყველება<sup>2</sup>“.

რადგან მეტყველებას სიტყვები ქმნიან, საჭირო ხდება თვით სიტყვის განსაზღვრა. სიტყვის განსაზღვრისათვის, შენიშნავს ავტორი, საჭიროა ვიცოდეთ, რომ საერთოდ ყოველ საგანს აქვს ორი მხარე: შინაგანი და გარეგანი, ანუ ფორმა და მნიშვნელობა. სიტყვის შინაგან მხარეს ქმნის მისი მნიშვნელობა ან აზრი, გარეგანს კი—მისი შემადგენელი ბგერები. „ყოველი სიტყვა, წერს დერჟავინი, მეტყველებაში არის მეტყველების ნაწილი, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ენაში ძალიან ბევრი სიტყვაა, გრამატიკამ იცის სულ მეტყველების თერთმეტი ნაწილი: 1. არსებითი სახელი, 2. ზედსართავი სახელი, 3. ნაცვალსახელი, 4. რიცხვითი სახელი, 5. ზმნა, 6. განუსაზღვრელი ფორმა ზმნისა, 7. მიმღეობა, 8. ზმნიზედა, 9. დეჰრიჩასტიე, 10. წინდებული, 11. კავშირი<sup>3</sup>. იგი განაგრძობს: „როგორი ბგერიც არ უნდა იყოს ჩვენს ენაში სიტყვები, ეს სიმრავლე ადვილად შეიძლება დაიყოს მნიშვნელობისა

<sup>1</sup> И. С. Державин, Основы преподавания русского языка и литературы в средней школе. Петроград, 1917, гл. 315.

<sup>2</sup> Слова, в которых человек выражает свою мысль или ряд мыслей, образуют собой речь; следовательно, всякий разговор о чем-либо называется речью (И. С. Державин, Маленькая грамматика, М. 1913, гл. 8).

<sup>3</sup> იქვე, გვ. 35.

და ფორმის მიხედვით ურთიერთ შორის მსგავს თერთმეტ ქვეჯგუფად (ხაზი ჩვენია, ა. ფ.), დერეჟინის აზრით: „ფორმის ყოველი ცვლა იწვევს მნიშვნელობის ცვლას“ (იქვე). მას საილუსტრაციოდ მოაქვს სიტყვები *ишаах* და *ишаахка*, *доа* და *доаааа*. ამ სიტყვებში ფორმის შეცვლამ გამოიწვია მნიშვნელობის შეცვლაო.

არას ვამბობთ იმაზე, რომ ფორმის ცვლა ყოველთვის ვერ იწვევს მნიშვნელობის ცვლას და პირუკუ. მაგრამ არ შეიძლება არ ვიკითხოთ, თუ როგორ შეიძლება ზემოჩამოთვლილი თერთმეტი ჯგუფის მიხედვით დაიყოს რუსული ენის ყველა სიტყვა ისე, რომ თვითეულ ჯგუფში შემავალი სიტყვა ერთმანეთს ემსგავსებოდეს როგორც ფორმის, ისე შინაარსის მიხედვით? ასეთი კითხვის დასმის სამართლიანობა, იქიდანაც ჩანს, რომ თვით დერეჟინის აზრით: *лето*, *ишаа*, *уа*, *иоирхгунья* ერთმანეთს ემსგავსება მნიშვნელობის მიხედვით, გადმოგვცემენ საგნის სახელს. ასევე ერთმანეთის მსგავსია სიტყვები: *красное*, *густое*..., რადგან აღნიშნავენ საგნის თვისებას. ამრიგად, დასჯენის ავტორი, როცა ჩვენ ვამბობთ, რომ განვასხვავებთ მეტყველების თერთმეტ ნაწილს, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ენის ყველა სიტყვას ვყოფთ მნიშვნელობის მიხედვით თერთმეტ ცალკეულ ჯგუფად. თუ ჩვენ მოგვიხდება განვსაზღვროთ, რომელ მეტყველების ნაწილს წარმოადგენს მოცემული სიტყვა, უპირველესად ყოველისა, მის მნიშვნელობას ვაქცევთ ყურადღებას და შემდეგ განვსაზღვრავთ, რომელ ჯგუფს განეკუთვნება იგი<sup>1</sup>. ერთი სიტყვით, ავტორი მეორე გვერდზევე განუდგა იმას, რაც წინა გვერდზე თქვა: თუ 35-ე გვერდზე მეტყველების ყველა სიტყვა ფორმისა და მნიშვნელობის მიხედვით მსგავს თერთმეტ ჯგუფს ქმნიდა, 36-ე გვერდზე ამ ჯგუფებს ქმნის მსგავსება მხოლოდ მნიშვნელობის მიხედვით.

უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი ბოლო განცხადებაში უფრო თანმიმდევრულია: რუსული ენის სიტყვათა ნაჩვენებ

<sup>1</sup> იქვე, გვ. 35.

თერთმეტ ჯგუფად დაყოფა შეიძლება მხოლოდ მნიშვნელობის ფაქტორზე დაყრდნობით.

ფორმის კრიტერიუმი რომ ავტორმა საბოლოოდ მოიშორა, ეს ჩანს მის მიერ მეტყველების ცალკეული ნაწილის განსაზღვრიდანაც. დერჟავინის აზრით: „ყოველი სიტყვა, რომელიც გამოხატავს საგნის სახელს, არის არსებითი სახელი“ (იქვე). „ყოველი სიტყვა, რომელიც გადმოგვცემს საგნის თვისებას, აოის ზედსართავი სახელი“ (გვ. 37) და ა. შ.

უფრო საინტერესოა დერჟავინის მიერ არსებითი სახელების დაყოფა სქესის მიხედვით. იგი წერს: „СТРЕКОЗА, ЛЕТО, СТОЛ, ДОМ და სხვა არსებითი სახელებია; მაგრამ ისინი ერთიანეორეს მნიშვნელობის მიხედვით სრულიად არ გვანან. ДОМ, СТОЛ—მამრობითი სქესის არსებითი სახელებია, СТРЕКОЗА, ЗИМА, МОИРЫСЬЯ — მდედრობითი სქესისა“ (გვ. 36—37, ხაზი ჩვენია. ა. ფ.). გამოდის, რომ არსებითი სახელების სქესის მახედვით დაყოფას საუუძველად მნიშვნელობის ფაქტორი სდებია.

ავტორი განაგრძობს: „თუ ამ სიტყვათა გარეგან ფორმას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ: მამრობითი სქესის არსებითი სახელები ბოლოვდებიან მაგარ თანხმოვანზე (ДОМ, ЗИМНИЕ...), რბილ თანხმოვანზე (ЛЕПЫ) და შ-ზე (МУРАВЕИ. СОЛОВЕИ...); მდედრობითი სქესის არსებითი სახელები ბოლოვდებიან ა-ზე (СТРЕКОЗА, ЗИМА...), ჟ-ზე (МОИРЫСЬЯ) და სივა“ (გვ. 37).

მაშასადამე, ЗИМА და ДОМ ერთიმეორისგან განსხვავდებიან ფორმის მიხედვითაც და მნიშვნელობის მიხედვითაც. ამიტომ საკვირველია, რომ ეს ორი სიტყვა, და მსგავსი სხვა სიტყვები, ავტორმა სხვადასხვა მეტყველების ნაწილს რატომ არ მიაკუთვნა? მეტყველების ნაწილთა ურთიერთისაგან განსხვავებისათვის მასთან ხომ ფორმისა და მნიშვნელობის მიხედვით განსხვავება იყო საჭირო!

ავტორი მეტად თავისებურად განსაზღვრავს სიტყვის ფორმას. იგი წერს: „ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ სიტყვას აქვს გარეგანი ფორმა და შინაგანი მნიშვნელობა. სიტყვის ფორმას ქმნის ფუძე და დაბოლოება. ფუძეა სიტყვის ნაწილი დაბოლოების გარეშე. მაგალითად, სიტყვებში: КОТ-а, КОТ-ы,

КОТ-ОМ და ა. შ. КОТ არის ფუძე: а,-у,-о-მ ბრუნვათა დაბოლოებებია\* (გვ. 42). ამრიგად, ფორმა ყოფილა სიტყვა, თუ იგი ფუძისა და დაბოლოებისაგან შედგება.

ფორმის ასეთი განსაზღვრა არათრის მომცემია, რადგან ნ. დერჟავინი არათერს ამბობს ფუძისა და დაბოლოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. არის თუ არა მათ შორის განსხვავება ფორმის თვალსაზრისით და რა ქმნის ამ განსხვავებას; როგორია მიმართება ფუძესა და დაბოლოებას შორის, ერთი მხრით, ДОМ-а-ში და, მეორე მხრით, ДОМ-ник-ში; არის თუ არა ამ უკანასკნელთა შორის განსხვავება და, თუ არის, რა ქმნის ამ განსხვავებას და მრავალი სხვა.

ასეთია მოკლედ ძირითადი დებულებები, რომლებიც ავტორმა მოგვცა პირველ სასკოლო სახელმძღვანელოში.

1918 წელსვე გამოვიდა აგრეთვე დერჟავინის მეორე წიგნი: „Учебник русской грамматики“.

წიგნის შესავალში ავტორი ეხება ენის შესწავლასთან დაკავშირებით ზოგად საკითხებს და იძლევა ენათმეცნიერების დარგებად დაყოფას. მისი აზრით, ენათმეცნიერებაში შედის: ფონეტიკა, ანუ მოძღვრება ბგერების შესახებ; მორფოლოგია—მოძღვრება სიტყვის ფორმების შესახებ; სინტაქსი—მოძღვრება გრამატიკული წინადადების შესახებ; სემასიოლოგია—მოძღვრება სიტყვის მნიშვნელობის შესახებ; ეტიმოლოგია—მოძღვრება სიტყვის შედგენილობის შესახებ. გრამატიკა მეცნიერებაში ეწოდება საკუთრივ მხოლოდ სიტყვის ფორმების შესახებ მოძღვრებას; იგი მოიცავს მორფოლოგიასა და სინტაქსს. უფრო ფართო გაგებით, განსაკუთრებით სასკოლო პრაქტიკაში, გრამატიკა ეწოდება ენათმეცნიერების სამივე დარგს: ფონეტიკას, მორფოლოგიასა და სინტაქსსო.

აქვე იძლევა დერჟავინი სიტყვის განსაზღვრას: „სიტყვა არის, ადამიანის მეტყველების ისეთი ბგერათშეერთება (звукосочетание) ან ცალკეული ბგერა, რომელთანაც ჩვენს ცნობიერებაში ყოველ დროს დაკავშირებულია საგნის განსაზღვრული წარმოდგენა: стол, дом და სხვა“<sup>1</sup>.

სიტყვის ასეთი განსაზღვრა უვარგისია. ამ განსაზღვრის ფსიქოლოგისტურ ხასიათს რომ თავი დავანებოთ, იგი არ

<sup>1</sup> И. С. Державин, Учебник русской грамматики, ч. I. Основы фонетики и морфологии, Петроград, 1918, гл. XVI—XVII.

გამოდგება ისეთი სიტყვების მიმართ, რომლებთანაც ჩვენს ცნობიერებაში არაფიქსირებული საგნის წარმოდგენა არაა დაკავშირებული (მაგ.; სიკეთე, სიხარული, სმენა, გრძნობები და სხვა).

ამ წიგნში უფრო თავისებურადაა დასმული ფორმის საკითხი. დერკაეინი მიუთითებს, რომ სიტყვას აქვს ორი მნიშვნელობა: მატერიალური და ფორმალური. „სიტყვა, არის რა სიმბოლო, ამავე დროს გამოდის, როგორც საგნის წარმოდგენის მოადგილე; როცა სიტყვის წარმოდგენას ვაიგივებთ საგნის წარმოდგენასთან, ამ შემთხვევაში ჩვენ ვლახავართ სიტყვის საგნობრივ, მატერიალურ, ანუ რეალურ მნიშვნელობაზე. და ბოლოს, მეტყველებაში სიტყვა გამოდის ჩვენი აზრის მიერ დადგენილ საგანთა შორის არსებული ურთიერთობის მაჩვენებლის როლში. ამ შემთხვევაში ვლახავართ სიტყვის ფორმალურ მნიშვნელობაზე<sup>1</sup>.”

ფორმალური მნიშვნელობის თვალსაზრისით, შენიშნავს დერკაეინი, სიტყვა იყოფა ორ ნაწილად: 1) ძირითადი ნაწილი (исповная часть), რომელიც უცვლელია ყოველთვის და 2) ფორმალური ნაწილი, რომელიც იცვლება სიტყვის ფორმალური მნიშვნელობის ცვლასთან ერთად. ნიმუშად დერკაეინს მოაქვს შემდეგი წინადადებები: я живу в городе, я поехал в город, я расстался с городом. ამ წინადადებებში ფორმალური მნიშვნელობის თვალსაზრისით შეინიშნება უცვლელი ნაწილი (город) და ცვლებადი ნაწილები (-е, -у, -ом). როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა დავამყაროთ я-სა და город-ს შორის, город რჩება უცვლელი, იცვლება სხვა ნაწილები.

город-ს ეწოდება ფუძე, სხვა ნაწილებს — ფორმალური კუთვნილება.

<sup>1</sup> „Будучи сымволом, слово вместе с тем выступает и в роли заместителя представления предмета, когда представление слова мы отождествляем с представленным предметом: в этом случае мы говорим о вещественном, материальном, или реальном значении слова. Наконец, в речи слово выступает и в роли показателя отношений между предметами, устанавливаемых нашим мышлением; в этом случае мы говорим о формальном значении слова“ (Н. С. Деркавини, Учебник., გვ. XX).

სიტყვის ძირითადი და ფორმალური კუთვნილება ქმნის მას, რასაც გრამატიკაში ეწოდება სიტყვის ფორმა<sup>1</sup>.

ავტორის აზრით, ფორმა არა აქვთ შორისდებულებს, რადგან მათ არ შეუძლიათ გამოეყონ ფუძე და ფორმალური კუთვნილება. ფორმის ასეთი განსაზღვრით ავტორი იპყრობს ფორტუნატოვის დებულებებს.

დერეჟინბა ამ წიგნში მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციაც, შედარებით „Маленькая грамматика“-სთან, შეცვლილი სახით მოგვცა.

იგი წერს: ჩვენი მეტყველების ყველა სიტყვა, როგორც მეტყველების ნაწილები, ფორმისა და მნიშვნელობის მიხედვით, შეიძლება დაიყოს ჯგუფებად (группам), რომლებსაც საკუთრივ მეტყველების ნაწილებს უწოდებენ: 1. არსებითი სახელი, 2. ზედსართავი სახელი, 3. ზმნა, 4. განუსაზღვრელი ფორმა ზმნისა, 5. მიმღეობა, 6. ზმნიზედა, 7. „დეპერიჩასტიე“, 8. წინდებული, 9. კავშირი<sup>2</sup>.

სხვაობა აშკარაა: „Маленькая грамматика“-ში გვექონდა მეტყველების 11 ნაწილი, აქ გვაქვს 9; გვაკლია რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი. რიცხვითი სახელების შესახებ ავტორი წერს, რომ ეს სიტყვები ფორმით გვიანან ნაწილობრივ არსებით სახელებს, ნაწილობრივ—ზედსართავ სახელებს, ანაჲ დროს ორივეგან განსხვავდებიან მნიშვნელობის მიხედვით. ფორმის თვალსაზრისით რიცხვითი სახელები არ ქმნიან სიტყვათა ისეთ ცალკეულ ჯგუფს, როგორსაც, მაგალითად, არსებითი სახელები... ერთი ჯგუფი რიცხვითი სახელებისა შეიძლება განეკუთვნოს არსებით სახელებს, მეორე—ზედსართავებს. ამიტომაც რიცხვით სახელებს ჩვენ ცალკე არ გამოვეყოფთ და განვიხილავთ არსებით და ზედსართავ სახელებთან ერთად: რაოდენობითი რიცხვითი სახელები განიხილებიან არსებით სახელებთან, რიგობითები—ზედსართავებთან<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იკვე. გვ. XXII.

<sup>2</sup> იკვე, გვ. 23.

<sup>3</sup> იკვე, გვ. 136.

ასეთსავე განმარტებას იძლევა ავტორი ნაცვალსახელების შესახებ: „ესაა სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ (ინიჰა-უაიოტ) საგნის ან მისი თვისების სახელს, ანუ რომლებიც როგორც მნიშვნელობის, ისე ფორმის მიხედვით შეიძლება მიეკუთვნონ არსებით სახელებს, ან ზედსართავეებს. ამიტომ მათ გრამატიკაში ეწოდებათ: 1. ნაცვალსახელი-არსებითი (местоимение-существительное) და ნაცვალსახელი-ზედსართავეები (местоимение прилагательное). ეს განაპირობებს იმას, რომ ისინი არ გამოიყოფიან ცალკე მეტყველების ნაწილად და განიხილებიან არსებით სახელებთან და ზერსათავ სახელებთან ერთად“<sup>1</sup>.

სწორია ნაცვალსახელისა და რიცხვითი სახელის ცალკე მეტყველების ნაწილად გამოყოფაზე ხელის აღება, საფუძვლიანია ავტორის მიერ მოცემული დასაბუთებაც. პაგრამ არ შეიძლება არ დაგვებადოს კითხვა: თუ ნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებს მეტყველების ნაწილებიდან გამოვრიცხავთ იმ საბუთით, რომ ისინი მნიშვნელობითა და ფორმით გვანან ან ზედსართავ სახელებს, ან არსებით სახელებს, ანავე საბაბით რატომ არ გამოვრიცხავთ მეტყველების ნაწილებიდან მიმღეობას, რომელიც აგრეთვე ორი მეტყველების ნაწილის (ზმნისა და ზედსართავის) მიჯნაზე დგას? ანავე დროს უფრო საკვირველია ზმნის განუსაზღვრელი ფორმის გამოცხადება ცალკე მეტყველების ნაწილად.

როგორც ვნახეთ, ავტორმა მეტყველების ნაწილთა გამოყოფას საფუძვლად დაუდო ფორმისა და მნიშვნელობის ფაქტორი. მისი აზრით, ფორმისა და მნიშვნელობის მიხედვით, რუსულში სიტყვის 9 ჯგუფი (მეტყველების ნაწილი) გამოიყოფა. ამიტომ საინტერესოა წინდებულისა და კავშირის ავტორისეული განსაზღვრა.

დერჟავინი წერს: „არა აქვთ რა დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ეს სიტყვები (с, в, в, от) გამოხატავენ სხვა სიტყვებს შორის დამოკიდებულებებს. ამ არასრულმნიშვნელოვან (незнаменательные) ანუ დამხმარე (служебные) სიტ-

<sup>1</sup> Н. С. Д е р ж а в и н, Учебник..., გვ. 142.

ყვებს, რომლებიც მეტყველებაში გამოხატავენ საგნებს შორის ამა თუ იმ დამოკიდებულებას, ეწოდებათ წინდებულები<sup>1</sup>.

საკვირველია, რაღა აქცევს წინდებულებს სიტყვებად, როცა მათ არა აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა (იგულისხმება, რომ არა აქვთ ფორმა); როგორ შეიძლება მათი მოთავსება არსებითი სახელების, ზმნების და სხვათა გვერდით იმ კლასიფიკაციაში, რომელშიაც სიტყვები „ერთიანდებიან მნიშვნელობისა და ფორმის მიხედვითო“.

მეტყველების მომსახურე მეორე ნაწილს წარმოადგენს კავშირი. „კავშირი ეწოდება უცვლელ მომსახურე მეტყველების ნაწილს, რომელიც მეტყველებაში ურთიერთთან აკავშირებს როგორც ცალკეულ სიტყვებს, ისე მთელ ფრაზას“<sup>2</sup>. აქაც, ისე როგორც წინდებულის განსაზღვრის დროს, ავტორი უგულებელყოფს მის მიერ მოცემულ ძირითად საკლასიფიკაციო ნიშანს (მნიშვნელობასა და ფორმას) და შემოაქვს ახალი ნიშანი — „სამსახური“, სინტაქსური ფუნქცია.

უფრო ქვემოთ ავტორი ლაპარაკობს ე. წ. „მეტყველების მომსახურე ნაწილაკებზე“ (служебные частицы речи). ასეთი რამ „Маленькая грамматика-ში“ არა აქვს. ავტორი არაფერს გვეუბნება მათი ფორმისა და მნიშვნელობის შესახებ. ვგებულობთ მხოლოდ, რომ „მომსახურე მეტყველების ნაწილთა“ (წინდებულებისა და კავშირების) გვერდით უნდა დავაყენოთ აგრეთვე მეტყველების მომსახურე ნაწილაკები. გამოიყოფა შემდეგი ნაწილაკები:

1. გამაძლიერებელი: даже, же...

2. კითხვითი: ли, разве...

3. ბრძანებითი: ка, ну...<sup>3</sup>

არაფერს ამბობს ავტორი მეტყველების ნაწილებსა და ნაწილაკებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 222.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 231.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 250.

ავტორის აზრით, „მეტყველების მომსახურე ნაწილების“ (წინდებულებისა და კავშირების) გვერდით უნდა დავაყენოთ ჩამოთვლილი „მომსახურე ნაწილაკები“. მაგრამ ჩვენ არაფერი ვიცით, რატომ უნდა დავაყენოთ, რა ნიშნის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ნ. დერჟავინი შორისდებულებს სამართლიანად არ მიიჩნევს მეტყველების ნაწილად, „რადგან ისინი არ გადმოგვცემენ არც საგანსა და არც მის თვისებას და რადგანაც ისინი საერთოდ არ გადმოგვცემენ რაიმე აზრს“<sup>1</sup>.

ასეთია მოკლედ დერჟავინის ნააზრევი.

1923 წელს დერჟავინმა ხელმეორედ გამოსცა თავისი მეტოდის სახელმძღვანელო<sup>2</sup>. ეს გამოცემა წარმოადგენს პირველი გამოცემის საფუძვლიან გადამუშავებას. აქ ავტორი ჩერდება სასკოლო პროგრამებზე, დაწყებული ე. წ. „იგნატიევის“ პროგრამებიდან, და დამთავრებული 1921 წლის პროგრამებით. ავტორი აღნიშნავს იმ შეცდომებს, რომლებიც დაშვებული იყო „იგნატიევის“ პროგრამებში და მხარს უჭერს შოსკოვის 1917 წლის მასწავლებელთა თათბირის რეზოლუციას, რომელიც მოითხოვდა: „არ უნდა ვეწინააღმდეგოთ, რომ საშუალო სკოლაში განხორციელებულ იქნეს სწავლება იმ გრამატიკის მიხედვით, რომელიც დაემყარება ფორმალურ-გრამატიკულ თვალსაზრისს, რადგან ეს თვალსაზრისი უფრო უპასუხებს მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობას“. დერჟავინის აზრით, 1919 წელსა და 1921 წელს მიღებული პროგრამები ყველაზე უფრო შეეთარდებიან გრამატიკის სწავლების საჭიროებას, რადგან ეს პროგრამები მოითხოვენ: „მორფოლოგიაში გაბატონებული იქნეს ე. წ. ფორმალური თვალსაზრისი, რომელიც ყველაზე უფრო უპასუხებს ენის შესახებ მეცნიერების ნოთხოვნებს. ამ თვალსაზრისის მიხედვით სიტყვები ჯგუფდებიან (классифицируются)

<sup>1</sup> Н. С. Державин, Учебник..., 242.

<sup>2</sup> Н. С. Державин, Основы методики преподавания русского языка и литературы в трудовой школе, часть II, Преподавание грамматики, М.—Л., 1923.

არა მნიშვნელობის, არამედ ფორმალური (გრამატიკული) ნიშნების, ე. ი. მათი ცვლილების მიხედვით<sup>1</sup>.

ამრიგად, დერეჟავინი სრულიად შეუერთდა ფორმალურ-გრამატიკულ თვალსაზრისს. იგი აცხადებს: „ძველი და ხანგრძლივი ქიშპი გრამატიკის სასკოლო სწავლებაში ორ მიმართულებას შორის ბოლოს და ბოლოს დამთავრდა ნეო-გრამატიკული, ანუ მეცნიერული გრამატიკის გამარჯვებით. პრინციპული საკითხი სასკოლო გრამატიკული კურსის ხასიათის შესახებ შეიქმნა ჩაითვალოს გადაწყვეტილად მეცნიერების სასარგებლოდ. ამ ფაქტის მნიშვნელობა სრულიად ნათელია, იგი სკოლის აღორძინების ერთ-ერთი ელემენტია“<sup>2</sup>.

ერთი სიტყვით, დერეჟავინი „წმინდა წყლის“ ფორმალისტი გრამატიკოსია.

კითხვობით ამ სტრიქონებს და გიკვირთ: „იგნატიევის“ პროგრამების „განმარტებითი ბარათის“, „Маленькая грамматика-ისა“ და „Учебник“-ის ავტორმა როგორ მოასწრო თვალსაზრისის ასე შეცვლა; მაგრამ უფრო საკვირველი ისაა, რომ სწორედ ამ წელს გამოდის „Маленькая грамматика“-ს მე-3 გამოცემა; მომდევნო 1924 და 1925 წლებში გამოდის „Учебник“-ის ახალი გამოცემები და მათში არავითარი ცვლილებები არაა შეტანილი.

კითხვა ისმის: რა მოხდა, ერთი მხრით, 1923 წელს გამოსული „Основы...“-ის ავტორ ნ. დერეჟავინსა და, მეორე მხრით, „Маленькая грамматика-ს“-ა და „Учебник-ის“ ავტორ ნ. დერეჟავინს შორის, რატომ ვერ ეთანხმებიან ისინი ერთმანეთს?

ამ კითხვაზე პასუხი ისევ „Основы-ს“ დასკვნითს ნაწილში უნდა ვეძიოთ. ნ. დერეჟავინი აქ მიუთითებს, რომ 1917 წლიდან მოკიდებული ფორმალური გრამატიკა ავიწროებს ძველ, ლოგიკისტურ, მიმართულებას. დღეს ფორმალური მიმართულება გამარჯვებას ზეიმობს, მაგრამ ახლა თვითონ იგი იყოფა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ჯგუფად: ფორმალურ-გრამატი-

<sup>1</sup> Н. С. Д е р ж а в и н, Основы... 1923, გვ. 127.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 135.

კულ და ფორმალურ-ფსიქოლოგისტურ ჯგუფებად. ამ ორ ჯგუფს შორის უთანხმოების წყარო, ნ. დერეჟინის აზრით, ისაა, რომ, „ბგერითი შედგენილობის გვერდით სიტყვაში შეიძინევა სხვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ეტიმოლოგიური შედგენილობა (წინსართი, სუფიქსი, ფლექსია, ფუძე, დაბოლოება), რომელშიაც მოცემულია სიტყვის თავისებური ბიოგრაფია და ბიოლოგია; მისი ისტორია, მისი აქტიური ენერგეტიკა მეტყველება-აზროვნების პროცესში, მისი შემოქმედებითი ცხოვრების უნარი“<sup>1</sup>.

ამ ბზარეზე დაკვირვება, წერს დერეჟინი, წარმოადგენს, უეჭველია, ერთ მეტად მნიშვნელოვანსა და ფასეულს სასკოლო გრამატიკის კურსის ელემენტთა შექმნის თვალსაზრისით: ფასეულს იმ მიმართულებით, რომ ეს მზარეები გვიხსნიან სიტყვის, როგორც აზრის გამობატვის ფორმის, ცხოვრების პროცესს; ისინი ქნიან წარმოდგენებს სიტყვის ფორმების, როგორც ცოცხალი ორგანიზმების შესახებ, რომლებიც არსებობენ ცხოვრებისა და განვითარების საკუთარ კანონებში. სწორედ ასეთი ცხოვრებით სიტყვა გვევლინება როგორც აზრის შემქმნელი ნამდვილი ორგანო. სიტყვის ფორმა არის წყარო და საწყისი აზრისა, უპირველესად ყოვლისა, და არა პირუკუ. გამოდის რა ფორმიდან, როგორც მატერიალიდან, აზრი უბრუნდება მასვე, ხორცს შეისხამს რა ფორმა-მატერიაში. ეს არის ის კონკრეტული საწყისი, ის რეალობა, რომელზეც შენდება მეცნიერული ენათმეცნიერება<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> „Рядом с звуковым (и слоговым) составом в слове наблюдается и другой, еще более важный этимологический состав (приставка, корень, суффикс, флексия, основа, окончание) в котором дана своеобразная слография и биология слова; его история, его активная энергетика в процессе речи-мысли, его творческая жизнеспособность...“ (Н. С. Д е р ж а в и н. Основы..., 1923, გვ. 144).

<sup>2</sup> „Наблюдения в этой области представляют собою, несомненно, один из наиболее ценных в образовательном отношении элементов школьно-грамматического курса, ценных в том отношении, что они раскрывают процесс жизни слова, как формы выражения мысли, создают представление о форме слова, как о живом организме, бытующем в собственных законах развития и жизни.“

მოტანილი ციტატიდან, უპირველესად ყოვლისა, ცხადი ხდება, რომ დერჟავინი ფორმალისტია ამ სიტყვის ყველაზე კატეგორიული გაგებით. მისი აზრით, სიტყვის ფორმაა ყველაფერი, „იგი აზრის წყარო და საწყისია“; ჯერ იყო სიტყვის ფორმა, „იგი ცალკე ცხოვრებით ცხოვრობს“ და მასში შემდგომ პოულობს გამოსახვას აზრი, რომელიც, ალბათ, სადღაც აგრეთვე საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს.

აზროვნების პროცესში სიტყვის ფორმისათვის ასეთი როლის მინიჭებას მიეყავართ აზროვნებისა და მეტყველების გათიშვამდე. არაა სწორი ის განცხადებაც, თითქოს სიტყვის ფორმის ასეთი გაგება არის ის „კონკრეტული საწყისი, ის რეალობა, რომელზეც შენდება მეცნიერული ენათმეცნიერება“. ამ შემთხვევაში „მეცნიერულ ენათმეცნიერებაში“ დერჟავინი გულისხმობს ფორტუნატოვის სკოლის თვალსაზრისს. მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ფორტუნატოვსა და მის მიმდევრებს ფორმა ასე არ ესმოდათ.

დერჟავინი შემდეგ განაგრძობს: „სრულიად ნათელია, რომ ე. წ. მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს ფორმალური ნიშანი, ანუ, უპირველესად ყოვლისა, უნდა დავადგინოთ სიტყვათა ორი კატეგორია: სიტყვები, რომლებიც იცვლიან თავიანთ ფორმას, ანუ ფორმიანი სიტყვები, და სიტყვები, რომლებიც არ იცვლიან ფორმას, ანუ უფორმო სიტყვები. პირველ ჯგუფში გამოიყოფა სიტყვები, რომლებიც იცვლებიან ბრუნვის, სქესისა და პირის მიხედვით, ანუ სიტყვის ბრუნვის, სქესის და პირის ფორმების მიხედვით“<sup>1</sup>.

წამოაყენა რა ასეთი, უთუოდ სწორი საკლასიფიკაციო პრინციპი, დერჟავინმა კითხვა დასვა: შეიძლება თუ არა დავ-

В этой именно своей жизни слово пестает перед вашим сознанием, как подлинный орган, создающий мысль: форма слова есть источник и начало мысли—прежде всего, а не наоборот: исходя из формы, как материи, мысль и возвращается к ней же, воплощаясь в форму-материю. Это есть то конкретное начало, та реальность, на которой строится научное языковедение“ (Н. Д е р ж а в и н, Основы... 1923, гл. 144.

<sup>1</sup> Н. Д е р ж а в и н, Основы..., 1923, гл. 144—145.

კმაყოფილდეთ წმინდა ფორმალური ნიშნით, უარყოფით რა მნიშვნელობითი ელემენტი? მან აქვე უპასუხა: ჩვენ ვადგინეთ ძირითადი პრინციპი, რომ სიტყვა არის, უპირველესად ყოვლისა, ფორმა, მაგრამ სასკოლო გრამატიკულ კურსში ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ სიტყვა არის აგრეთვე აზრი. იქნებოდა შეცდომა, რომ გრამატიკის კურსში ჰეტყველების სიტყვათა ფორმალური ნიშნების მიხედვით კლასიფიკაცია შეგვიცვალა მათი მნიშვნელობის მიხედვითი კლასიფიკაციით, რადგან გრამატიკას საქმე აქვს მეტყველების ფორმებთან და არა ცნებებთან ან წარმოდგენებთან; მას საქმე აქვს ენობრივ და არა ლოგიკურ კატეგორიებთან. მაგრამ სასკოლო-გრამატიკულ კურსში მნიშვნელობის ელემენტებზე სრულიად უარის თქმა იქნებოდა აგრეთვე პრინციპულ-პედაგოგიური შეცდომა, რადგან ფორმალური და აზრობრივი ელემენტები სიტყვაში ორგანულადაა შერწყმული ერთ მთლიანში და გამოცდილებაში გვეძლევა სწორედ ასეთ შერწყმას... მნიშვნელობის მოცილებით ჩვენ ვაუფერულებთ ფორმას. ფორმისა და მნიშვნელობის დაკავშირებით ჩვენ ვალრძავენთ ფორმის გაგებას. ვავსებთ მას ცოცხალი შინაარსით. ე. ი. არ ვანახინჯებთ ენობრივი დაკვირვების რეალურ ფაქტს (не навязывая реальному факту языковых наблюдений)<sup>1</sup>.

უნდა ვალიაოთ, რომ დერჟავინი პრინციპში სწორია. მართლაცდა სკოლაში არასრული იქნებოდა მხოლოდ ფორმალურ ნიშნებზე დაყრდნობილი კლასიფიკაცია, ამას ადასტურებს არა ერთი და ორი მასწავლებლის ანალოგიური განცხადება.

ქ. ლუგანსკის მასწავლებელთა კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში ფ. ესკოვი ამბობდა: „ახალი გრამატიკისათვის ბრძოლა სრულიადაც არ დამთავრებულა. თუ არავის არ შეუძლია ექვი შეიტანოს მეცნიერული გრამატიკის თვით პრინციპის მნიშვნელობაში, ავის თქმა არ შეიძლება მისი პრაქტიკული გამოყენებისას, ბავშვებთან მუშაობის დროს. აქ ისმის მრავალი საკითხი, გვხვდება დაბრკოლებები... დროის

<sup>1</sup> Н. Державин, Основы ..., 1923, გვ. 145.

ეკონომიისა და მოსწავლეთა ენერჯიის შენარჩუნების მიზნით. ჩემი აზრით, არა თუ შეიძლება, არამედ საჭიროა დავიწიოთ ჟორომალური თვალსაზრისიდან. მით უფრო იმიტომ, რომ მასობრივ სკოლაში გრამატიკა ისწავლება არა ჩეცნიერებისათვის, არამედ პრაქტიკული მიზნებისათვის<sup>1</sup>. მსგავსი აზრისაა ა. სტრემინიცი წერილში „ნეოგრამატიკული მიმართულება და სკოლის სინანდილი“. ჩვენ ვაქცევთ ყურადღებას ფორმალურ მხარეს, ბავშვები კი - მნიშვნელობას, ამაბობდა ე. სოლივიოვა სიტყვიერების მკოდნეთა ერთ-ერთ ნეკრებაზე მოსკოვში. - ჩვენ ვითვალისწინებთ წერილმანებს. ბავშვებისათვის ისინი გაუგებარია“<sup>2</sup>.

ანრიგად, დერჟავინს უნდა დავეთანხმოთ, რომ სასკოლო გრამატიკაში არ შეიძლება მხოლოდ ფორმალური კლასიფიკაციით დაკმაყოფილდეთ. მაგრამ ამ თვალსაზრისის დასაბუთების ავტორისეულ გზას ვერ გავყვებით, რადგან მას მხოლოდ შეცდომებისაჟენ მიეყავართ. ავტორის აზრით, სიტყვა, უპირველესად ყოვლისა, არის ფორმა, მაგრამ „ამავე დროს არ უნდა დავიღიწყოთ, რომ სიტყვა არის აზრი“. ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დებულების შერიგებას ავტორი ცდილობს სიტყვის ფორმისა და მნიშვნელობის ურთიერთგანუყოფლობისა და ყოფნის, ორგანულ მთლიანობაში არსებობის აღიარებით.

სიტყვაში მნიშვნელობისა და ფორმის ორგანულ მთლიანობაში არსებობა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებელია ისინი შევისწავლოთ ერთად; ამასთან ეს სრულიადაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ სიტყვა ხან ფორმად გამოვაცადოთ და ხან აზრად და არ განვსაზღვროთ იმ დისციპლინის ფარგლები, რომელშიაც სიტყვა განიხილება. მაგ., ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტყვა ბგერათგომბლექ-

<sup>1</sup> Ф. Еськов. Логическая или формальная грамматика, жур. „Радянська школа“, г. Луганск, 1926, октябрь, гв. 79.

<sup>2</sup> А. Стрелин. Нонотрамматическое направление и школьная действительность, жур. „Родной язык и школе“, кп. 1 (2), 1919 - 1922, гв. 7

სია, მაგრამ ეს განსაზღვრა არ იქნება საკმარისი, თუ არ ვიტყვით: რომ სიტყვა ბგერათკომპლექსია ფონეტიკისათვის; ან შეგვიძლია ვთქვათ, სიტყვა ფორმაა. მაგრამ აქვე უნდა დავუმატოთ, რომ იგულისხმება მორფოლოგიის სვერო. თუმცა უმკველია: ყველა შენთხვევაში სიტყვაში ბგერითი მხარე და ახრობლივი ძხარე მხოლოდ ერთიანობაშია მოცემული.

მაშასადამე. როცა ვამბობთ: სასკოლო გრამატიკაში ფორმასთან ერთად საჭიროა მნიშვნელობის შესწავლა. ამ სწორი დებულების დასასაბუთებლად არ კმარა იმის თქმა, რომ სიტყვაში ფორმალური მხარისა და მნიშვნელობის ორგანული მთლიანობა გვიკარნახებს ამას.

მაგრამ დაეუშვათ. რომ ეს მართლაც ასეა. ე. ი. აუცილებელია სიტყვის ფორმისა და მნიშვნელობის შესახებ ერთდროული მსჯელობა. აქედან კლასიფიკაციაში ორივე ფაქტორზე შეჩერება—ერთი სიტყვით, სწორია დერჟავინი. მაშინ რატომ უარყოფს იგი ამ „თეორიულ აღმოჩენას“ თავის სასკოლო გრამატიკებში. რომლებიც ჩვენ განვიხილეთ? მის წიგნებში ხოც ნეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია მხოლოდ მნიშვნელობის ფაქტორს ეყრდნობა?!

რა შეიძლება საბოლოოდ ითქვას დერჟავინზე?

იგი საერთოდ ცოყუევი მეცნიერია. მეთოდისტი დერჟავინი მზირად ეწინააღმდეგება გრამატიკოს დერჟავინს. მეთოდისტი დერჟავინი დუალისტია, გრამატიკაში—ლოგიკისტური იდეების მქადაგებელი.

არ შეიძლება არ მოვიგონოთ ისიც, რომ 10 წლის განმავლობაში დერჟავინმა სამჯერ იცვალა თვალსაზრისი: 1915 წელს იგი „იგნატიევის“ პროგრამების „განმარტებითი ბარათის ავტორია“, 1923 წელს „Генезис-ში“—„ულტრაფორმალისტი“, ხოლო 1925 წელს, -ნ. მარის „ახალი მოძღვრების“ პოპულარიზატორი <sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> Н. Державин, Новое направление в истории культуры и языка, жур. „Знания“, 1925, № 10.

1923 წელს გამოვიდა პროფ. მ. პეტერსონის „Очерк синтаксиса русского языка“<sup>1</sup>. ამ წიგნზე პროფ. ა. მ. პეშკოვსკი წერდა: „ჩვენს წინაა სრულიად განსაკუთრებული მოვლენა თანამედროვე სინტაქსურ ლიტერატურაში. ავტორი გვემაზომიერად და თანმიმდევრულად ცდილობს ააგოს სინტაქსი შეთანხმების, მართვის, წინადადების, წინადადების წევრების, მეტყველების ნაწილებისა და სხვა ცნებათა გარეშე. ერთი სიტყვით, ყველა იმის გარეშე, რაც ჩვეულებრივ სინტაქსის, საფუძველს წარმოადგენს“<sup>2</sup>.

რეცენზენტი მართალი იყო: ეს წიგნი იყო ენის ფორმალურ ნიშნებზე დაყრდნობით სინტაქსის აგების<sup>3</sup> პირველი ცდა. თვითონ პეტერსონი წიგნის შესახებ მიუთითებდა, რომ მისი „სინტაქსი...“ აგებულია უორტუნატოვის ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისის მიხედვით.

როგორც ცნობილია, რუსულისა და მისი მსგავსი, ფორმით მდიდარი, ენებისათვის სინტაქსის გასაღები მორფოლოგიაა. მორფოლოგია აუცილებელია სინტაქსურ დამოკიდებულებებში გზის გასაკვლევადა; მით უფრო აუცილებელია კარგად დამუშავებული მორფოლოგია ისეთი სინტაქსისათვის, რომელიც „შეისწავლის შესიტყვების ფორმებს“<sup>4</sup>, რადგან წარმოუდგენელია შესიტყვების ფორმების შესწავლა ისე, თუ არ ვიცით მასში შემავალი სიტყვების ფორმები. მ. პეტერსონმა ამ წიგნში მარტოდ დარჩენილი სინტაქსისათვის მორფოლოგიის უქონლობის ანაზღაურება ვრცელი შესავ-

<sup>1</sup> М. Н. Петерсон, Очерк синтаксиса русского языка, М., 1923.

<sup>2</sup> А. М. Пешковский, Очерк синтаксиса русского языка, жур. „Печать и революция“, 1924, кн. 2-я, гл. 242—рецензия.

<sup>3</sup> ეს წიგნი ვრცლად არის განხილული პროფ. არნ. ჩიქობავას შრომაში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, თბილისი, 1926, გვ. 117—122.

<sup>4</sup> М. Н. Петерсон, Русский язык, пособие для преподавателей, М.—Л., 1925, гл. 22.



სხვაობა. ეს სხვაობა გამოწვეულია არა მხოლოდ იმით, რომ ფორტუნატოვი იძლევა ინდო-ევროპული წინარე-ენის სიტყვა-თა კლასიფიკაციას, ხოლო პეტერსონი რუსული ენისას. პეტერსონსა და ფორტუნატოვს შორის სხვაობა თვით საკლასიფიკაციო პრინციპშია. ფორტუნატოვმა ბოლომდე ვერ გაატარა ერთი საკლასიფიკაციო პრინციპი; როგორც ენახეთ. მისი კლასიფიკაცია ეყრდნობა როგორც ფორმის, ისე მნიშვნელობის ფაქტორს. პეტერსონის კლასიფიკაცია ნაკლებად თანმიმდევრულია. მისი საკლასიფიკაციო ნიშანი ერთია — ფორმა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წიგნში მთლიანად ვერც პეტერსონმა შეძლო თავი დაეღწია ორაზროვნობისაგან. მან, იართალია, კლასიფიკაციიდან საბოლოოდ განდევნა მნიშვნელობის ფაქტორი. ამდენად თავიდან მოიშორა ტრადიციული მეტყველების ნაწილები, ერთხელაც არ მოიასენია „სახელი“, „ხმა“, „ხედსართავი საიელი“ და სხვა. მაგრამ წიგნში ეს ტერმინები ხშირად იხნარა. თანაც არსად არ ნიუთითა მათს მნიშვნელობაზე, იმაზე, თუ რა იგულისხმებოდა ამ ტერმინებში.

1925 წელს პეტერსონმა გამოაქცა წიგნი: „Русский язык, происхождение и развитие“. წიგნი იყოფა ორ ნაწილად: ფონეტიკად და გრამატიკად (ნორფოლოგია, სინტაქსი). გრამატიკას ახლავს ზოგადი ნაწილი. ცალ-ცალკე ზოგადი ნაწილი ახლავს მორფოლოგიასა და სინტაქსსაც.

ენათმეცნიერების მოკლე ისტორიას პეტერსონი დაასკვნის: „ხანგრძლივი განვითარების შემდეგ სულ უფრო და უფრო ზუსტად განისაზღვრა გრამატიკის საგანი და გამოცალკევდა იგი მოსახლურე დისციპლინებისაგან. ერთი მხრით. გრამატიკა გამოაცალკევებს ისეთი პრაქტიკული დისციპლინებისაგან, როგორიცაა ორთოგრაფია და ორთოეპია, მეორე მხრით, ფონეტიკისაგან. რომელსაც აქვს თავისი საგანი—ენის ბგერები. გრამატიკა გაგებულ იქნა ენათმეცნიერების ნაწილად და მის ამოცანად დასახულ იქნა ენის ფორმათა შესწავლა. განსაკუთრებით ცხადად გამოიხატევი ამ თვალსაზრისისა ჩვენში ფ. ფორტუნატოვია, და-

სავლეთში—დე-სოსიური<sup>1</sup>. გრამატიკა იყოფა ორ ნაწილად:  
1) მორფოლოგიად, რომელიც შეისწავლის ცალკეული სიტ-

<sup>1</sup> თ. ფორტუნატოვი და ფ. დე-ასიერის ერთი და იმავე თვალსაზრისის მქონე შეცნობებზე მიხნევა უბრალოდ გაუგებრობაზე დაწყობებულად.

რითაც. ცნობილია, თ. ფორტუნატოვი ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერების ანოლოგეტია, მისი აზრით, ენათმეცნიერებაში გამოიყოფა გრამატიკა (ნოლოლოგია, სინტაქსი), ლექსიკოლოგია, ფონეტიკა, და სხვა. სოსიურისათვის კლინიკატიკა ფუძედ დადოვს უძველეს ისტორიას, ანუ იგი უნდა დატოვდეს ტრადიციული გრამატიკის სტატიკურ თვალსაზრისს („Курс грамматической науки“, М. 1933, გვ. 90). მისი აზრით, ენის ფუნდამენტური დაქრონიული და სინქრონიული ენათმეცნიერება, დაქრონიკა ენის ისტორიულ ასპექტს ათვალისწინებს, იგი ნაკლებ მნიშვნელოვანია; სინქრონიკა ენის თანამედროვე სტატიკურ ფენომენებს აღწერს, იგი თორმადია. სინქრონიული თვალსაზრისით ენაში ყველაფერი მიმოიხილება დაშტაბრებული. მიმოიხილები კი შეიძლება იყოს ინტენსიტიკური და ასოციაციური, აყვალატიკური, რამაც გამოიპატება ენის თვითმული მდგომარეობა, სპირიტუალური დაყვანილი იქნება სინტაქსიკა და ასოციაციების თვითმული. წიგნის სოსიური (Курс..., გვ. 132). გრამატიკა და მისი დარგები სოსიურს ავსოვი უკავშირდება. საოთხლია, ტერმინი „გრამატიკა“ იგი ხმარობს, მაგრამ არა ჩვეულებრივი გაგებით, არამედ სინქრონიკის ბნიშვნელობით: „სტატიკურ კლინიკატიკა, ანუ, სავანაოდ, ენის თვითმული მდგომარეობის აღწერას. შეიძლება ეწოდოს გრამატიკა... გრამატიკა სწავლობს ენას, როგორც გამოთავის საშუალებათა სისტემას“ (Курс..., გვ. 129). სოსიური აქვე შენიშნავს: „ენება გრამატიკულია ითარება სინქრონიკული ცნებით“. ნოლოლოგია კი, მისი აზრით, სრულიად ზედმეტია: „კლინიკატიკური თვალსაზრისით მორფოლოგიას ამა აქვს საკუთარი თვალსაზრისით, დამოუკიდებელი შეასწავლი რბიექტი: მას არ შეუძლია შეადგინოს სინტაქსიკაგან განაჯავებულ დისკიპლინა (Курс..., გვ. 130); მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქმის სოსიური სინტაქსის არსებობას ნოლოლოგდეს, სინტაქსი მიატვის სინტაგმატიკის სფეროში შედის.

ერთი სიტყვით, სოსიურის აზრით, გრამატიკა და მისი დარგები, მათი ჩვეულებრივი გაგებით, სრულიად ზედმეტია, მაშინ როცა ფორტუნატოვისთვის ენათმეცნიერების წამყვან დარგს სწორედ გრამატიკა (მორფოლოგია, სინტაქსი) წარმოადგენს. არას ვაზნობთ იმაზე, რომ ფორტუნატოვსა და სოსიურს სრულიად სხვადასხვაგვარად ესმით ფორმის საკითხი.

ყვების ფორმებს და 2) სინტაქსად, რომელიც შეისწავლის პესიტყვების ფორმებს“<sup>1</sup>.

მორფოლოგიას პეტერსონი იწყებს სიტყვის განსაზღვრით. მისი აზრით, ფორმულა: „სიტყვა არის ბგერები, რომელთაც აქვთ მნიშვნელობა“ მეტად ფართოა, ასეთი განსაზღვრა თავისუფლად შეიძლება მიეცეთ წინადადებასაც. „საერთოდ, წეოს პეტერსონი, სიტყვის დამაკმაყოფილებელი განსაზღვრა არ არის და არა გვეგონია შეიძლებოდეს: სიტყვა ისეთი მარტივი ცნებაა, რომელსაც არ შეიძლება მიეცეს ლოგიკური განსაზღვრა, ამიტომაც გვიხდება დავკმაყოფილდეთ უბრალო ჩვენებით ან აღწერით“<sup>2</sup>.

პეტერსონის ეს შენიშვნა საყურადღებოა, მართლაცდა, წინადადებაც ხომ ბგერებისა და მნიშვნელობისაგან შედგება. მაგრამ ამ სწორი დებულებიდან პეტერსონმა რატომღაც სრულიად არასწორი და აგნოსტიკური დასკვნა გააკეთა<sup>3</sup>: რადგან ზემომოტანილი განსაზღვრა დამაკმაყოფილებელი არაა, სიტყვის განსაზღვრა საერთოდ არ შეიძლება.

მართალია, სიტყვის განსაზღვრა ძნელია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს ამ ცნების განსაზღვრის საერთოდ შეუძლებლობას.

სიტყვის ფორმის გაგების საკითხში პეტერსონი კვალდაკვალ მიჰყვება ფორტუნატოვს: ეთანხმება იგი ფორტუნატოვს სიტყვათცვლისა და სიტყვათწარმოების ფორმების გაგების საკითხშიც. მაგრამ გარკვეულ შენიშვნებსაც აკეთებს. პეტერსონისთვის სიტყვათცვლის ფორმებში ერთიანდება ბრუნვის, სქესისა და პირის ფორმები; მაშინ როცა ფორტუნატოვთან ამ ფორმებში შედიოდა ზმნის დროცა და კილოც. დროისა და კილოს ფორმებისთვის პეტერსონმა შემოიღო ახალი სახელწოდება—„სხვა სახის ფორმები“. „ეს ფორმები, წერს იგი. ახლოა სიტყვათცვლის ფორმებთან იმით, რომ არ წარმოქმნიან ახალ სიტყვებს; განსხვავდებიან მათგან იმით, რომ

<sup>1</sup> М. Петерсон. Русский язык..., გვ. 22.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 23.

<sup>3</sup> В. В. Виноградов, Современный русский язык, ч. I, М., 1938, გვ. 63.

ვერ გადმოგვეცემენ სიტყვათა შორის მიმართებას<sup>1</sup>. აღსანიშნავია, რომ თითქმის ასეთსავე განსაზღვრას აძლევდა ფორტუნატოვი ზმნის კატეგორიებიდან ასპექტსა და გვარს, რომლებიც პეტერსონთან სიტყვაწარმოებით ფორმებშია შეტანილი.

აქაც, ისე როგორც «Оперк сиптаксиса...-ში», სიტყვათა კლასიფიკაციას პეტერსონი საფუძვლად უდებს სიტყვათცვლის ფორმებს და სიტყვა-სიტყვით იმეორებს ზემომოტანილ კლასიფიკაციას<sup>2</sup>. მაგრამ ახლა ავტორი ამ კლასიფიკაციით არ კმაყოფილდება. იგი წერს: «თუ მივიღებთ მხედველობაში სიტყვათა დაყოფას დამოკიდებულებად და დამოუკიდებლად, შეიძლება შევადგინოთ ასეთი ცხრილი».

სიტყვათცვლელი ფორმის მქონე სიტყვები				სიტყვათცვლელი ფორმის აომქონე სიტყვები
	ბრუნვიანი სიტყვები	სქესიანი სიტყვები	პირიანი სიტყვები	
არათავისთავადი სიტყვები	дом краснота хождение неизнша голешиъ пять я, ты кто зето	ა) ძიბრ ходит брошен ბ) храбрый бегяющий слящий первый этот который	говоря зсѣху	лучше говоря говорить смеркнется ах. увы контургу юпо
		бмж	ბუჯუ	на, с, под и, но, и то, вот есть не

